1425
2008

# არსენალი

№ 15 (58). 25 ივლისი - 7 აგვისტო. 2008. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

როგორ ავაფეთქოთ რუსული დესანტის საბრძოლო მანქანები...

არტილერისტები ორფოლოში

ავტომატური ჯერი თოფით...



მასონები — ტამპლიერთა მემკვიდრენი

ქართველის შექმნილი ლეგენდარული ამერიკული თვითმფრინავი

რუსები აფხაზეთის ომში მონაწილეობას აღიარებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა




რუსეთის არმია და საქართველოს შიდაკონფლიქტები
50



საჰაერო თავდაცვის სისტემის განვითარება...
9



როგორ ავაფეთქოთ რუსი მედესანტეების საბრძოლო მანქანები...
6

არტილერისტები ორფოლოში
14





საგანგებო დანიშნულების თვითმფრინავები
23



ავტომატური ჯერი თოფიდან
54

# სარჩევი

**კალეიდოსკოპი**

4 უცხოური ამბები

**საფრთხე**

6 რა საშიშროება მოდის რუსი მედესანტეების საბრძოლო მანქანებისგან და როგორ ავაფეთქოთ ისინი...

**ექსპერტის აზრი**

9 საჰაერო თავდაცვის სისტემის ეტაპობრივი განვითარების მეთოდიკა და რეკომენდაციები

**სამხედრო სიახლეები**

12 რეაქტიულმა ჭურვმა ფრენის ახალი რეკორდი დაამყარა

**რეპორტაჟი პოლიგონიდან**

14 არტილერისტები ორფოლოში

**ინტერვიუ**

16 МШВИДОБА რუსული აქცენტით?..

**სპეცსამსახურები**

19 როგორ იცავენ პრეზიდენტებს

**იარაღი**

23 **GUNSHIP** - საგანგებო დანიშნულების თვითმფრინავები

**იარაღი**

30 **C-123 PROVIDER** ქართული წარმოშობის ამერიკული თვითმფრინავი

**წვრთნა**

35 პრაქტიკული სროლა

**ომების მსოფლიო ისტორია**

40 კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

**ორდენი**

43 მასონები - ტამპლიერთა მემკვიდრენი?!

**ფლოტი**

47 ძველი ესპანეთის ფლოტი

**მეზობელო კარისაო...**

50 რუსეთის არმია და საქართველოს შიდაკონფლიქტები

**კროსვორდი**

53 არსენალკვორდი

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 USAS-12 - ავტომატური ჯერი თოფი...

## რედაქტორის სვეტი

საქართველოს შეიარაღებული ძალები 32-დან 37 ათას კაცამდე გაიზრდება. ეს ცვლილება პარლამენტმა უკვე დაამტკიცა, შესაბამისად, 295 მლნ ლარით გაიზარდა თავდაცვის ხარჯებიც და 2008 წლის სამხედრო ბიუჯეტმა 1,395 მლრდ ლარი შეადგინა.

მიუხედავად შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდისა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით საქართველოს მაინც მცირერიცხოვანი არმია ეყოლება.

არმიის 5 ათასი კაცით გაზრდის აუცილებლობა, ეტყობა, გაზრდილმა რეალურმა საფრთხეებმა განაპირობა და იმანაც, რომ ქართულ არმიას შეიძლება ორ ფრონტზე — ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ერთდროულად მოუწიოს საბრძოლო მოქმედებების წარმოებამ, თუკი რუსეთი მაინც ჩაგვითრევს ომის ჭაობში...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
თვეში ორჯერ!
ტელ: 42-43-40;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასშტაბური სამხედრო სწავლებები ჩრდილო კავკასიაში



ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში 15 ივლისს დაიწყო რფ-ის სახმელეთო ჯარების ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული სწავლებები „კავკაზ-2008“, რომელშიც 8 ათასი კაცი მონაწილეობს. როგორც ამბობენ, სწავლებებში ჩართული არიან ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-სადესანტო და ჰაერსაწინააღმდეგო ძალების, შავი ზღვის ფლოტისა და კასპიის ფლოტილიის, ეფ-ეს-ბეს სამხრეთ ფედერალური ოლქისა და შსს-ს შინაგანი ჯარების რეგიონული მეთაურობის ქვედანაყოფები. სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თანაშემწის, პოლკოვნიკ იგორ კონაშენკოვის თქმით, სწავლებების მიზანია რუსეთის სამხრეთში ტერორისტული მუქარის პირობებში სამხედრო სამმართველოს ორგანოების ერთობლივი მოქმედებების უნარის შემოწმება. გარდა ამისა, კონაშენკოვის თქმით, საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-ოსეთის ზონებში დაძაბულობის ზრდის გამო სწავლებებში და-მუშავდება ოპერაცია სახელწოდებით „მშვიდობის იძულება“ და სამშვიდობო ამოცანების გადაჭრის ხერხები. სულ დაგეგმილ-ია დივიზიონისა და ბატალიონის მასშტაბით 140-ზე მეტი ტაქტიკური სწავლების ჩატარება, 500-ზე მეტი ტაქტიკური სწავლება ღამის პირობებში საბრძოლო სროლით, ასევე 200-ზე მეტი სხვადასხვა დონის სამეთაურო-საშტაბო სწავლება. იგორ კონაშენკოვის თქმით, „რუსეთის სწავლებები არაფრით არ არის დაკავშირებული რაიმე სამხედრო ღონისძიებასთან, მით უმეტეს, იმ სამხედრო სწავლებებთან, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ 2007 წელს უნდა ჩატარებულიყო“.

# აშშ ინდოეთს „პეტრიოტებს“ სთავაზობს



აშშ-მა ინდოეთს შესთავაზა მოდიფიკაცია PAC-3-ის (PATRIOT ADVANCED CAPABILITY) საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი PATRIOT-ი და ინდოეთის სამხედრო დელეგაციისათვის ავიასალონ „ფარნბორო-2008“-ზე ორი დახურული ბრიფინგი გამართა კომპლექსის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების გასაცნობად. PATRIOT-ების მიწოდება ამერიკელებს ინდოეთის მიერ გამოცხადებული საერთაშორისო ტენდ-ერის ფარგლებში შესთავაზეს. მასში მონაწილეობას მიიღებენ რუსული კომპლექსები C-300-ები და ისრაელური ARROW-2-ები. ეს უკანასკნელნი, შესაძლოა, ვაშინგტონმა დაბლოკოს, რადგან მათი შემუშავებისას ამერიკული ტექნოლოგიები გამოიყენეს. ინდური ტენდერის პირობების თანახმად, კომპანია-პრეტენდენტებს ტექნიკური და კომერციული წინადადებები მიმდინარე წლის ივლისის დამლევამდე უნდა წარმოედგინათ, მაგრამ ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ ვადა ორი თვით გააგრძელა. უკა-ნასკნელი ათი წლის განმავლობაში PATRIOT-ის ტაქტიკურ-ტექნი-კური მახასიათებლების სრულსაყოფად 3 მლრდ დოლარზე მეტი თანხა დაიხარჯა. დაგეგმილია, რომ ამ ტიპის კომპლექსები აშშ-ის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საფუძველი იქნება 2028 წლამდე.

# „ჩინუკებს“ იტალიაში ააწყობენ



კომპანიებმა BOEING-მა და AGUSTAWESTLAND-მა ავიასალონ „ფარნბორო-2008“-ზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას იტალიაში ქვეყნის არმიისთვის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენ CH-47F CHINOOK-ების ერთობლივად წარმოებაზე. იტალიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, დაახლოებით 16 ან 20 ახალი „ჩინუკის“ შესყიდვაზე კონტრაქტი მიმდინარე წლის დამლევამდე გაფორმ-დება. მისი ღირებულება 1,3-1,4 მლრდ დოლარს შეადგენს. იტალიის კონტრაქტის მთავარი მენარდე კომპანია AGUSTAWESTLEND-ია. შვეულმფრენებს კომპანიის ქარხანაში, ვერჯიატეში ააწყობენ. თავის მხრივ, BOEING-ი მიაწოდებს ფიუზელა-ჟებს. AGUSTAWESTLAND-ის წარმომადგენლის თქმით, შეკვეთის მიღების შემთხ-ვევაში, იტალიის არმიას პირველი შვეულმფრენები 2012 წელს მიეწოდება. ფარნ-ბოროში ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, გათვალისწინებულია კომპანია AGUSTAWESTLAND-ისთვის „ჩინუკების“ წარმოების ლიცენზიის მიცემა ამ შვეულ-მფრენების დიდი ბრიტანეთისთვის, საბერძნეთისათვის, თურქეთისათვის, მაროკოსათვის, ლიბი-ისათვის და ეგვიპტისთვის მისაწოდებლად. CH-47F CHINOOK-ი ამერიკული მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენების ბოლო მოდიფიკაციაა. წინამორბედთაგან განსხვავდება მოდერნიზებული კორპუსით, ძრავებითა და საბორტე მოწყობილობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკას უჩინმაჩინები ეძვირება



პროექტ DDG-1000 ZUMWALT-ის პერსპექტიული საესკადრო ნაღმოსნები მართვადი სარაკეტო იარაღით ძალზე ძვირად ღირებული აღმოჩნდა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის. როგორც ALTAIR-ი იუწყება, ამერიკის ფლოტის მეთაურობა შიშობს, რომ უჩინმაჩინი-ნაღმოსნების მშენებლობის გაგრძელება ხელს შეუშლის სხვა პრიორიტეტული პროგრამების რეალიზებას. პენტაგონის დამტკიცებული გეგმების თანახმად, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში უნდა შევიდეს პროექტ DDG-100 ZUMWALT-ის სამი ნაღმოსანი. მიმდინარე წლის თებერვალში ხელი მოეწერა კონტრაქტს ორი ხომალდის აგებაზე, რომელთა მშენებლობა დაწყებულია. ამჟამად ძვირად ღირებულობის გამო პროგრამის მომავალი გაურკვეველია. მაგალითად, ამერიკის ფლოტის შეფასებით, ერთი ZUMWALT-ი 3,3 მლრდ დოლარი დაჯდება. კიდევ უფრო შთამბეჭდავი თანხა აქვს მოყვანილი აშშ-ის საკონტროლო-საფინანსო მთავარ სამმართველოს – 5 მლრდ დოლარი. ასე რომ, პროექტ DDG-1000 ZUMWALT-ის საესკადრო ნაღმოსნები მართვადი სარაკეტო იარაღით ფლოტის ისტორიაში ყველაზე ძვირფასი საბრძოლო ხომალდები იქნება. ნიშანდობლივია, რომ ძვირად ღირებული ხომალდების მშენებლობის ერთ-ერთი მოწინააღმდეგეთაგანია აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების საზღვაო ოპერაციების უფროსი ადმირალი გარი რუგჰელდი. სამაგიეროდ, პროგრამას მხარს უჭერენ თავდაცვის მინისტრი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და რამდენიმე სენატორი. DDG-1000 ZUMWALT-ის საესკადრო ნაღმოსნებს მართვადი სარაკეტო იარაღით კორპორაცია NORTHROP GRUMMAN-ი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აგებს. ნაღმოსნის მთავარი მახასიათებელია რადარებისთვის ნაკლებშემჩნევადობა და ავტომატიზების მაღალი ხარისხი. DDG-100 ZUMWALT-ი წყალქვეშა ნავს მოგაგონებთ. მისი წყალწყვა დაახლოებით 14 ათას ტონას შეადგენს, მაქსიმალური სიჩქარე კი 30 კვანძზე მეტს (საათში 56,1კმ). დაგეგმილია, რომ ნაღმოსნის ძირითადი დანიშნულება სახმელეთო ჯარების მხარდაჭერის მიზნით სანაპირო სამიზნეებისთვის დარტყმის მიყენება იქნება.

# უკრაინა ბომბდამშენებს ჩალის ფასად ყიდის?!

უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, გაყიდოს ოთხი საფრონტო ბომბდამშენი Су-24M. ამასთან, თვითმფრინავების ფასი თითქმის გამესამედებულია. ამჟამად ერთ-ერთ კომპანიაში, რომელიც „უკრსპეცექსპორტის“ სტრუქტურაში შედის, მზადდება კონტრაქტი 1986 წლის გამოშვების საბრძოლო თვითმფრინავების უცხოელი შემკვეთისთვის მიყიდვის თაობაზე. როგორც ამბობენ, „უკრსპეცექსპორტმა“ თავდაპირველად 9,1 მლნ დოლარად ღირებული კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ შემდეგ ფასი 3,4 მლნ დოლარამდე შემცირდა. თავდაცვის სამინისტროში ამტკიცებენ, რომ ბომბდამშენთა გასხვისების პროცედურები შეჩერებულია, რადგან 2005 წლის განკარგულების მოქმედების სამწლიანი ვადა ამოიწურა. სამინისტროს კულუარებში კი ამბობენ, რომ ბომბდამშენები „უკრსპეცექსპორტს“ უკვე გადასცეს. როგორც უკრაინელი ექსპერტები ვარაუდობენ, Су-24M-ების რეალიზაცია დროულია, რადგან აღარც შედიოდნენ სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო შემადგენლობაში. ამასთან, ერთი საფრონტო ბომბდამშენის ღირებულებამ შეიძლება 5-7 მლნ დოლარს მიაღწიოს. სავარაუდო მყიდველებად დსთ-ის ქვეყნებს (უპირველსად საქართველოს) ან ახლო აღმოსავლეთს ასახელებენ.



# „ბონიერი“ ბომბის გამოცდა დასრულდა

საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ მესამედ და საბოლოოდ გამოცადა მოდულური სისტემა AASM-ის სრულყოფილი ვერსია, რომელიც განკუთვნილია ზეზუსტ მართვად საბრძოლო მასალებში თავისუფლადვარდნადი ავიაბომბების მოდერნიზაციისათვის. ბომბი გამანადგურებელ MIRAGE 2000-დან ჩამოაგდეს. მიზნამდე მანძილსა და დარტყმის მიყენების სიზუსტეზე მონაცემებს არ ახმაურებენ. გამოცდის მთავარი ამოცანა იყო თვითდამიზნების ინფრაწითელი თავის მუშაობისუნარიანობის გამოცდა. თვითდამიზნების ინფრაწითელი თავი ტრაექტორიის ბოლო წერტილზე ფრენის კორექტირების საშუალებას იძლევა და იმ მოძრავ მიზნებს ანადგურებს, რომლებიც საწყის კოორდინატებს რამდენიმე ასეული მეტრით ასცდებიან. გამოცდაზე მიზანი ავიაბომბის ჩამოგდების მომენტისას 80 მეტრით გადაადგილდა. AASM-ის წინამორბედი ვერსიები აღჭურვილი იყო მხოლოდ დამიზნების ინერციული და GPS სისტემებით. დამმუშავებლებმა მოახერხეს ავიაბომბის მიზნიდან სავარაუდო გადახრის 10-დან 1 მეტრამდე შემცირება. AASM-ის კომპლექტში შედის დამიზნებისა და მართვის მოდულები, რომელთა ადაპტირება 250 კგ კალიბრის ავიაბომბების სტანდარტულ კორპუსებთან შესაძლებელია მიწისზედა ზეზუსტი დარტყმების მისაყენებლად 50 კილომეტრის მანძილზე. AASM-ი შეიმუშავა ფრანგულმა კომპანია SAGEM DEFENSE SECURITE-მა, რომელიც SAFRAN-ის ჯგუფში შედის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა საშიშროება მოდის რუსი მედესანტეების საბრძოლო მანქანებისგან და როგორ ავაფეთქოთ ისინი...



**ზემო აფხაზეთზე შეტევის დაწყების შემთხვევაში აფხაზ სეპარატისტებს რუსი მედესანტეები БМД-2, БТР-Д და НОНА-ს ტიპის საბრძოლო მანქანებით დაუჭერენ მხარს...**

საქართველოს კონფლიქტის ზონებში სიტუაციის მორიგი დაძაბულობა კიდევ ერთხელ წინა პლანზე წამოსწევს შეიარაღებული კონფლიქტის განახლების ალბათობას.

სეპარატისტულ სოხუმს არასოდეს დაუმალავს, რომ ყველა ძალას იხმარს, რომ კოდორის ხეობის ზემო ზონიდან განდევნოს საქართველოს დე იურე და რაც მთავარია, დე ფაქტო ხელისუფლება.

რუსული მასმედია პირდაპირ აცხადებს, რომ აგვისტოში კოდორის ხეობაში საბრძოლო მოქმედებები განახლდება. ეს შეიძლება მორიგი დეზინფორმაცია იყოს, მაგრამ ზემო აფხაზეთის დამცველებმა უნდა იცოდნენ, რა ძალები და შეიარაღება შეიძლება გამოიყენონ თავდამსხმელებმა.

სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით შესაძლო აგრესორების არსენალი გაიზარდა, მათ შორის ახალი ტიპის შეიარაღებითაც.

სამიოდე თვის წინ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების გაზრდის მოტივით რუსეთმა დამატებითი ძალები შეიყვანა, რომლებიც რეალურად სამშვიდობო დანაყოფებს კი არა, არამედ საჰაერო-სადესანტო ჯარების ნაწილებს წარმოადგენდნენ.

რუსი მედესანტეები ტყვარჩელის რაიონში განთავსდნენ და ეტყობა, აფხაზ სეპარატისტებს ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ ზემო აფხაზეთზე იერიშის დაწყების შემთხვევაში.

ამ რუსი მედესანტეების შეიარაღებაშია 50-მდე სხვადასხვა ტიპის საბრძოლო მანქანა და საარტილერიო დანადგარი – მათ შორისაა მედესანტეების სა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლო მანქანები БМД-2, ჯავშანტრანსპორტიორები БТР-Д და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი Нона.

მათი კონსტრუქცია, ფორმა და შეიარაღება გარკვეულწილად განსხვავდება იმ საბრძოლო ტექნიკისგან, რომელთანაც დღემდე ჰქონიათ შეხება ზემო აფხაზეთის დამცველებს და რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც ისინი ემზადებიან.

საერთოდ, ბრძოლის ველზე ახალი ფორმის ჯავშნიანი საბრძოლო მანქანის გამოჩენა მოწინააღმდეგის რიგებში დაბნეულობას იწვევს. ასეთი რამ რომ არ მოხდეს, „არსენალი“ შეეცდება ახსნას, რას წარმოადგენს რუსი მედესანტეების მიერ კოდორის ხეობის ახლოს თავმოყრილი საბრძოლო ტექნიკა და როგორ შეიძლება მის წინააღმდეგ ეფექტიანად ბრძოლა.

დავიწყოთ იქიდან, რომ მოსკოვი პირველად არ იყენებს მედესანტეთა საბრძოლო ტექნიკას საქართველოს წინააღმდეგ.

1989 წლის 8 აპრილს, ტრაგედიამდე ერთი დღით ადრე, რუსთაველის პროსპექტზე მომიტინგეთა თვალწინ საბჭოთა მედესანტეების მუხლუხებიანმა ტექნიკამ „ჟიგულის“ დემონსტრაციულად გადაუარა. სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების დიდი ნაწილი საბჭოთა „ტანკებზე“ ლაპარაკობდა, მაგრამ ეს მედესანტეთა ჯავშანტრანსპორტიორი БТР-Д იყო. საბჭოთა მედესანტეების სხვა ტექნიკა, მათ შორის БМД-1 ტიპის საბრძოლო მანქანები, მაშინ ლენინის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე იყო თავმოყრილი.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში ორ ადგილას იყო განთავსებული საჰაეროსადესანტო ჯარების დანაყოფები. ქუთაისში იდგა სადესანტო-მოიერიშე ბრიგადა, ხოლო ლაგოდეხში სპეცდანიშნულების ბრიგადა. მათ შეიარაღებაში იყო БТР-Д ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები და БМД-1 და БМД-2 ტიპის მედესანტეთა საბრძოლო მანქანები.

ამ სტატიის ავტორი თავად გახდა იმ მწვავე დაპირისპირების მონაწილე, რომელიც 1992 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის სოფელ ზემო ნიქოზში ქართული სამშვიდობო ბატალიონის წინ მოხდა. იმ დღეს თბილისიდან ჩვენმა სამხედროებმა ორი Т-72 ტიპის ტანკი ჩამოიყვანეს, რომლებიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქიდან – ЗакВО-დან ითხოვეს კონფლიქტის ზონაში გასანაღმავი სამუშაოების ჩასატარებლად.

არ ვიცი, ვისი იდეა იყო, მაგრამ ორივე Т-72, რომელსაც რუსული ეკიპაჟები მართავდნენ, ჩვენმა ბიჭებმა ცხინვალზე გამოატარეს, თანაც ზედ აღმართული ქართული დროშებით... ცხინვალში მათ ვერავინ ვერაფერი გაუბედა, ზემო ნიქოზში ჩამოსვლისთანავე კი ტანკებს ნახევარალყა რუსული სამშვიდობო ბატალიონის ოთხმა БМД-1-მა შემოარტყა, რომელთა კოშკურაზე „ფაგოტის“ ტიპის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები იყო დაყენებული.



რუსი მედესანტეები ნამდვილად აპირებდნენ სროლას, ამასთან, ჰაერში ორი Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენიც გამოჩნდა, რომლებიც დაბალ სიმაღლეზე ჩვენს ბატალიონს და იქ მდგარ ორ Т-72-ს დასტრიალებდნენ.

ტანკების ახლოს ვიდექით, როდესაც ერთ-ერთი Т-72-დან ასაკოვანმა რუსმა პრაპორშჩიკმა ამოყო თავი. ერთი გემრიელად შეუკურთხა თანამემამულეებს და ტანკის ლულა მედესანტეების საბრძოლო მანქანებს დაუმიზნა...

მაშინ სროლის დაწყებას ბეწვზე მოუსწრო სატელეფონო ბრძანებამ და რუსმა მედესანტეებმა უკან დაიხიეს, ჩვენებმა კი შემდგომ დღეებში Т-72-ებზე დაყენებული ტრალებით არაერთი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი ააფეთქეს.

კოდორის ხეობაში ასეთი დაპირისპირება ნაკლებწარმოსადგენია, რადგან ქართულ მხარეს არა აქვს უფლება ზემო აფხაზეთში მძიმე საბრძოლო ტექნიკა იყოლიოს.

თუმცა, თუკი რუსი მედესანტეები შეეცდებიან ხეობას ქვემოდან თავიანთი საბრძოლო მანქანებით შეუტიონ, მათი განადგურება შეიძლება და ძალზე შედეგიანადაც.

მედესანტეთა საბრძოლო მანქანები ჰაერიდან საპარაშუტო სისტემებით დესანტირებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ კოდორის ხეობის ზემო ზონაში მათი ჰაერიდან დესანტირება

**ჩვენი დოსიე:** მედესანტეთა საბრძოლო მანქანა БМД-2-ის ეკიპაჟი 2, ხოლო დესანტი კი 5 კაცისგან შედგება. მანქანა 8 ტ-ს იწონის, შეიარაღებულია ერთი 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხით (ჭურვების მარაგი 300 ცალი), ПКТ ტიპის 7,62 მმ კალიბრის სამი ტყვიამფრქვევით (ვაზნების საერთო მარაგში 3000) და სამი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტით.

ავტომატური ქვემეხი 2А42-ით (ასეთივე ქვემეხი აყენია ქვეითთა საბრძოლო მანქანაზე БМП-1-ზე) ჭურვის სროლის საწყისი სიჩქარე 960 მ/წმ-ია, სროლის მაქსიმალური ტემპი 500 გასროლა/წთ-ში, მცირე ტემპი — 200-300 გასროლა/წთ-ში. ეს ქვემეხი გათვლილია 1,5კმ-ის მანძილზე მსუბუქად შეჯავშნული ტექნიკის გასანადგურებლად, ხოლო 4კმ-ის სიშორეზე ყველა სხვა არაშეჯავშნული სამიზნის დასაზიანებლად. 2კმ სიმაღლემდე მფრენ საჰაერო სამიზნეებს ამ ქვემეხით ნასროლი ჭურვები 2,5კმ-ის დისტანციაზე აზიანებს.

БМД-2-ის კოშკურის ზემოდან შეიძლება 9К113 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსის დაყენება, რომლიდანაც გაშვებული სადენით მართვადი კუმულაციურქობინიანი რაკეტა 9М113 მაქსიმუმ 4 კმ-ის სიშორეზე 250მმ სისქის ჯავშანს ხვრეტს, ხოლო მისი მოდერნიზებული ვარიანტი 9М113М კი უკვე 800მმ-იან ჯავშანს.

БМД-2-ს 240 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის დიზელის ძრავა აქვს, რომელიც ასფალტირებულ გზაზე მაქსიმალურ 60 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს (წყალში ცურვის სიჩქარე 10 კმ/სთ-ია). საწვავის მარაგი 500 კმ-ს გასავლელადაა საკმარისი.



თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С9 Нона 16კგ-იან 120მმ-იან ნაღმს (რომელშიც 2,8კგ ასაფეთქებელი ნივთიერებაა), მაქსიმალურ 7,1კმ-ზე ისვრის, ხოლო იმავე კალიბრის, 19,8კგ მასის (მასში 4,9კგ ასაფეთქებელი ნივთიერებაა) ჭურვს კი 8,8 კმ-ზე.

თითქმის გამორიცხულია რთული ლანდშაფტის გამო.

ისინი ზემო აფხაზეთში მხოლოდ ქვემოთა გზით, ლათის გავლით შეიძლება მოხვდნენ. ასეთ შემთხვევაში კი მათი მწყობრიდან გამოყვანა ან სრული განადგურება იმავე მეთოდებით უნდა განხორციელდეს, როგორც ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანებისა და ჯავშანტრანსპორტიორების შემთხვევაში.

ხეობის დამცველებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მედესანტეთა საბრძოლო ტექნიკა შედარებით მსუბუქია სახმელეთო ჯარების ტექნიკასთან შედარებით (მათი საჰაერო დესანტირების გამო) და ჯავშანიც ფოლადისგან კი არა, ალუმინის შენადნობებისგან აქვს დამზადებული.

ავღანეთის ომში გამოჩნდა, რომ მედესანტეთა საბრძოლო მანქანა БМД-1 ყველაზე დაუცველი საბრძოლო ტექნიკა იყო მათგან, რომელთაც საბჭოთა არმია ამ ომში იყენებდა.

მედესანტეთა საბრძოლო მანქანის ალუმინის ჯავშანს ადვილად ხვრეტდა РПГ-7-ით ნასროლი კუმულაციურქობინიანი რეაქტიული ჭურვი, მიუხედავად იმისა, რა კუთხით მოხვდებოდა. „ბე-ემ-დეს“ კორპუსის ფსკერის ჯავშანი ვერ უძლებდა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქებას, ყოველივეს ამას ემატებოდა თავად მანქანაში არსებული ჭურვების დეტონაცია, რის შემდეგაც „ბე-ემ-დე“ გახსნილ კონსერვის ქილას ემსგავსებოდა...



БТР-Д-ზე რუსი მედესანტეები ხშირად ЗУ-23-2-ებს ამონტაჟებენ

რუსული „ბე-ემ-დეების“ სუსტი დაცულობა ჩეჩნეთის ომშიც გამოჩნდა, როდესაც ჩეჩნები არა მარტო ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციურქობინიანი რეაქტიული ჭურვებით აფეთქებდნენ რუსი მედესანტეების საბრძოლო მანქანებს, არამედ შედარებით ახლო მანძილიდან ДШК-ს მსხვილკალიბრიანი ტყვიებითაც ხვრეტდნენ „ბე-ემ-დეების“ გვერდით ჯავშანს.

თუკი ავღანელ მოჯაჰედებსა და ჩეჩენ მებრძოლებს შეეძლოთ საბჭოთა, შემდგომში კი რუსულად წოდებული მედესანტეთა საბრძოლო მანქანების განადგურება, მაშინ ეს არც ზემო აფხაზეთის დამცველებს უნდა გაუჭირდეთ.

ოღონდ არის ერთი ნიუანსი, კოდორის ხეობის ქვემო ზონაში რუსმა მედესანტეებმა შეიძლება შეიყვანონ Нона-ს ტიპის თვითმავალი საარტილერიო დანადგარებიც. „ნონაც“ მედესანტეთა ჯავშანტრანსპორტიორის БТР-Д-ს ბაზაზეა შექმნილი და მის კოშკურაში უნივერსალური 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნია დამონტაჟებული. ამ ნაღმსატყორცნის უნივერსალობა იმით გამოიხატება, რომ მას შეუძლია ისროლოს როგორც სპეციალურად „ნონასთვის“ შექმნილი 120მმ-იანი კალიბრის ჭურვები. ისე თითქმის ყველა ტიპის (მათ შორის NATO-ს შეიარაღებაში არსებულის) 120მმ-იანი ნაღმი.

ნაღმსატყორცნი, თანაც, თვითმავალი, ბევრად უფრო ეფექტიანია მთებში ბრძოლისას, ვიდრე ქვემეხები და თვით ჰაუბიცაც კი.

„ნონა“ თავის 120მმ-იან ჭურვს მაქსიმალურ 8,8კმ-ზე, ხოლო 120მმ-იან ნაღმს კი 7,1კმ-ზე ისვრის, რაც მხედველობაში უნდა მიიღონ ზემო აფხაზეთის დამცველებმა.

ახლო მანძილიდან „ნონას“ განადგურება РПГ-7-ით ისევ ადვილია, როგორც БМД-2-ის თუ БТР-Д-სი.

*ირაკლი ალადაშვილი*



რუსეთის არმიამ გროზნოში ასობით ჯავშანტექნიკა დაკარგა, მათ შორის მედესანტეთა საბრძოლო მანქანები БМД-1 და БМД-2-ები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჰაერო თავდაცვის სისტემის ეტაპობრივი განვითარების მეთოდიკა და რეკომენდაციები

*(დასაწყისი იხ. „არსენალი“ №14)*



## რეკომენდაციები საჰაერო თავდაცვის განვითარებაზე

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გასული ომები და კონფლიქტები გამოირჩეოდა საჰაერო თავდასხმის საშუალებებისა და განსაკუთრებით ავიაციის მასშტაბური გამოყენებით, რომელთაც შესწევს უნარი სხვა სახეობებისგან დამოუკიდებლად მიაყენოს მოწინააღმდეგეს სამხედრო-ეკონომიკური ზარალი, დეზორგანიზება გაუკეთოს სამხედრო-პოლიტიკური მართვის სისტემას, შებოჭოს ძირითადი ძალები და არ მისცეს მათ გაშლის საშუალება.

საჰაერო თავდასხმის საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი შესწევთ მხოლოდ საჰაერო თავდაცვის ძალებს. სწორედ საჰაერო თავდაცვის ძალები ერთვებიან პირველნი ბრძოლაში და მათ ეფექტიან მოქმედებებზეა დამოკიდებული, რამდენად მიაღწევს საჰაერო მოწინააღმდეგე დასახულ მიზანს, განსაკუთრებით ომის საწყის ეტაპზე. ამით განისაზღვრება საჰაერო თავდაცვის ძალების განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ამ მიზნის მისაღწევად საჰაერო თავდაცვის ძალები ასრულებენ შემდეგ ამოცანებს:

1. მშვიდობიანობის დროს საჰაერო მოწინააღმდეგის დაზვერვის უწყვეტი წარმოება; საჰაერო სივრცეში საჰაერო მოწინააღმდეგის შემოჭრის აღკვეთა; საჰაერო სივრცის გამოყენების გაკონტროლება;
2. ომიანობის დროს საჰაერო თავდასხმის საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლა; ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრებისა და სამრეწველო-ეკონომიკური რაიონების, ასევე, ჯარების დაჯგუფებების, აეროდრომების, მართვის პუნქტებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა საჰაერო მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან.

არსებობს საჰაერო თავდაცვის მოწყობის ორი მიდგომა: უწყებრივი და სისტემური.

უწყებრივი მიდგომა ითვალისწინებს საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების განვითარებას ჯარების სახეობების მიხედვით: სამხედრო-საჰაერო ძალების საჰაერო თავდაცვა ან საჰაერო თავდაცვის ძალები ცალკე სახეობად, სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვა (ე.წ. საჯარისო საჰაერო თავდაცვა), საზღვაო ფლოტის საჰაერო თავდაცვა. უწყებრივი მოწყობისას საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებს შორის ურთიერთქმედება სუსტია, შექმნილია მართვის ზედმეტი სტრუქტურები, რომლებიც ჯარების სხვადასხვა სახეობას ეკუთვნის, უფლებების ვიწრო ჩარჩოებით. ამ შემთხვევაში მართვა დაქსაქსული და არაეფექტიანია. ძნელია უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომიანობის დროს. ხშირ შემთხვევაში, ისინი ხელს უშლიან ერთმანეთს, ხშირად კი ერთმანეთის იმედზე არანაირ ზომას არ იღებენ. არ არსებობს კადრების მომზადებისა და ზრდის ერთიანი სისტემა, რაც უარყოფითად ზემოქმედებს მათი მომზადების დონეზე და სტიმულირებაზე თანამდებობრივი ზრდის მხრივ. ასეთი მიდგომისას სახელმწიფოს საჰაერო თავდაცვის ერთიანი სისტემა არ არსებობს და მხოლოდ დეკლარირებულია (ა.ს.: იგივე მინუსები აქვს ავიაციის დაშლას სახეობების მიხედვით).

საჰაერო თავდაცვის საშუალებების უფრო რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებისათვის მიზანშეწონილია სისტემურ მიდგომაზე გადასვლა. სისტემური მიდგომა ითვალისწინებს საჰაერო თავდაცვის არსებული საშუალებების ერთი პირისთვის დაქვემდებარებას ტერიტორიული პრინციპით. პატარა გეოგრაფიული ზომების ქვეყნისთვის მიზანშეწონილია საჰაერო თავდაცვის საშუალებების ერთ სახეობაში ჩამოყალიბება.

NATO-ს საჰაერო თავდაცვის სისტემა ტერიტორიულად დაყოფილია ზონებად, რაიონებად და სექტორებად. ჩვენ არა მარტო ტექნიკურად უნდა შევქმნათ NATO-სთან თავსებადი საჰაერო თავდაცვის სისტემა, არამედ სტრუქტურულად ისე უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ საქართველოს NATO-ში შესვლის შემდეგ ჩვენი საჰაერო თავდაცვის სისტემის მიერთებაც უმტკივნეულოდ მოხდეს.

ლოკალური ომების საბრძოლო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეალურად სხვადასხვა სახეობის და გვარეობის საბრძოლო მოქმედებების შეთანხმება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უფლებამოსილება. ურთიერთქმედება ერთ-ერთი რთული საკითხია საბრძოლო მოქმედებების ორგანიზებისას.

ურთიერთქმედების ორგანიზებას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

1. არსებული საჰაერო თავდაცვის საშუალებების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება;
2. საკუთარი ავიაციის მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავისივე საზენიტო საშუალებების ცეცხლისგან.

სისტემური მიდგომისას ორი გზით

შეიძლება წასვლა.

1. როგორც აღვნიშნეთ, საჰაერო თავდაცვის ყველა საშუალებას თავი მოვუყაროთ ჯარების ერთ სახეობაში. ამ შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას, ვითარებიდან გამომდინარე, გაერთიანებული შტაბის გადაწყვეტილებით სახმელეთო ჯარებს გამოეყოფა საჭირო რაოდენობის საზენიტო საშუალებები. დანარჩენები კი უზრუნველყოფენ ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების საჰაერო თავდაცვას.

2. სახმელეთო ჯარებს აქვთ თავიანთი საჰაერო თავდაცვის საშუალებები. საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას, შესაძლოა, მათ გამოეყოთ საჰაერო თავდაცვის დამატებითი ძალები ან პირიქით, მათგან გამოიყოს სხვა ამოცანების შესასრულებლად.

ორივე შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორია უნდა დაიყოს საჰაერო თავდაცვის ორ ან მეტ სექტორად. სექტორებში უნდა დაინიშნოს საჰაერო თავდაცვის ტერიტორიული უფროსი, ანუ სექტორის მეთაური. როგორც წესი, სექტორის მეთაურად ინიშნება საჰაერო ძალების რომელიმე ქვედანაყოფის მეთაური. სექტორის შიგნით უნდა შეიქმნას მართვის ერთიანი სისტემა. სექტორის მეთაურს ექვემდებარება მისი ტერიტორიის საზღვრებში განლაგებული საჰაერო თავდაცვის ყველა ქვედანაყოფი.

მკითხველს არ გადავღლით სექტორის შიგასტრუქტურული მოწყობის დეტალებით. მხოლოდ მთავარს აღვნიშნავ, რომ მთელი ქვეყნის და მისი შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდაცვაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი პირი — საჰაერო ძალების სარდალი. გამანადგურებელი ავიაცია, საზენიტო-სარაკეტო ჯარები და საჯარისო საჰაერო თავდაცვა უნდა განვითარდეს ერთი გეგმით, ერთიანი სახელმწიფო პროგრამით, გადასაწყვეტი ამოცანებიდან გამომდინარე.

მომავალში არასდროს აღარ უნდა დადგეს ეჭვქვეშ ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ერთ სახეობაში ყოფნა. ასევე მცდარია და დამღუპველი ავიაციისთვის საარმიო ავიაციის შექმნის იდეა. საარმიო ავიაციის ცალკე გამოყოფას არც ერთ ქვეყანაში არ მოუტანია დადებითი შედეგები. „მიწა-ჰაერი", „ჰაერი-ჰაერი" და „ჰაერი-მიწა" ტიპის ყველა სისტემა გაერთიანებული უნდა იყოს ერთ სტრუქტურაში, უნდა ავითარებდეს და მართავდეს ერთი პირი, ერთიანი გეგმით, ორი მთავარი მიზნის — ეფექტიანობისა და უსაფრთხოების მისაღწევად.

## მართვისა და დაზვერვის სისტემა

მართვისა და დაზვერვის სისტემა არის საჰაერო სივრცის კონტროლის სისტემის საფუძველი. განვითარების მთავარ მიზნად უნდა იქცეს საჰაერო სივრცის დარღვევის დაფიქსირების, შეტყობინების და ამოცანის დასახვის ვადის მინიმუმამდე დაყვანა.

მცირე გეოგრაფიული ზომების გამო ყველაზე დიდ პრობლემას დროის ფაქტორი წარმოადგენს. ამიტომ პირველი მოთხოვნა საჰაერო მიზნების საზღვრიდან მაქსიმალურ დაშორებაზე აღმოჩენაა. ნებისმიერი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის მზადყოფნაში მოსაყვანად მინიმუმ 5 წუთია საჭირო. ამ ვადაში უნდა მოხდეს დარღვევის დაფიქსირება (მიზნის აღმოჩენა და მისი იდენტიფიცირება, როგორც დამრღვევი საფრენი აპარატის), მოხსენება დარღვევის ფაქტის შესახებ ქვედა ინსტანციებიდან უმაღლეს მთავარსარდლამდე, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების დაყვანა საზენიტო და საავიაციო ქვედანაყოფებამდე. სიტყვიერ მოხსენებებზე საკმაოდ დიდი დრო იკარგება, რადგან ყველა ინსტანციაზე დაკავშირებასა და სიტუაციის დეტალურ ახსნას საკმაო დრო ესაჭიროება.

უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტთან ახლოს მოწყობილი უნდა იყოს ავტომატიზებული სამუშაო ადგილი, რომელზეც ასახული უნდა იყოს სრული საჰაერო სურათი. ასეთივე სამუშაო ადგილი უნდა იყოს გაერთიანებული შტაბის უფროსთან. უმაღლესი მთავარსარდლისთვის კი დამატებით მცირე მონიტორი უნდა დამონტაჟდეს სამსახურებრივ ავტომობილშიც და, შესაძლოა, შვეულმფრენშიც. მოხსენება კი ერთდროულად უნდა მოხდეს ყველა ინსტანციისთვის, რაც მინიმუმ ორჯერ შეამცირებს დროს. საჰაერო ძალების ცენტრალურ საკომანდო პუნქტზე უმაღლესი მთავარსარდლის სამუშაო ადგილის მოწყობა მოდად იქცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ვფიქრობ, ეს ხელს შეუშლის და დაძაბულობას შეიტანს ცენტრალურ საკომანდო პუნქტზე. ასეთი სამუშაო ადგილი უნდა მოეწყოს შეიარაღებული ძალების მართვის ცენტრში, სადაც ასევე უნდა დამონტაჟდეს ავტომატიზებული სამუშაო ადგილი, რომელზეც ცენტრალური საკომანდო პუნქტიდან გადმოცემული იქნება საჭირო მოცულობისა და ხარისხის ინფორმაცია საერთო გადაწყვეტილების მისაღებად და ვითარების გასაკონტროლებლად.

მართვისა და დაზვერვის სისტემები მოქნილი სტრუქტურით უნდა მოეწყოს.



შესაძლებელი უნდა იყოს საჭირო მოცულობისა და ხარისხის ინფორმაცია მიეწოდოს ყველა ქვედანაყოფს. ასევე მართვისა და დაზვერვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს როგორც ცენტრალიზებული, ასევე დეცენტრალიზებული მართვა ყველა დონეზე. შექმნილი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების მართვას ლოკალურ დაჯგუფებებში.

შეძენილი უნდა იქნეს სხვადასხვა დიაპაზონის რადარები. გაფართოებას საჭიროებს პასიური რადარების პარკი. შესაძენია ასევე რადიოელექტრონული ბრძოლის რადარები, რომელთა გამოყენება უნდა მოხდეს დაზვერვის ინტერესებისათვისაც. საკომანდო პუნქტებზე შესაძლებელი უნდა იყოს როგორც აქტიური, ასევე პასიური რადარების ინფორმაციის ერთ მონიტორზე ასახვა. პასიური რადარების მომსახურე პერსონალის მომზადებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს თანამედროვე რადარების უსაფრთხოებისა და შენიღბვის უზრუნველყოფაზე. ეს ტაქტიკური საკითხებია და არ შედის სტატიის თემაში. ტაქტიკასა და ოპერატიულ ხელოვნებას შეიძლება ცალკე სტატია დაეთმოს მომავალში (თუ მშვიდობამ შეგვიწყო ხელი).

მართვისა და დაზვერვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს შეიარაღებული ძალების სახეობებთან ურთიერთქმედებას, უნდა იყოს მდგრადი, უწყვეტი და ფარული. საჰაერო თავდაცვის ძალების ეფექტიანი მოქმედებები სწორედ მართვისა და დაზვერვის სისტემაზეა დამოკიდებული.



## საავიაციო-გამანადგურებელი, საზენიტო ცეცხლის და რადიოელექტრონული ჩახშობის სისტემა

საჰაერო მოწინააღმდეგეზე ზემოქმედება (განადგურება ან ხელის შეშლა ამოცანის შესრულებისას) შესაძლებელია ავიაციის, საზენიტო კომპლექსებისა და რადიოელექტრონული ჩახშობის რადარების მეშვეობით. რადიოელექტრონული ბრძოლის საკითხებს არ ექცევა ყურადღება, რაც ჩვენი სპეციალისტების დიდი მინუსია. ხაზს ვუსვამ — სპეციალისტების და არა — ხელისუფლების. მთავრობის ასე დიდი მხარდაჭერისა და დაფინანსების პირობებში, ამ სამი წლის განმავლობაში, მეტი უნდა გაკეთებულიყო სამივე აქტიური კომპონენტის განვითარებისათვის. ახლა კი რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობების ფონზე უამრავი მწვავე პრობლემის უმოკლეს ვადებში გადაწყვეტა მოგვიწევს. მთავარია, ვინმეს ესმოდეს ეს პრობლემები და მუშაობდეს მათ მოგვარებაზე.

გამანადგურებელი ავიაცია აუცილებელია საქართველოსთვის. სხვაგვარად მთაგორიანი რელიეფის პირობებში საჰაერო სივრცის სრული კონტროლი შეუძლებელია. ჩემთვის უცნობია, რა სტადიაშია გამანადგურებლების შეძენის საკითხი. იმედია, ასეთ სერიოზულ საკითხს პერსპექტივაზე გათვლით გადაწყვეტენ. მნიშვნელოვანია შეძენილი საავიაციო ტექნიკის ათვისების სისწრაფის გათვალისწინებაც. თუ ტექნიკას 4-5 წელიწადს ვერ გამოვიყენებთ ბრძოლაში, მის შეძენას აზრი ეკარგება. მფრინავი და ტექნიკური შემადგენლობის მომზადება შეთანხმებულად უნდა მოხდეს. უნდა გათვალისწინებულ იქნეს ექსპლუატაციისა და ლოგისტიკის პრობლემები.

როგორც პრესაში დაიწერა, სამი სხვადასხვა ტიპის საზენიტო კომპლექსებია შეძენილი. ეს კიდევ ერთი შეცდომაა საჰაერო თავდაცვის ხელმძღვანელობისა. მოგვიწევს სამ სხვადასხვა ტიპის კომპლექსზე სპეციალისტების (თითო კომპლექსზე რამდენიმე ათეული სხვადასხვა სპეციალობაა) და უზრუნველყოფის საკითხების მოგვარება, რაც ზედმეტ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. გარდა დანახარჯებისა, ეს პრობლემები მომავალში უფრო მკვეთრად გამოჩნდება ექსპლუატაციისას.

საზენიტო კომპლექსებით დაცული უნდა იყოს დედაქალაქი, ზღვის აკვატორია პორტებითა და ტერმინალებით, აეროდრომები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. ჯარების დაჯგუფებების საჰაერო თავდაცვა უნდა განხორციელდეს საზენიტო ცეცხლის როგორც ერთიან სისტემაში, ასევე საშტატო ქვედანაყოფების საშუალებით. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება კომპლექსების რაოდენობისა და ტიპების გათვლა. უნდა ვიფიქროთ უფრო შორი მოქმედების საზენიტო კომპლექსების შეძენაზე. ბევრი კომპლექსის ქონა არ ნიშნავს იმას, რომ დაცული ვიქნებით. მთავარია, ყველა დონის სპეციალისტის დახელოვნება, მუდმივი წვრთნები, გამოცდილების შეძენა და ახალი ტაქტიკური ხერხების ძებნა. ჰაერსაწინალო ბრძოლა ნადირობაა, ხან თავისით მოდის საჰაერო მტერი შენზე, ხან კი უნდა ეძებო, უნდა ჩაუსაფრდე...

რადიოელექტრონული ბრძოლა (რებ) თანამედროვე ჰაერსაწინალო და საჰაერო ბრძოლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ეფექტიანი და დროული ჩახშობით შეიძლება მოწინააღმდეგეს არ მისცე ამოცანის შესრულების საშუალება. ოღონდ რებ-ის რადარების შეძენისას უნდა გავითვალისწინოთ, რომელი ქვეყნის წინააღმდეგ ვაპირებთ მის გამოყენებას, რათა ძველი შეცდომები არ გავიმეოროთ. საბჭოური წარმოების რებ-ის ტექნიკით ეფექტიანად ვერ ვიბრძოლებთ საბჭოური წარმოების ავიაციის წინააღმდეგ.

შექმნილმა ცეცხლის (საავიაციო და საზენიტო) და ჩახშობის სისტემამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

— ცეცხლის (მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების) ეშელონირება, მობილური ჯგუფების გამოყოფა;

— ცეცხლის ავტომატიზებული მართვა;

— დაბალ სიმაღლეზე მფრენი მიზნების წინააღმდეგ ბრძოლა;

ჩასაფრებების შექმნა, ე.წ. მოხეტიალე ქვედანაყოფების მოქმედებების მართვისა და ცეცხლის ერთიან სისტემაში.

## დასკვნა

*— საჰაერო თავდაცვის სისტემის და მისი შემადგენელი ნაწილების (კომპონენტების) დაგეგმვა უნდა მოხდეს კომპლექსურად;*

*— საჰაერო თავდაცვის მოწყობასა და მის წარმოებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი პირი, ანუ უნდა ავირჩიოთ ტერიტორიული პრინციპი ნატო-ს საჰაერო თავდაცვის ერთიანი სისტემის მაგალითზე;*

*— უნდა შეიქმნას შერეული დაჯგუფებები (ოღონდ არა შერეული სამხედრო ნაწილები, რისი შექმნის იდეებიც ახლა არსებობს) შესაბამისი მართვის სისტემით;*

*— საჰაერო თავდაცვის მართვის ერთიანი სისტემის შექმნა უნდა გახდეს ტექნიკური რეფორმის მთავარი მიზანი;*

*— დაზვერვის სისტემის სრულყოფის გარეშე შეუძლებელი იქნება ეფექტიანი საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნა. კონფლიქტური ზონების მიმართულებებზე, განსაკუთრებით ხეობებში, უნდა შეიქმნას ვიზუალური სათვალთვალო მოძრავი საგუშაგოები სათანადო აღჭურვილობით;*

*— უნდა შეიქმნას მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ქსელები;*

*— პერსპექტიული მოდელის დაგეგმარებისას ყურადღება უნდა მიექცეს გამანადგურებელი ავიაციისა და საზენიტო კომპლექსების ურთიერთთანაფარდობის საკითხს;*

*— საჰაერო თავდაცვის (საჰაერო ძალების) სპეციალისტების მომზადების საკითხი უნდა გაიწეროს საჰაერო თავდაცვის განვითარების პროგრამებში. სპეციალისტთა საჭირო რაოდენობა კი უნდა გაითვალოს გრძელვადიან პერსპექტივაზე;*

*— საჰაერო თავდაცვის განვითარების პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ გათვლებს.*

ამირან სალუქვაძე
საჰაერო ძალების სარდალი 2003-2005 წ.წ.

# რეაქტიულმა ჭურვმა ფრენის ახალი რეკორდი დაამყარა



ამერიკის არმიამ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემიდან მართვადი რაკეტის GMLRS-ის გამოცდისას ფრენის სიშორის ახალი რეკორდი დაამყარა და 85 კილომეტრით დაშორებული სამიზნე დააზიანა.

მართვადი რაკეტა GMLRS-ის გასაშვებად MLRS-ის და HIMARS-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები გამოიყენება. ახალი რაკეტა ეფექტიანობით უმართავ რეაქტიულ ჭურვებს მნიშვნელოვნად აღემატება და საბრძოლო კომპლექტის ხარჯს ხუთჯერ ამცირებს.

ამერიკის არმია საბრძოლო მოქმედებათა ზონებში მაღალი სიზუსტის დარტყმებისათვის GMLRS-ს უკვე იყენებს. ცნობილია, რომ ავღანეთსა და ერაყში მისი გამოყენებით 750 სამიზნე განადგურდა.

სამიზნეებად გამოდგება საარტილერიო დანადგარები, საჰაერო თავდაცვის საშუალებები, საავტომობილო და მსუბუქად დაჯავშნული ტექნიკა, ჯავშანტრანსპორტიორები და ცოცხალი ძალის თავმოყრის ადგილები და სხვ.

# ამერიკის არმიამ რაკეტისაგან განცალკევებული ქობინი გაანადგურა



აშშ-ის არმიამ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოსა და კომპანია Lockheed Martin-თან ერთობლივად გამოცადა მობილური სარაკეტო რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი THAAD-ი. პირველად მოხერხდა რაკეტის ამაჩქარებელ საფეხურს ჩამოშორებული საბრძოლო ნაწილის გადაჭრა-განადგურება.

ბალისტიკური რაკეტის იმიტაცია სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ C-17-დან ჩამოგდებულმა სამიზნემ შეასრულა. დაახლოებით ექვსი წუთის შემდეგ THAAD-ის მობილური დანადგარიდან გასროლილმა რაკეტამ ატმოსფეროს საშუალო შრეებში სამიზნე პირდაპირი მორტყმით გაანადგურა.

უახლეს თვეებში ამერიკის არმია THAAD-ის პირველი დივიზიონის ფორმირებას შეუდგება. მომავალი წლიდან საბრძოლო მორიგეობაზე დადგომა იგეგმება.

მობილური კომპლექსი THAAD განკუთვნილია მცირე და საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების გადასაჭრელად, როგორც საბოლოო, ასევე საშუალო არაატმოსფერულ მონაკვეთზე ფრენის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არტილერისტები ორფოლოში

## პოლიგონზე თავდაცვის ეროვნული აკადემიის მსმენელებთან ერთად

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი კურსი მიმდინარეობს. ამ დროისთვის აკადემიის მსმენელებმა უკვე გაიარეს საწყისი და საკარიერო კურსები. ოფიცერთა მომზადების პროგრამის მიზანია, მომზადდნენ სახმელეთო ჯარებისათვის ქვეითი ოცეულის მეთაურები, რომლებსაც გამომუშავებული ექნებათ ოცეულის მეთაურისათვის დამახასიათებელი ხელმძღვანელობის უნარ-ჩვევები. ისინი შეისწავლიან ქვეითი ოცეულის მართვას, რათა შეძლონ შერეული ქვეითი ასეულისა და შერეული ბატალიონის მასშტაბით სხვადასხვა ტიპის შეიარაღებისა და ტექნიკის ტაქტიკური გამოყენება, საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის პრინციპების გამოყენება ოცეულიდან ბატალიონის დონემდე. სახმელეთო ჯარების ოფიცერთა მომზადების ძირითადი კურსის განმავლობაში მსმენელები კონკრეტული სამხედრო სპეციალობების მიხედვით ემზადებიან. ძირითადი კურსის განმავლობაში ხშირია საველე სწავლებებიც. ამ დროს მსმენელები სამხედრო ტექნიკაზე მუშაობენ.

ორფოლოში, საწვრთნელ პოლიგონზე ტელეკომპანია „საქართველოს" გადამღები ჯგუფი საარტილერიო უმცროს



ოფიცერთა მომზადების კურსის გასაშუქებლად ჩავიდა. მომავალი არტილერისტები ბუქსირებადი საარტილერიო 152-მილიმეტრიანი ქვემეხ МСТА-Б-ის საბრძოლო სროლებში ვარჯიშობდნენ. ამ იარაღის სროლის მაქსიმალური სიშორე 24.7 კილომეტრს შეადგენს. თითო ქვემეხის გათვლა 6 კაცისგან შედგება. სროლის მაქსიმალური ეფექტიანობისათვის გათვლამ კოორდინირებულად უნდა იმოქმედოს. ტექნიკითა და საბრძოლო მასალებით თავდაცვის ეროვნულ აკადემიას ამ შემთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვევაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მეხუთე ქვეითი ბრიგადა დაეხმარა. სროლა წარმოებდა სამი ქვემეხიდან. ყოველი გასროლის წინ მოწმდებოდა მსმენელის დაკვირვების, დამიზნებისა და ბრძანებაზე რეაგირების მონაცემები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოწმდებოდა ინდივიდუალური სროლის შედეგებიც. მსმენელი თავად უმიზნებდა და ბრძანების შემდეგ ინდივიდუალურად ისროდა. სროლისა და დამიზნების სიზუსტეზე იყო დამოკიდებული, მიიღებდა თუ არა მსმენელი ჩათვლას.

სამიზნეები სხვადასხვა მანძილზე მდებარეობდა, რაც დამიზნებას ართულებდა, თითო მსროლელს რამდენიმე სამიზნეზე უნდა მოეხდინა რეაგირება.

რაც შეეხება პირობით სამიზნეებს, მომავალი არტილერისტები მეტყვიამფრქვევს, ტანკს, ქვეითთა საბრძოლო მანქანასა და სხვა პირობით სამიზნეებს ანადგურებდნენ. სროლა პირდაპირი დამიზნებით წარმოებდა. აკადემიის მსმენელებმა სხვადასხვა საარტილერიო დანადგარზე თეორიული მომზადება უკვე გაიარეს. საბრძოლო სროლებამდე მათ Д-30 ტიპის 122-მილიმეტრიანი ქვემეხის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები შეისწავლეს, მათ შორის საველე ვითარებაშიც. შეისწავლეს ყუმბარსატყორცნების გამოყენება და ა. შ.. უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი კურსის განმავლობაში, რომელიც 21 კვირა გრძელდება, აკადემიის მსმენელები რამდენჯერმე გაივლიან პრაქტიკულ მომზადებას საველე პირობებში.



თეორიული კურსის შემდეგ პრაქტიკებს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს როგორც ინსტრუქტორებმა, ისე მსმენელებმაც კარგად იციან. სწორედ ამ დიდი მონდომებისა და ინტერესის სინთეზი ვიხილეთ ორფოლოს საწვრთნელ პოლიგონზე. აკადემიის მსმენელებმა საუკეთესო შედეგი აჩვენეს და პირობითი მოწინააღმდეგე გაანადგურეს. რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი უმცროსი ოფიცრის წოდებას მიიღებენ და უკვე შეეძლებათ შერეული საარტილერიო ბატარეისა და შერეული დივიზიონის მასშტაბით სხვადასხვა ტიპის შეიარაღებისა და ტექნიკის ტაქტიკური გამოყენება, ასევე საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის პრინციპების გამოყენება ოცეულიდან ბატალიონის დონემდე.

ტელეკომპანია
„საქართველო“
გიორგი თუხარელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# МШВИДОБА

## რუსული აქცენტით?..




„ჩვენ ერთნაირად ვიცავთ როგორც ქართველებს, ასევე აფხაზ და ოს მშვიდობიან მოსახლეობას. როცა კაცს უჭირს, რა მნიშვნელობა აქვს ღამის სამ საათზე ვისი გულისთვის გავიღვიძებ და ვის დავეხმარები, რა ეროვნების ფეხმძიმე ქალი იქნება ცხინვალიდან გორში გადასაყვანი, არც მათთვის ვიზარებ არაფერს. ჩემი ავტომანქანითაც გადამიყვანია გორის საავადმყოფოში ორსული, მაგრამ არასდროს მიკითხავს, ოსი იყო თუ ქართველი“, – ამბობს სამშვიდობო ოპერაციების შტაბის უფროსი, სამშვიდობო ჯარების მთავარსარდალი, ბრიგადის გენერალი მამუკა ყურაშვილი.

კონფლიქტური რეგიონების არაქართველმა მოსახლეობამ ნელ-ნელა გაიაზრა შექმნილი ვითარება. სწორედ ამიტომაც ხშირად მიმართავენ დასახმარებლად ქართველ ჯარისკაცებს და არა თანამემამულეებს.

თუმცა, რუსეთი სულაც არ ფიქრობს ასე. დღითი დღე აძლიერებს თავის პოზიციას კონფლიქტურ რეგიონებში, განსაკუთრებით აფხაზეთში. აქ დსთ-ის ძალების ნაცვლად მხოლოდ რუსეთია წარმოდგენილი. თვე არ გავა, რუსმა სამხედროებმა კოდორის ხეობაში ტაქტიკური წვრთნა არ ჩაატარონ. ხშირად აფხაზთა კონტროლირებად ტერიტორიაზე და მასში აფხაზი ოფიცრებიც მონაწილეობენ, მერე კი მიღებულ გამოცდილებას ხელქვეით სამხედროებს უზიარებენ. ოფიციალური თბილისი კი არ ღალატობს ხელშეკრულების პირობებს და კონფლიქტურ რეგიონში მხოლოდ სამხედრო საპოლიციო ძალები და 18-კაციანი სადამკვირვებლო ჯგუფი ჰყავს.

ცხინვალის რეგიონში ამჟამად პირველი ბრიგადის ერთ-ერთი ბატალიონი დგას. ბოლო დროს რეგიონებში გახშირებული პროვოკაციების გამო საჭიროდ მივიჩნიეთ ბრიგადის გენერალ მამუკა ყურაშვილისთვის კიდევ ერთხელ მიგვემართა.

**— ბატონო მამუკა, რამდენად ხშირად ხართ კონფლიქტის რეგიონებში?**

– საკმაოდ ხშირად. არა მარტო იმ შემთხვევებში, როცა რაიმე ხდება. პრევენციის მიზნითაც ჩავდივარ და ვაკონტროლებ სიტუაციას. მოგეხსენებათ, კოდორსა და ცხინვალში სხვადასხვა სამშვიდობო ფორმატია. ცხინვალთან ჩვენი ბატალიონი დგას, 560 კაცის შემადგენლობით. როტაცია 6 თვეში ერთხელ ხდება, ზუგდიდში 18-კაციანი სადამკვირვებლო ჯგუფია, რომლებიც საგუშაგოებზე არიან გადანაწილებულნი. სეპარატისტებს დაუჟინიათ, ხეობიდან ჯარი გაიყვანეთო! მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, – კოდორის ხეობაში ჯარი არ დგას. იქ არიან პოლიციური ძალები. არაადეკვატურია მეორე მოთხოვნაც, ცეცხლის განუახლებლობის აქტის ხელმოწერის თაობაზე. რატომ უნდა დავიწყოთ შეიარაღებული დაპირისპირება ჩვენივე ტერიტორიებზე? ჩვენ თავს არავის ვესხმით.

**— რამდენიმე თვის წინ ჩვენთან საუბრისას განაცხადეთ, რომ დაგეგმილი გქონდათ ცხინვალის რეგიონში ახალი საგუშაგოების გახსნა, ძველ, ნაკლებსახარბიელო ადგილებზე განთავსებულების გადატანა სტრატეგიულად გამართლებულ ადგილებზე. მაშინ, ძირითადად, გუფთის ხიდზე იყო ლაპარაკი.**

– ოფიციალური თბილისი ტყუილად როდი აყენებს ფორმატის შეცვლის საკითხს. ძირითადად, მხედველობაში მაქვს მობილური და სტაციონარული საგუშაგოები. ამაზე მეტი რაღა გინდათ, – 2005 წლის 20 სექტემბერს ცხინვალში ტექნიკა ჩამოატარეს, რაც ყოვლად დაუშვებელია კონფლიქტის ზონაში. ეს სწორედ არაკონტროლირებადი ძარის გზით, გუფთის ხიდის გავლით მოახერხეს. მხოლოდ ეს ფაქტიც კი საკმარისი იყო, რომ იქ საგუშაგო განგვეთავსებინა, მით უმეტეს, რომ გუფთის ხიდი კონფლიქტის ზონაში შედის, მაგრამ საკმარისია დავსვათ საკითხი, რომ მაშინვე ჩააგდებენ.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოდორის მიმართულებით ოთხი ახალი საგუშაგო გაიხსნა.**

– ძალების გაძლიერება შეინიშნება... კონკრეტულად რაიმეს თქმა ძნელია, რადგან ქართველ დამკვირვებლებს, არ აძლევენ მონიტორინგის ჩატარების უფლებას. ჩვენი ინფორმაციით, საგუშაგოები გახსნილია. როგორც წესი, რუსული სამშვიდობო ქვედანაყოფისაა, მაგრამ მათ უკან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, აფხაზები დგანან. ჩათვალეთ, რომ ის საგუშაგოები უკვე აფხაზებს უკავიათ. ის 4 საგუშაგო, რომელიც თქვენ ახსენეთ, ზუსტად იმ დაუსჯელობის სინდრომის ბრალია, რაც აქამდე იყო გამეფებული. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ე.წ. სამშვიდობო ძალები არ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. მაგალითად, გალის რაიონში არ არის დაცული მოსახლეობის უსაფრთხოების ნორმები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება სხვა მიზანს ემსახურება, მიზანი კი ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

**— ბოლო დროს გახშირდა ენგურის ხიდის ჩაკეტვა და ხიდზე გადასვლის სანაცვლოდ მოსახლეობისთვის ფულის გამოძალვა. ეს დიდ დისკომფორტს უქმნის ხალხს.**

— ეს ყოვლად დაუშვებელი ფაქტებია. სამშვიდობო ქვედანაყოფს, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ მიმართულებაზე იქნება, ცხინვალის თუ აფხაზეთის. ფუნქცია-მოვალეობაში უწერია, რომ არ უნდა დაუშვა გზების ჩაკეტვა და როდესაც თავად ხდება ამის ინიციატორი, რაღაზეა ლაპარაკი. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ხიდზე მიმოსვლა შემოსავლის წყაროდ აქვთ გადაქცეული, თანაც, ამითაც ერთგვარად ცდიან ჩვენს მოთმინებას, თორემ ფორმატით ეს დაუშვებელია. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, — ჩვენ არ გვეძლევა კონკრეტულ მომენტებზე რეაგირების საშუალება. ის ინფორმაცია, რაც გვაქვს, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობის მოწოდებულია. კონკრეტულად ეს შემთხვევა ერთ-ერთი რგოლია დარღვევების დიდი ჯაჭვისა. იგივე ხდება თამარაშენშიც. 2007 წლის 10 სექტემბრიდან გზა ჩაკეტილია. მაშინ სამშვიდობო ჯარების სარდალ გენერალ კულახმეტოვს ცხვირწინ დაულაგეს ბლოკები. სამშვიდობო ძალების უპირველესი დანიშნულება ის არის, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის გადაადგილება არ შეიზღუდოს.

**— ახდენთ თუ არა რეაგირებას ან აკონტროლებთ თუ არა ასეთ სიტუაციებს?**

— ზუგდიდში გაეროს წარმომადგენლობას ვაცნობებთ ხოლმე ამგვარ ფაქტებს. ყოფილა შემთხვევა, დამაჯერებელი არგუმენტების წარდგენის შემდეგ გზა გაუხსნიათ. დღეს სიტუაცია დაძაბულია, მაგრამ კონტროლს ექვემდებარება. სხვათა შორის, დამკვირვებლებიც გვიქმნიან პრობლემებს. როცა ქართული სოფლებიდან რაიმე ფაქტზე შემოდის სიგნალი, რომელიც სწრაფ რეაგირებას მოითხოვს და ჩვენ მხოლოდ მონიტორინგით შეგვიძლია შემოვიფარგლოთ, საქმე საათობით გაჭიანურდება ხოლმე, ხან ერთ დამკვირვებელს ვერ პოულობენ და ხან მეორეს.

**— კოდორისა და გალის ხეობებში რუსული სამხედრო ძალებია მობილიზებული, სამშვიდობოები პროფესიონალმა სამხედროებმა შეცვალეს. რა ღონისძიებებს მიმართავთ საპასუხოდ?**

— მედესანტეების ყოფნა კონფლიქტურ ზონაში სამშვიდობო პროცესისაგან ძალზე შორი ცნებაა, თანაც, ამას მოჰყვა ჰაუბიცების Д-30-ების შემოტანა. ამ ტიპის იარაღის ჩართვა სამშვიდობო პროცესში ყოვლად მიუღებელია. რუსებს შემოყვანილი ჰყავთ ჯარის თითქმის ყველა სახეობა. საჰაერო თავდაცვის ჯარების კომპონენტიც გამოუჩნდათ. პრეტენზია აქვთ საზღვაო აკვატორიაზეც. რა თქმა უნდა, ეს პროვოკაციაა. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმისა და გრაფიკის მიხედვით ვიმოქმედოთ. კოდორის ხეობაში ქართული მხარე ისევ პოლიციური ძალებით არის წარმოდგენილი და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მისიას.

მამუკა ყურაშვილი და მარატ კულახმეტოვი



**— განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია რუს „სამშვიდობოებსა“ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ასეთ სიტუაციაში რამდენად გამართლებულია ჩვენი დამთმობი პოლიტიკა?**

— ამას ვერ გავექცევით, რადგან კონფლიქტის ზონაა. მაქსიმალურად ვცდილობთ, მხარში ამოვუდგეთ ადგილობრივ მოსახლეობას, იქნება ეს ქართველი, აფხაზი თუ ოსი. სიტუაცია დაძაბულია და შეიძლება კიდევ დაიძაბოს, მაგრამ სადაც ქართულმა მხარემ ერთხელ ფეხი წამოჰკრა, იქ მეორეჯერ იმავეს აღარ აპირებს. კონფლიქტის ზონებში შეიარაღებული ძალების სამი კატეგორია: სამშვიდობოები, ადგილობრივი პოლიცია და ბანდფორმირებები. ბანდფორმირებების საკითხი საქართველომ დიდი ხანია გადაწყვიტა ორივე მიმართულებაზე, მაგრამ დე ფაქტო ხელისუფლებისთვის ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის დაჯგუფებები არიან. ამ ხალხზეა მათი ყოფნა-არყოფნა დამოკიდებული. როგორც კი სასიკეთოდ წავა საქმე, მაშინვე გააქტიურებენ ბანდფორმირებებს. მეტიც, დესტაბილიზაციის შექმნისათვის ხელფასსაც იღებენ დე ფაქტო მთავრობებისაგან. ნაცვლად იმისა, შემხვედრი ნაბიჯები გადმოდგან, ახალგაზრდა თაობას ქართველების სიძულვილს უნერგავენ. ბავშვები მიჰყავთ საფლავებზე და ჩააგონებენ, რომ მამები ქართველმა მოუკლათ.

მიუხედავად იმისა, რომ გაახშირეს პროვოკაციები, ჩვენ მაინც საზოგადოებრივი ზეწოლით, ნორმატიული აქტებით ვაპირებთ მათზე ზეგავლენის მოხდენას. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ, ქართული შეიარაღებული ძალები მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს ნებისმიერს. თუმც, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაცის თეატრში მარიონეტების როლი შევასრულოთ. თავად რუსებიც გაოცებული არიან, რომ ვერ მოახერხეს ჩვენი პროვოკაციაზე წამოგება.

**— ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ქართული ტელეარხით გავიდა სიუჟეტი ცხინვალის რეგიონზე, რომელშიც თქვენც ფიგურირებდით. რამ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დენად გამართლებულია ჩვენი პოზიციებისა თუ სტრატეგიული ობიექტების ასე აფიშირება?**

— ამ სიუჟეტით დიდი საიდუმლო არ გამჟღავნებულა. იქაურმა ბანდფორმირებებმა უნდა იცოდნენ სად, როგორ და რისთვის ვდგავართ. იქ შესვლას არავის ვურჩევ და როგორი პასუხი შეგვიძლია გავცეთ, წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ. ის ტერიტორია, რომელიც სიუჟეტში აჩვენეს, დღევანდელი ტექნიკური მიღწევების წყალობით ისედაც ყველა მხრიდან ჩანს. რუსული მხარეც აქტიურად აწვდის სეპარატისტებს სადაზვერვო ინფორმაციას. ჩვენ სრულიად გახსნილი ვართ მოქმედებებისთვის. შემიძლია ავხსნა კიდევაც, რატომ მოხდა ამის პროვოცირება, — ეს თლიაყანაზე განთავსებულ საგუშაგოებს უკავშირდება. ერთი თვის განმავლობაში მივმართავდით ცხინვალის შტაბს ამ საკითხზე, მიუხედავად ამისა, სამუშაოები არ შეჩერებულა, თითქმის ჰექტარი მიწა გადათხარეს. ჩვენგან განსხვავებით მათი საგუშაგოები ბანდფორმირებებს უკავიათ. ეს კოკოითის იმ გეგმის გაგრძელებაა, რომელიც 2007 წელს დაიწყო, როცა 10 სექტემბერს დე ფაქტო პრეზიდენტმა განაცხადა, ქართული სოფლები ბლოკადაში უნდა მოექცესო. სწორედ ამ ბანდფორმირებების დასანახავად გავაკეთეთ ეს, რომ იცოდნენ, ჩვენთან მოახლოების შემთხვევაში უკან იოლად ველარ წავლენ.

— **საინტერესოა, როგორ მოახერხა რუსეთის ოთხმა საფრენმა აპარატმა ჩვენი საჰაერო სივრცის ასე უცერემონიოდ დარღვევა და ასე შორს შემოსვლა?**

— ჩვენ ჩვენს ტერიტორიებზე შეტევით ოპერაციებს არ ჩავატარებთ. რაც შეეხება რუსეთის უგუნურ მოქმედებას, ამაზე, ალბათ, გაეროს უშიშროების საბჭო გააკეთებს კომენტარს. იმაზე კი, როგორ დაიცავს ასეთი შემთხვევებისაგან საქართველო თავს და რა ღონისძიებებს გავატარებთ, გეტყვით, რომ პასუხი ადეკვატური იქნება.

რუსებმა წარმოუდგენელი რამ გააკეთეს. სამშვიდობო ხელშეკრულებაში გარკვევით წერია, რომ აკრძალულია სამხედრო მოქმედება ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში. სამხედრო მოქმედებებში შედის რაკეტის გაშვებაც. რომელ ხელშეკრულებაში წაიკითხეს, რომ გადამღებმა აპარატმა არ უნდა იფრინოს, „ჰერმესს“ ვგულისხმობ. მე შემიძლია მაცივარი ვაფრინო, ვისი რა საქმეა. კოკოითი გაიძახის, ქსეროქსი დადგეს ქართულ საგუშაგოზეო. ხელშეკრულებაში არსად უწერია სამშვიდობო ძალებს, რომ უნდა შეამოწმოს, პოლიციელს საგუშაგოზე ქსეროქსი უდგას, მაცივარი თუ ტელევიზორი. სამშვიდობოების მოვალეობაა, გზები იყოს გახსნილი. თავად კეტავენ გზებს და გამოდის, სამშვიდობო ძალები კი არა, მესაზღვრეები არიან.

— **ამ რამდენიმე თვის წინ ქართველი სამხედროები აიყვანეს ცხინვალის რეგიონში. ამ შემთხვევაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

— ის ოფიცრები ლოჯისტიკის ბატალიონიდან იყვნენ, კონფლიქტის ზონაში ერთ-ერთი ოფიცრის ოჯახს ეწვივნენ. უკან რომ ბრუნდებოდნენ, თავს დაესხნენ და გაიტაცეს. ის ვერსია, რაც ცხინვალმა გაახმაურა, თითქოს ისინი დაზვერვის ოფიცრები იყვნენ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს მათ პოლიტიკურ სიბეცეს.

ჩვენი სამხედროების გასათავისუფლებლად დაუყოვნებლივ მივიღეთ ზომები. მით უმეტეს, გვქონდა ინფორმაცია, ტყვეებს სასტიკად ეპყრობოდნენ, შემდეგ ტელევიზიითაც აჩვენეს მათზე მიყენებული ტრავმების შედეგები. ოსი სეპარატისტები გონივრულად მოიქცნენ, რომ ქართველი ოფიცრები გაათავისუფლეს.

— **თუ გაქვთ მონაცემები ბოლო პერიოდის დანაკარგზე?**

— მათი მონაცემები არ გვაქვს, არ ვიცით, ჩვენ კი არც დაშავებულები გვყავს და არც დაღუპულები.

— **კოდორში დაღუპულ პოლიციელებზე რას იტყვით?**

— ხშირად გადაუმოწმებელი და არაკომპეტენტური ინფორმაცია ვრცელდება. გაგლოევას ნათქვამისა და აფხაზეთის პრესსამსახურების ინფორმაციის კომენტირებას არ ვაპირებ. შეტაკება ხდება, კონფლიქტის ზონაა და ამას ვერ გავექცევით, მაგრამ მხოლოდ საქართველოს დადანაშაულება ყოვლად გაუმართლებელია. ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ ეს პროვოკაცია იყო და შორს მიმავალი გეგმები აქვთ.

— **რა არის სამშვიდობო ძალების ყველაზე დიდი მიღწევა ბოლო პერიოდში?**

— პროვოკაციების პირობებში ასეთი სიტუაცია რომ გვაქვს შენარჩუნებული, ყოველი დღე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. თუ ბოლო პერიოდს აკვირდებით, ძირითადად, სამშვიდობო ბატალიონზეა მიმართული პროვოკაციები. რუსული საგუშაგო მუდმივად უხსნის ცეცხლს თამარაშენს, ერგნეთს, რომ როგორმე საპასუხო ცეცხლი გამოიწვიონ და იქ უკვე ველარავინ ვერაფრეს გაარკვევს, შეიარაღებული დაპირისპირება გაჩაღდება რუსეთთან. ეს მათი ძირითადი გეგმის ნაწილია, იგივე ხდებოდა აფხაზეთის ომის დროსაც.

2007 წელს ვერ ნახავთ ვერც ერთ დოკუმენტს, რომელშიც ქართული მხარე იქნება დადანაშაულებული ცეცხლის გახსნაში. ისიც სამშვიდობოების დიდი დამსახურება იყო, რომ ერგნეთში დროებითი საგუშაგო გაიხსნა და დაიწყო ასფალტის ქარხნის გაკონტროლება, საიდანაც მუდმივად იხსნებოდა ცეცხლი. ვიღაცას ეს საგუშაგო არ აწყობდა და მოიხსნა. როგორ შეიძლება ქართული მხარის დადანაშაულება, როცა მილიონებით თანხები იხარჯება დიდი ლიახვის ხეობაში სკოლებზე, ბაღებზე, ახალგაზრდულ ცენტრებზე. როგორ შეიძლება ეკონომიკურად ვავითარებდეთ ქვეყანას და მეორე მხრივ, პროვოკაციებს ვაწყობდეთ. ან ბუქარესტის სამიტის დროს გამოთქმული ბრალდებები პროვოკაციებზე ხომ აბსურდია?!

— **კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის შანსი თუ არსებობს?**

— მიუხედავად იმისა, რომ ოსებსაც და აფხაზებსაც (სეპარატისტულ მთავრობებს ვგულისხმობ) იგნორირებული აქვთ მოლაპარაკების პროცესი, ჩვენ მაინც მზად ვართ დიალოგისთვის. ეს ორი რეგიონი სამშვიდობო ფორმატითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთგან კოლექტიური ძალებია, მეორეგან კი შერეული, მაგრამ ორივეგან ერთნაირად არის ჩიხში შესული ვითარება. მიუხედავად ამისა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა დაცული იყოს.

ნინო მამუკაძე

აფხაზური სააგიტაციო პლაკატი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ იცავენ პრეზიდენტებს

**სახელმწიფო დაცვის სამსახურში მუშაობა მხოლოდ შორიდან ჩანს რომანტიკული და პრესტიჟული. დაცვის თანამშრომელი, მით უმეტეს, თუ სახელმწიფოს სათავეში მყოფ პირებს და მათი ოჯახის წევრებს იცავს, მუდმივად დაძაბულია. ამას არცთუ იშვიათად დასაცავი ობიექტის ოჯახის წევრების ხუშტურებიც ემატება. მიდი და გაუძელი!**

*დასაწყისი იხ. „არსენალი“ №12*

## რაისა მაქსიმოვნას ხუშტურები

საბჭოთა ლიდერებიდან ყველაზე ძნელად დასაცავი ობიექტი საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვი, უფრო სწორად კი მისი მეუღლე იყო. თავად „პერესტროიკის მამა“ უსიტყვოდ ემორჩილებოდა უსაფრთხოების ინსტრუქციებს, აწ გარდაცვლილი რაისა მაქსიმოვნა კი სისხლს უშრობდა დაცვის თანამშრომლებს. არაერთხელ უწევდათ დამცირების ატანა საბჭოთა კავშირის „პირველი ლედისგან“, რომელსაც გამორჩეულ ინტელექტსა და გემოვნებაზე ჰქონდა პრეტენზია.

ქვემოთ მოგითხრობთ განსაკუთრებით კურიოზულ ფაქტებზე, რომლებიც აბსოლუტურად სარწმუნოა, რადგანაც კა-გე-ბეს მე-9 სამმართველოს ყოფილი თანამშრომლების მოგონებებს ეყრდნობა.

1985 წელს, როდესაც მიხაილ გორბაჩოვი სკკპ ცკ გენერალურ მდივნად აირჩიეს, მისი ოჯახი შავი ზღვის ერთ-ერთ სამთავრობო აგარაკ ფოროსზე (რომელიც ისტორიაში უფრო 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ შევიდა) გაემგზავრა. პირველივე დღეს გორბაჩოვის ერთ-ერთ ქალიშვილს, რომელიც ფანჯრის გაღებას ცდილობდა, ხის კარნიზი დაეცა ხელზე, შიშით კი შეეშინდა, მაგრამ ტრავმა არ მიუღია. ეს უმნიშვნელო ფაქტი გახდა საბაბი იმისა, რომ რაისა გორბაჩოვას მოთხოვნით მე-9 სამმართველოს უფროსის მოადგილე, რომელიც სამთავრობო მშენებლობას კურირებდა, ორგზის გმირი, ბაიკონურის კოსმოდრომის ერთ-ერთი მშენებელი, მეორე დღესვე სამსახურიდან დაეთხოვათ. მას კიდევ 15 თანამშრომელიც მიაყოლოეს.

რაც დრო გადიოდა, რაისა მაქსიმოვნას კაპრიზები მატულობდა. აშშ-ში ერთ-ერთი ვიზიტის დროს რაისა ისე მოიხიბლა ნენსი რეიგანის ორმეტრიანი ზანგი მცველებით, რომ მოსკოვში დაბრუნებულმა სასწრაფოდ პირადი დაცვის თანამშრომლებად რუსი „რემბოები“ მოითხოვა. „გაზის ბალონივით“ გაბერილი „ვანია“ რომ მიჰგვარეს, ერთხანს ძალზე იხალისა, მაგრამ მალევე დაიწუნა — ინგლისურად გამოთქმა არ უვარგაო და გააგდო. უცხო ენებს უკავშირდება რაისა გორბაჩოვას კიდევ ერთი ხუშტური. რა დრო და როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, ცოლ-ქმარი გორბაჩოვები ძილის წინ აუცილებლად ფეხით სეირნობდნენ რეზიდენციის ბაღში. ერთხელაც წვიმდა, მაგრამ მაინც გავიდნენ სასეირნოდ. ცოტა ხნის შემდეგ რაისა მაქსიმოვნამ სველ ბუჩქებში ჩამალული, პოსტზე მყოფი დაცვის ოპერატიული თანამშრომელი შეამჩნია და თავისთან იხმო:

— რა ენები იცით ახალგაზრდავ? — დაინტერესდა პირველი ლედი.

— სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი, — უპასუხა სიცივისგან აკანკალებულმა მე-9 სამმართველოს თანამშრომელმა.

რაისამ სეირნობა გააგრძელა. სამაგიეროდ, შინ დაბრუნების შემდეგ ქმარს დაატეხა გრიგალი — როგორ დაიცავენ ჩვენს სიცოცხლეს, როცა უცხო ენები არ იციანო.

მეორე დღესვე ბუჩქებში ორ უმაღლესდამთავრებული და სამი უცხო ენის მცოდნე ოპერატიული თანამშრომელი იჯდა, რომელიც ანალიტიკური განყოფილებიდან წამოიყვანეს და ახლა ის კანკალებდა სიცივისგან.



უცხოეთში ოფიციალური ვიზიტების დროს რაისა მაქსიმოვნა არად დაგიდევდათ უსაფრთხოების მოთხოვნებს: ხან ქუჩაში ხალხთან გასაუბრება მოუნდებოდა, ხანაც მძღოლს რომელიმე მოდური ბუტიკის წინ გაჩერებას უბრძანებდა. ფერდაკარგული პი-

რადი დაცვის თანამშრომლები ექსპრომტად ცდილობდნენ პირველი ლედის უსაფრთხოების ორგანიზებას, თან გულში „ლამაზ-ლამაზ“ ეპითეტებს უძღვნიდნენ ჭირვეულ ქალბატონს.

## საპირველმაისო პროტესტი კომუნისტურ სისტემას

საბჭოთა სისტემა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ზოგი შიშის, ზოგი კი პრაგმატული მიზნებით იძულებული იყო, ბედს შერიგებოდა. პროტესტის გამოხატვასაც ყველა თავისებურად ცდილობდა. ერთნი არალეგალურ პარტიებს ქმნიდნენ და დისიდენტური გზით მიდიოდნენ, მეორენი ალეგორიულ ლექსებს წერდნენ (მაგ. ზოოპარკსა და მის ბინადრებზე) და შეფარვით დასცინოდნენ არსებულ სისტემას, ხოლო სხვები ძალზე ორიგინალური ხერხებით ცდილობდნენ „კომუნისტებისთვის“ ზეიმი ჩაეშხამებინათ.

80-იანი წლების ბოლოს, გაგანია „პერესტროიკის“ დროს, ერთ-ერთი საპირველმაისო დღესასწაული ჩვეულებრივ უნდა გამართულიყო. ინათა თუ არა, კა-გე-ბეს მე-9 სამმართველოს თანამშრომლები შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. პოსტები განაწილდა და განწესდა, წითელი მოედანი და მიმდებარე შენობა-ნაგებობები შემოწმდა. გუმი და სხვა მაღაზიები კი უკვე წინადღეს დაილუქა. ზუსტად ათ საათზე მიხაილ გორბაჩოვი და პოლიტბიუროს სხვა წევრები ნელი ნაბიჯით ავიდნენ ლენინის მავზოლეუმზე და მისალმების ნიშნად ენერგიულად დაუწყეს მოქალაქეებს ხელის ქნევა – ეს იმ დროისთვის პარტიისა და ხალხის „ერთობის“ ერთადერთი გამოხატულება იყო. გორბაჩოვს საზეიმო სიტყვა ახალი დაწყებული ჰქონდა, როცა დაცვის თანამშრომლებმა ზედ ტრიბუნის თავზე უზარმაზარი შავი კვამლის ღრუბელი შეამჩნიეს, რომელიც სწრაფად მოიწევდა წითელი მოედნისკენ. საბჭოთა „ბელადებმაც“ მალევე შენიშნეს შავი ღრუბელი და ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს.

მე-9 სამმართველოს გაოგნებული ხელმძღვანელობა მყისიერად გაშეშდა: „ნუთუ სადმე ხანძარია? მაინცდამაინც 1-ელ მაისს? დღესვე გაგვყრიან სამსახურიდან!“, – ამგვარი აზრები უტრიალებდათ თავში. როდესაც გამოერკვნენ, სასწრაფოდ ოპერატიული თანამშრომლების ორი ჯგუფი გაგზავნეს ხანძრის კერის აღმოსაჩენად და მიზეზების დასადგენად. მათ სულ რამდენიმე წუთში მიაგნეს „წითელი მოედნის“ უკან, პარალელურ ქუჩაზე მდებარე სახლს, რომლის ერთ-ერთი ფანჯრიდან შავი კვამლის უზარმაზარი ბოლქვები გამოდიოდა და „მოზეიმე“ ხალხისკენ მიემართებოდა. რამდენიმე სახანძრო მანქანაც იქვე გაჩნდა. სამთავრობო დაცვის თანამშრომლებმა სწრაფად აირბინეს მეხუთე სართულზე, სიფრიფანა ფანერის კარი უცბად შეამტვრიეს და ბინაში შეიჭრნენ. მათდა გასაოცრად თითქოსდა ყველაფერი წესრიგში იყო. ერთოთახიანი ბინის პატრონი ტელევიზორს მისჯდომოდა და სწორედ საპირველმაისო დემონსტრაციას უყურებდა. დასაეჭვებელი მხოლოდ ერთი გარემოება გახლდათ – ოთახში დამწვარი რეზინის სუნი ტრიალებდა, რომელიც სამზარეულოს მჭიდროდ მოხურული კარიდან გამოდიოდა. „ოპერატივნიკები“ სწრაფად შეიჭრნენ სამზარეულოში და გაშეშდნენ, – ელექტროღუმელზე „ჟიგულის“ ძველი საბურავი იდო და მწვადივით შიშხინებდა. სწორედ ეს იყო შავი კვამლის წარმოქმნისა და საბჭოთა ლიდერების შეშფოთების მიზეზი.

ახალგაზრდა კაცი, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის დოცენტი აღმოჩნდა, ამგვარად ცდილობდა პროტესტის გამოხატვას საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. ამ „ცელქობისთვის“ ის წვრილმანი ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს და წელიწად-ნახევარი შუა რუსეთის ერთ-ერთ სასჯელაღსრულებით კოლონიაში ამყოფეს.



## ფინეთის პრეზიდენტის საიდუმლო

ტელევიზორის ეკრანებზე ხშირად გვინახავს, ამომრჩეველთა დასანახავად და „თეთრი პიარის“ ასაგორებლად რომელიმე ქვეყნის პირველი პირი როგორ დარბის, ცურავს თუ ველოსიპედით სეირნობს. რამდენიმე დაცვის თანამშრომელიც ცდილობს, არ ჩამორჩეს მას. ხომ კარგია? – თან ირბინე, ველოსიპედი ატარე ან იცურე,თან ასობით კაცში საეჭვო პირი გამოავლინე და პრეზიდენტი დაიცავი, თან დახრჩობას გადაარჩინე!

ამგვარი ტრიუკები განსაკუთრებით ხანში შესულ პრეზიდენტებს უყვართ, – ცდილობენ ყველას დაანახვონ, ჯერ კიდევ მხნედ რომ არიან. აშშ-ის პრეზიდენტები ჯიმი კარტერი და ბილ კლინტონი ძუნძულის მოყვარულები იყვნენ, მამა-შვილი ბუშები ველოსიპედით სეირნობას არჩევდნენ. ამ დროს დაცვის თანამშრომლების ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვა რამდენჯერმე იზრდება. ზოგჯერ კარგად ნავარჯიშებ ათლეტებსაც უჭირთ ამგვარი დატვირთვის ატანა.

70-იანი წლების შუახანებში საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით ფინეთის პრეზიდენტი ურჰო კალევა კეკონენი ეწვია. ეს მხცოვანი პოლიტიკოსი საბჭოთა კავ-



ურჰო კეკონენი და ნიკიტა ხრუშოვი

შირის დიდი მეგობარი იყო. მეტიც, ის ჯერ კიდევ იოსებ სტალინის დროიდან იყო საბჭოთა დაზვერვის „გავლენის აგენტი“.

მოსკოვის დახმარებით ფინეთის პოლიტიკურ ელიტაში ურჰო კეკონენის კარიერული წინსვლა 1944 წლიდან დაიწყო და მისი „ვარსკვლავი ამობრწყინდა“, – მოსკოვი მას ფინეთის პრემიერ-მინისტრ პაასიკვის შემცვლელად ამზადებდა. რეალური მდგომარეობის შესანიღბავად კი საბჭოთა დაზვერვა ცნობილ ეშმაკურ ფანდს იყენებდა, – ყველა ცენტრალურ საბჭოთა გაზეთში პერიოდულად პრემიერი პაასიკვი და იუსტიციის მინისტრი კეკონენი ფაშისტ-რეაქციონერებად და მოსკოვის მთავარ მტრებად სახელდებოდნენ (საინტერესოა, რომ რუსეთის ხელისუფლება დღესაც იყენებს ამ მეთოდს, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში).

1944 წლის ბოლოდან სტალინი აკომპლექტებდა და აკონტროლებდა ფინეთის პარლამენტისა და მთავრობის შემადგენლობის უდიდეს ნაწილს. ფინელი პოლიტიკური მოღვაწენი მის ხელში ჭადრაკის პაიკებივით იმართებოდნენ, ზოგი ლაზიერში გადიოდა, ზოგიც კი „მოულოდნელად“ ავტოკატასტროფაში იღუპებოდა. საბჭოთა დაზვერვა არ ენდობოდა თავის აგენტებს და ცდილობდა, „ჯვარედინი კონტროლის“ მეთოდით მიეღო მაქსიმალური ინფორმაცია.

1946 წლის მარტში ფინეთის პარლამენტმა პრეზიდენტად პაასიკვი, ხოლო პრემიერ-მინისტრად მაუნო პეკალა დაამტკიცეს. კეკონენი პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტს „დასჯერდა“. სტალინის „ოპერატიული კომბინაციის“ პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. მთავარი ჯერ წინ იყო. 1948 წლის 6 აპრილს საბჭოთა კავშირ-ფინეთს შორის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების“ ხელშეკრულება გაფორმდა, რამაც საბჭოთა ბატონობის დე ფაქტო მდგომარეობა უკვე დე იურე დაამტკიცა. კრემლის დიდმა დიქტატორმა ფინელი „ტოპაგენტების“ – პეკალას, კეკონენის, ლეინოსა და სხვების პატივსაცემად მიღება გამართა და სტუმრებს ქართული ღვინითა და კერძებით გაუმასპინძლდა, თან კეთილად ჩაიღიმა და კეკონენს გაეხუმრა: „რას ფიქრობენ ფინელები ამ ხელშეკრულებაზე?“

შექეიფიანებულმა კეკონენმა დაუფიქრებლად უპასუხა: „ეს ხელშეკრულება კი არა, პაასვიკის დიქტატია!“. სტალინმა პოლიტბიუროს წევრებს გადახედა: „მეც ხომ ამას გეუბნებოდით! ფინელებმა მაინც თავისი გაიტანეს“, – და ეშმაკურად ჩაიცინა.

50-იან წლებში საბჭოთა დაზვერვა ფინეთში ისე თავისუფლად გრძნობდა თავს, როგორც თევზი – წყალში. ფინეთის ხელისუფლების უმაღლესი მოხელეების საბჭოთა დაზვერვაზე მუშაობა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ თვით საბჭოთა პოლიტბიუროს წევრებსაც არ ჰქონდათ ინფორმაცია. ამიტომ, როცა 1956 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა მოსკოვში ვიზიტად მყოფ ფინეთის პრეზიდენტ ურჰო კეკონენს უმაღლეს დონეზე უმასპინძლა და რუსულ აბანოშიც კი მიიპატიჟა აგენტ-პრეზიდენტი. საბჭოთა კომუნისტთა ლიდერის კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლის წინაშე გაშიშვლების ფაქტმა იმდენად აღაშფოთა საბჭოთა პოლიტბიუროს წევრები, რომ საგანგებო სხდომაზე ნიკიტას სულ შავი დღე აყარეს. მათ რა იცოდნენ ვინ ვინ იყო...

პრეზიდენტი კეკონენი გამოსვლებისას ხშირად სარგებლობდა საბჭოთა დაზვერვის მიერ მიწოდებული ცკ-ს დირექტივებით და ხოტბა-დიდებას არ აკლებდა საბჭოთა კავშირსა და მის ლიდერებს. ფინეთის ხელისუფლება იმდენად ჰყავდა „ჯიბეში“ კაგე-ბეს, რომ როცა საბჭოთა დაზვერვის „ფილიალი“ – „მშვიდობის მსოფლიო ორგანიზაციის“ შტაბბინა 1968 წელს პარიზიდან გამოაძევეს, უმალვე ჰელსინკიმ მისცა თავშესაფარი.

საბჭოთა დაზვერვის ამოცანა იყო, რაც შეიძლება დიდხანს შეენარჩუნებინა კეკონენი ხელისუფლების სათავეში. ამიტომ მას პოლიტიკურ კონკურენტებს აცილებდნენ. შედეგად, კეკონენი 25 წელიწადს (1956-1981 წლებში) იყო პრეზიდენტის პოსტზე.

ალბათ, ამიტომაც უფრთხილდებოდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები კეკონენს და გაძლიერებულად იცავდნენ. 70-იან წლებში ფინეთის პრეზიდენტ კეკონენის ვიზიტებს ორი კურიოზული ფაქტი უკავშირდება.

1970 წელს ფინეთის პრეზიდენტს 70 წელი შეუსრულდა. კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფმა კეკონენმა გადაწყვიტა საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად კავკასიონის მთები დაელაშქრა. კომპანიონობა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი კოსიგინს შესთავაზა, რომელიც ასაკის მიუხედავად, ასევე ცდილობდა ფიზიკური ფორმის შენარჩუნებას. გადასვლა ქლუხორის უღელტეხილზე უნდა შემდგარიყო, რაც დაახლოებით მაღალმთიან ზონაში 30კმ-ის ფეხით სიარულს (მათ შორის 12 კილომეტრი აღმართი მთის ბილიკებით უნდა გაევლოთ) ნიშნავდა. ეს ახალგაზრდებისთვისაც კი დიდი დატვირთვაა. ამიტომაც შეშფოთებული სამთავრობო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა, სასწრაფოდ სამანქანო გზა გაეყვანა მთებში, ორივე – რუსეთისა და საქართველოს მხარეს, ხოლო ფეხით გადასასვლელ მცირე მონაკვეთზე დასასვენებელი კარვები დაედგათ, სადაც სამედიცინო პერსონალი იმორიგევებდა. საინტერესოა, რომ ორივე ხანში შესულმა სახელმწიფო მოღვაწემ წარმატებით გადალახა უღელტეხილი, მხოლოდ ის იყო გასაკვირი, რომ კეკონენის პირადი მცველი გახდა ხელით სათრევი.

რამდენიმე წლის შემდეგ კეკონენმა კვლავ საგონებელში ჩააგდო კა-გე-ბეს მე-9 სამმართველოს ხელმძღვანელობა. მოსკოვში ჩამოსვლისას კეკონენს, როგორც წესი, „საბჭოთა მეგობრები“ (ანუ კა-გე-ბეს თანამშრომლები) იცავდნენ. უკვე საკმაოდ ხანში შესული ვიზიტის დროსაც ყოველ დილით დარბოდა 5-7 კილომეტრს. პირადი დაცვის წევრებიც, ბუნებრივია, მასთან ერთად დარბოდნენ, თუმცა შემდეგ დაღლილებსა და „ლიმონივით გამოწურულებს“ კეკონენის

ოფიციალურ შეხვედრებზე ეძინებოდათ ხოლმე. ამიტომაც სამთავრობო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობამ დილის სირბილისთვის სპეციალურად შეარჩია სპორტის ოსტატი, რომელიც მხოლოდ ამ პერიოდში იცავდა ფინეთის პრეზიდენტს, შემდეგ კი მეორე ცვლას გადააბარებდა.

## ჯიუტი ფიდელ კასტრო



ერთ-ერთი ყველაზე ძნელად დასაცავი ობიექტი კუბის ლიდერი ფიდელ კასტროა. „სოციალისტური პიარის“ დიდოსტატი ყოველთვის ცდილობდა ხალხში უშიშარი რევოლუციონერის იმიჯი შეექმნა.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობა სისტემატურად გეგმავდა ფიდელ კასტროს სალიკვიდაციო ოპერაციებს.

ალბათ, გახსოვთ, ჰოლივუდის ერთ-ერთ ცნობილ კომედიაში პატარა წრუწუნამ ისე გააწამა მამის მემკვიდრეობით გახარებული ორი ძმა, რომ დიდი წვალებით დაჭერილი თაგუნა ყუთში ჩასვეს, შეფუთეს და ფოსტით კუბის ლიდერს გაუგზავნეს. თან გაიფიქრეს, — შენც ისე დაგაქციოს, როგორც ჩვენ გაგვამწარაო. შეიძლება ეს იყო ამერიკელთა ყველაზე ალალი ხუმრობა, რადგან 1959 წლიდან აშშ-ის სპეცსამსახურებს არაერთი უფრო „მწარე ხუმრობა“ დაუგეგმავთ კუბის წვეროსანი დიქტატორის ლიკვიდაციის ან მისი კომპრომეტაციის მიზნით. ზოგი მათგანი კუბის ლიდერის დაცვის სამსახურმა აიცილა თავიდან, ზოგი კი თავად ამერიკელებს ჩაუფლავდათ.

თავიდან აშშ-ში ფიდელს ნაკლებსერიოზულ საფრთხედ განიხილავდნენ და მხოლოდ მის მსუბუქ კომპრომეტირებას ცდილობდნენ. ამ მიზნით 1960 წლის მარტში ცსს-ში შეიქმნა სპეცჯგუფი, რომელსაც ფიდელის, როგორც ახალგაზრდა და მთელ ლათინურ ამერიკაში უკვე ძალზე ქარიზმატული (გარეგნობითა და ორატორობით) ლიდერის, სახალხო პოპულარობის გაქარწყლება დაევალა. ამერიკელი მზვერავების ფანტაზიას მართლაც რომ საზღვარი არ ჰქონდა და ცსს-ის ტექნიკურ სამსახურთან ერთად წარმოადგინეს ფიდელის „მსუბუქად დაჩმორების“ სამი გეგმა. პირველი ითვალისწინებდა სპეციალური ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებას ფიდელის რადიოთი გამოსვლის წინ. კერძოდ, რადიოსადგურის ის სტუდია, საიდანაც კუბის ლიდერს ხალხისთვის უნდა მიემართა, დამუშავდებოდა ფსიქოთროპული აეროზოლებით და თანდათან „ჩაკაიფებულ“ ფიდელს მრავალსაათიანი გამოსვლის ბოლოს „ენა ჩაუვარდებოდა“, ან ისეთ სისულელეებს წამოროშავდა, რომ მეორე დღეს გამარჯობასაც არავინ ეტყოდა. ეს გეგმა დაიწუნეს. ქიმიკოსები ეჭვობდნენ, რომ ეს პრეპარატები ფიდელს პირიქით — ლაპარაკის სალერღელს აუშლიდა.

მეორე გეგმის მიხედვით, ფიდელ კასტროს შეურაცხად მდგომარეობამდე მისაყვანად მისი საყვარელი ჰავანური სიგარები ფსიქოთროპული საშუალებებით უნდა დაემუშავებინათ. „მოხალისეებზე“ (პატიმრებზე) ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ამ იდეის რეალურობა დაამტკიცა. გაამზადეს და ლამაზად შეფუთეს მოწამლული სიგარებით სავსე ყუთი, მოიფიქრეს მისი ფიდელისთვის საჩუქრად გადაცემის ლეგენდაც... მაგრამ ბოლო მომენტში, იმის შიშით, ფიდელმა შესაძლოა ეს სიგარები თვითონ არ გააბოლოს და მეტიც, სხვა ქვეყნის პრეზიდენტს საჩუქრად გაუგზავნოსო, ამ გეგმის რეალიზაციაზეც უარი თქვეს.

მესამე გეგმა, ალბათ, ყველაზე ფანტასტიკური იყო და მიზნად ისახავდა ფიდელის „სავიზიტო ბარათის“ — წვერის განადგურებას. ცსს-მ შეიტყო, რომ კუბის ლიდერი ერთ-ერთ ქვეყანაში ვიზიტად მიემგზავრებოდა. საჭირო იყო მის ტანსაცმელში ან ფეხსაცმელში შეუმჩნევლად სპეციალური ქიმიური ფხვნილი ჩაეყარათ, რომ მეორე დილას მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელს ოფიციალურ მოლაპარაკებებზე ფიდელ კასტრო რუსი კი არა, „ფანტომასი“ შერჩენოდა ხელთ. ცსს-ს ხელმძღვანელობა დიდ საერთაშორისო სკანდალს მოერიდა და ეს გეგმაც დაბლოკა.

ცსს-ს ეს „მახვილგონივრული“ ჩანაფიქრები ისტორიისთვის საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ არა აშშ-ის სენატის საგამოძიებო კომისია (ე.წ. „ჩერჩის კომიტეტი“), რომელიც 1975-1976 წლებში იძიებდა ამერიკის სპეცსამსახურების მიერ დაშვებულ კანონდარღვევებს. ამ კომიტეტმა უშუალო მონაწილეების ჩვენებების საფუძველზე ნათელი მოჰფინა კიდევ ბევრ სხვა საინტერესო მოვლენასაც.

თავად ფიდელ კასტრო არ ეპუებოდა ამ საფრთხეებს და დაცვის სამსახურის ხელმძღვანელებს გაბრაზებული ეუბნებოდა: „თქვენ რა, გინდათ, ლოგინში მოვკვდე? მე, როგორც რევოლუციონერი, ბრძოლაში უნდა დავიღუპო, თქვენი მოვალეობა კი ისაა, ეს რაც შეიძლება გვიან მოხდეს“.

ფიდელი არავის ენდობოდა. მისმა თანამებრძოლებმაც კი ხშირად არ იცოდნენ, რომელ ავტომობილში იჯდა „წვეროსანი დიქტატორი“.

*ბესიკ ალადაშვილი*

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*





იკითხეთ წიგნის მაღაზიებში
ან დარეკეთ 42-43-40; 38-26-73; 38-26-74
და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე
www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# GUNSHIP
# საგანგებო დანიშნულების თვითმფრინავები

„განშიპი“ ინგლისური სიტყვაა და ქართულად „შეიარაღებულ ხომალდს“ ან „ლინკორს“ ნიშნავს, მაგრამ უკვე დიდი ხანია აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ამ ტერმინით იარაღით აღჭურვილ სატრანსპორტო თვითმფრინავებს მოიხსენიებენ.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც სამხედრო-საჰაერო ძალების გამოყენების ძირითადი კონცეფციები ჩამოყალიბების სტადიაში იყო, ცხადი გახდა, რომ საგანგებო ოპერაციების ჩასატარებლად ნებისმიერი თვითმფრინავი ვერ გამოდგებოდა. ეს აზრი მეორე მსოფლიო ომის დროს კიდევ უფრო გამყარდა. ამ პერიოდში ომში მონაწილე ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების შემდგენლობაში სპეციალური ესკადრილიები შეიქმნა, რომლებიც გამოცდილი მფრინავებით იყო დაკომპლექტებული. მათ ცხელ წერტილებში სადივერსიო-სადაზვერვო ჯგუფების გადაყვანა-ევაკუაცია, მტრის ტერიტორიაზე სააგიტაციო ფურცლების ჩამოყრა, ძირითადი ბომბდამშენი ჯგუფების სამიზნეზე გაყვანა და სხვა, არასტანდარტული ამოცანების შესრულება ევალებოდათ. რა თქმა უნდა,


AC-130


B-26-ების ესკადრილია

ჯგუფის მუშაობა შედეგიანი იყო, მაგრამ არა საკმარისი. სწორედ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას შემუშავდა განშიპის შექმნის კონცეფციაც. ბედის ირონიით, საშუალო ბომბდამშენის მრავალრიცხოვანი ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვის იდეა პირველად აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორ პოლ განს დაებადა. გამოდის, „განშიპი“ არა მხოლოდ „შეიარაღებულ ხომალდს“, არამედ „განის თვითმფრინავსაც“ ნიშნავს. ასეა თუ ისე, პოლ განის იდეას ხორცი შეესხა. მან A-20 ტიპის რამდენიმე თვითმფრინავის პილოტის კაბინაში ოთხი ტყვიამფრქვევი ჩაამონტაჟა. მოდიფიკაციამ მფრინავებს შორის დიდი მოწონება დაიმსახურა და ამიტომაც მოგვიანებით B-25 ტიპის ბომბდამშენებიც ექვსი (ზოგან – რვა) მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით აღჭურვეს. ამის შემდეგ, მთელი 1943 წლის განმავლობაში, განშიპები წყნარი ოკეანის თავზე დაფრინავდნენ და იაპონიის სავაჭრო ხომალდებს ანადგურებდნენ. ამ წარმატებამ მთელი რიგი A-20, B-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზალპური ცეცხლი B-25-ის საბორტო იარაღიდან

ფარულ სამიზნეებზე იერიშის მიტანისას დღისითაც კი პრობლემები ექმნებოდათ, ღამით კი მისი შესაძლებლობები თითქმის ნულს უტოლდებოდა. არადა, პარტიზანები სწორედ ღამით იწყებდნენ მოქმედებას. რეაქტიული ავიაცია ბეტონისსაფრიან აეროდრომებსაც მოითხოვდა, რომლებიც ვიეტნამში არცთუ ბევრი იყო. ამის გამო თვითმფრინავის გამოძახებიდან მისი დანიშნულების ადგილზე მისვლამდე საკმაოდ დიდი დრო იკარგებოდა. საბრძოლო პრაქტიკამ ცხადყო, რომ რეაქტიული თვითმფრინავი არ შეეფერებოდა ამ სახის ოპერაციებს. დაბალსიჩქარიანი უბრალო კონსტრუქციის მანქანები, რომელთაც შესაბამისი აპარატურა ჰქონდათ, საბრძოლო ამოცანას უფრო კარგად ასრულებდნენ.

ვიეტნამში ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყებამ ცხადყო, რომ




B-26-ის ცხვირზე კარგად ჩანს ტყვიამფრქვევების ლულები

25 და B-26 ტიპის თვითმფრინავების მოდიფიკაცია განაპირობა, რომლებიც კონსტრუქციის წინა ნახევარსფეროში მრავალრიცხოვანი ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ აღჭურვილი. სწორედ ეს თვითმფრინავები გამოიყენებოდა კორეის ომის დროსაც.

კორეისა და ვიეტნამის ომებს შორის პერიოდში განშიპებისათვის დიდი ყურადღება აღარ მიუქცევიათ, სამაგიეროდ, აშშ-ის ძალოვანი სტრუქტურების მეთაურობის დიდი ინტერესი გამოიწვია საგანგებო დანიშნულების ავიაციამ, რომელიც ლათინურ ამერიკასა და აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში გააქტიურებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან იარაღად მიიჩნიეს. აშშ-ის არმიის სამხედრო ხელმძღვანელობა ძალზე სერიოზულად ეკიდებოდა აჯანყებების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების წვრთნასა და აღჭურვას. პენტაგონმა ჩათვალა, რომ საგანგებო დანიშნულების რაზმისა და ავიადივერსიული ქვედანაყოფების ერთობლივ მუშაობას მნიშვნელოვანი შედეგი უნდა მოეტანა.

1961 წლის აპრილში ტაქტიკური საავიაციო მეთაურობის შემადგენლობაში პირველი ავიადივერსიული ქვედანაყოფი — 4400-ე ესკადრილია „ჯანგლ ჯიმი“ შეიქმნა. ამავე წლის ნოემბერში ესკადრილია პარტიზანების წინააღმდეგ ადგილობრივი სამხედროების ბრძოლაში დასახმარებლად სამხრეთ ვიეტნამში გადაისროლეს. რადგანაც ვიეტნამში სამხედრო მოქმედებების არეალი ფართოვდებოდა, 1962 წლის მარტში ესკადრილია პირველ ავიადივერსიულ ჯგუფად გარდაიქმნა, ხოლო რამდენიმე თვეში ეგლინის საავიაციო ბაზაზე საგანგებო ოპერაციების წარმოების სამხედრო-საჰაერო ძალების ცენტრი ჩამოყალიბდა. სწორედ ამ ცენტრში მუშავდებოდა ანტიპარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა, შემდეგ კი გამოცდილებას თანამეგობრობის ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალებს უზიარებდნენ.

ავიაციის საგანგებო დანიშნულების ძალების მომზადებისას დიდი ყურადღება ექცეოდა სწორედ პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლას, მოწინააღმდეგის ზურგში ფარულად შეღწევის ტაქტიკა კი თითქმის არ შეისწავლებოდა. 60-იანი წლებში საგანგებო დანიშნულების პირველი ავიაფრთა მუდმივად ინდოჩინეთში იყო, სადაც ჯერ კიდევ ვიეტნამის ომის დაწყებამდე რამდენიმე სამხედრო მოქმედებაში მოუწია ჩართვამ. ამავე პერიოდში აშშ-ის ავიაციის სპეცსამსახურის ეკიპაჟები საბერძნეთში, ეთიოპიაში, ირანში, კონგოში, მალისა და საუდიის არაბეთში იყვნენ. მფრინავების ამოცანას ანტიპარტიზანული ოპერაციების წარმოების ტაქტიკის შემუშავება და მოკავშირეების წვრთნა წარმოადგენდა.

პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში რეაქტიულ გამანადგურებელ-ბომბდამშენებსაც იყენებდნენ, მაგრამ მათ ეკიპაჟს უმთავრესი ამოცანა საცეცხლე მხარდაჭერა და პარტიზანებთან ბრძოლა იყო. ამ დავალების შესრულება საგანგებო დანიშნულების ავიაციას ეკისრებოდა. სწორედ ვიეტნამის ბრძოლის დროს იქცა „ჰერკულესი“ C-130 სპეცდანიშნულების ავიაციის სიმბოლოდ, რომელიც ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით იყო აღჭურვილი. ამ ომში ამერიკელთა პრობლემას სამხრეთ ვიეტნამსა და ლაოსში მდებარე ე.წ. ხო ში მინის ბილიკი წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც პარტიზანული რაზმები მარაგდებოდნენ. ყველა სახის გადაზიდვა-გადაადგილება მხოლოდ ღამით მიმდინარეობდა. სატრანსპორტო საშუალებები საგულდაგულოდ იყო შენიღბული და თუკი მაინც ხერხდებოდა მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ამერიკული თვითმფრინავების გამოჩენისთანავე ისინი მიმალვას ასწრებდნენ. ერთადერთი, რაც ამერიკელების წისქვილზე ასხამდა წყალს, ის იყო, რომ ვიეტნამელ პარტიზანებს სუსტი ავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცეცხლით მხარდაჭერის გარდა AC-130-ებს არც ტრადიციული დანიშნულება ავიწყდებოდათ...

ასაწინააღმდეგო თავდაცვა ჰქონდათ. სწორედ ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი განშიპის კონცეფციის შემუშავებისას. ამერიკელების წინაშე ისეთი თვითმფრინავის შექმნის აუცილებლობლობის საკითხი დაისვა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა მძლავრი იარაღით, ფრენის ხანგრძლივობით, ნებისმიერ ბუნებრივ პირობებში ობიექტის აღმოჩენისა და განადგურების შესაძლებლობით. სამხედროებმა გაიხსენეს მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბდამშენი B-26, მაგრამ მას დიდი ნაკლი ჰქონდა – ფრენის შეზღუდული ხანგრძლივობა.

ახალი ტიპის დამრტყმელი თვითმფრინავის შემქმნელი კაპიტანი რონალდ ტერი იყო, რომელიც სამხედრო-საჰაერო ძალების კვლევით ცენტრში, რაიტ-პატერსონში მსახურობდა. კაპიტანმა შემთხვევით წაიკითხა სამხრეთ ამერიკის სოფლებში თვითმფრინავის დაუჯდომლად ფოსტის ჩატანის ორიგინალური მეთოდი, რომელსაც ერთი მფრინავი მისიონერი იყენებდა. ტერიმ ტროსი ავტომატური იარაღის გრძელი რიგით შეცვალა და მიხვდა, რომ ძალზე მარტივი, მაგრამ ეფექტიანი საშუალება გამონახა ზუსტი სროლის ხანგრძლივობის გასაზრდელად.

სიმართლე ითქვას, კაპიტანი ტერი ერთადერთი არ ყოფილა, ვისაც თვითმფრინავის ფრთებქვეშ ღერძის მიმართ სწორი კუთხით იარაღის განთავსების აზრი დაებადა. ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლების ბოლოს გამოცადეს ბიპლან DH-4-ზე მანქანის ღერძის მიმართ 90 გრადუსით დამონტაჟებული მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, მაგრამ მაშინ ამ იდეის განვითარებით დიდად არ დაინტერესებულან. მსგავსი ინიციატივა მეორე მსოფლიო ომის დროს პოლკოვნიკმა მაკდონალდმაც შეიმუშავა. მან ხელმძღვანელობას საბორტო შეიარაღების დაყენების რამდენიმე ორიგინალური სქემა შესთავაზა, მაგრამ ეს ინიციატივაც უპასუხოდ დარჩა.

კაპიტან ტერის საცდელი სამუშაოებისათვის ქართველი კონსტრუქტორის მიხეილ გრიგორაშვილის მიერ შექმნილი (იხ. მასალა გვ. 30) ძველი სატრანსპორტო თვითმფრინავი C-123 გადასცეს. საველე გამოცდა 1964 წლის ზაფხულში დასრულდა და მალე კაპიტანი პირველი დივერსიული საავიაციო ფრთის შემადგენლობასთან ერთად ვიეტნამში გადაისროლეს, სადაც თვითმფრინავი ბრძოლაში უნდა გამოეცადა.

მალე ცხადი გახდა, რომ განშიპის ტიპის თვითმფრინავად გადაკეთებას ყველაზე მეტად სატრანსპორტო თვითმფრინავები შეეფერებოდა, რადგან მათ ჰქონდათ დიდი კაბინა, რაც ტყვიამფრქვევებისა და ტყვია-წამლის განსათავსებლად იყო აუცილებელი. მათი ფრენის ხანგრძლივობაც დამაკმაყოფილებელი იყო, არც საწვავით დამატებით გამართვას არ საჭიროებდნენ. თუმც, მას ნაკლიც ჰქონდა – დაბალი სიჩქარე და დიდი ზომა, რაც მოწინააღმდეგეს მის განადგურებას უიოლებდა. იმ პერიოდში ვიეტნამელების შეიარაღებაში შაშხანისკალიბრიან ტყვიამფრქვევებზე მძლავრი იარაღი არ მოიპოვებოდა, ამიტომაც ამერიკის მეთაურობამ პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში ეს თვითმფრინავი თითქმის იდეალურ საშუალებად მიიჩნია.

პირველი განშიპი 1964 წლის ოქტომბერში ძველი თვითმფრინავის, C-47-ის ბაზაზე შეიქმნა. ორი ექვსლულიანი ტყვიამფრქვევი „მინიგანი“ მარცხენა ბორტის ილუმინატორებში იყო ჩამონტაჟებული, მესამე კი – სატვირთო ლიუკის ხვრელში. პილოტის კაბინის მარცხენა მხარეს დაყენდა „სკაირეიდერის“ A-1 საშტურმო სამიზნებელი, ხოლო ცეცხლის მართვის ღილაკი ეკიპაჟის მეთაურის საჭეზე განათავსეს, ისე, რომ ცეცხლის გახსნა შესაძლებელი იყო როგორც თითოეული ტყვიამფრქვევით, ასევე სამივეთი ერთდროულად. განშიპს FC-47 ინდექსი (Fighter-Cargo) მიანიჭეს, რამაც გამანადგურებლების პილოტები გაანაწყენა: ღვთისა და ადამიანებისაგან მივიწყებული ბებრუხანა „დუგლასი“ მათი „ფანტომების“ გვერდით დააყენეს. ამიტომაც ინდექსი შეცვალეს და AC-47



ვიეტნამელებმა AC-130-ებს სუსტი წერტილები უპოვეს...



ვიეტნამში AC-130-ებმა ძალიან დიდი შრომა გასწიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა




(Attac-Cargo) მაინიჭეს. მოგვიანებით ამ განშიპმა, როგორც ნამდვილმა ხომალდმა, სახელიც შეიძინა — ერთ-ერთმა კორესპონდენტმა მას „ზღაპრული დრაკონი“ უწოდა. სტატიამ ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ თვითმფრინავის ცხვირზე სიტყვა „Puff“-ი მიაწერეს, რაც „ცეცხლის მფრქვეველს“ ნიშნავს. ვიეტნამელი პარტიზანებიც სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდნენ მანქანას. ამერიკელების ხელთ ჩავარდნილ დოკუმენტაციაში ერთგან ნათქვამი იყო, რომ პარტიზანებს „ცეცხლის მფრქვეველის“ მიმართულებით სროლა ეკრძალებოდათ, რათა პროვოკაცია არ გამოეწვიათ.

ამ მომენტიდან დაიწყო აქტიური სამუშაოები ძველი სატრანსპორტო თვითმფრინავების აღსაჭურავად. განშიპის ყველა პირველი საბრძოლო გაფრენა მიუხედავად მფრინავის გამოუცდელობისა და თვითმფრინავის სიძველისა შედეგიანად დასრულდა. თვითმფრინავების საცეცხლე ძალა მართლაც რომ შთამბეჭდავი იყო: განშიპი სულ რაღაც 3 წამში ანადგურებდა ფეხბურთის სტადიონის მოცულობის ფართობს.

1966 წლის იანვრიდან, როდესაც მე-4 ესკადრილიას ხო ში მინის ბილიკის ბლოკირება დაავალეს, განშიპების ზეობის ხანა დასრულდა, რადგან პარტიზანთა შეარაღებაში უკვე საზენიტო არტილერია და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიც შედიოდა. ამასთან, თუ ღამით ფრენების სირთულეს, ძველი მანქანების დაბალ სიჩქარესა და პილოტების გამოუცდელობასაც გავითვალისწინებთ, არ გაგვიკვირდება, რომ ძალზე მცირე დროის განმავლობაში ხო ში მინას ბილიკის რაიონში ექვსი მანქანა ჩამოაგდეს.

„საჰაერო ლინკორების“ საბრძოლო თავისებურებებს, მის უარყოფით და დადებით მხარეებს ვიეტნამისა და ლაოსის საზღვრის მახლობლად განლაგებული აშოს ბანაკის განადგურების ოპერაცია ცხადყოფს. ბანაკი ჯერ კიდევ 1964 წელს აშენდა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა მანამ, სანამ 1966 წლის გაზაფხულზე იქ ავიაბაზის მშენებლობა არ დაიწყეს. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამ ვიეტკონგის ინტერესი გამოიწვია და 9 მარტის ღამით მასირებული შეტევა დაიწყეს. რაოდენობრივი უპირატესობა პარტიზანების მხარეს იყო: დაახლოებით 3-5 ათასი ვიეტნამელი 2 ასეულ ამერიკელ სპეცრაზმელს, ადგილობრივი მოსახლეობის რაზმეულებსა და სამხრეთი ვიეტნამის ჯარისკაცებს უწევდა წინააღმდეგობას. თავდასხმის მსხვერპლთა იმედს საჰაერო მხარდაჭერა წარმოადგენდა. პირველი თვითმფრინავები საჭიროების ადგილას დილით გამოჩნდნენ, მაგრამ ძლიერი ნისლის გამო სამიზნის მიმართულებით ცეცხლის გხსნა ვერ შეძლეს. შუადღისას ბანაკის თავზე უკვე განშიპიც დაფრინავდა. მისმა მეთაურმა, მართალია, მესამე ცდაზე, მაგრამ მაინც შეძლო მტრის ზუსტი მდებარეობა განესაზღვრა და პარტიზანებს ტყვიამფრქვევები დაუშინა. ვიეტკონგელები მოვლენების ამგვარი განვითარებისათვის მომზადებული იყვნენ: „დუგლასი“ იერიშის დაწყებისთანავე ძლიერი არტილერიული ცეცხლის ქვეშ მოექცა. ორივე ძრავა რამდენიმე ადგილას დაზიანდა და აალდა. ეკიპაჟმა გაჭირვებით მოახერხა თვითმფრინავის მთის ფერდობზე დასმა. სამაშველო შვეულმფრენმა მათ მხოლოდ საღამოს მიაკითხა წამოსაყვანად. 10 მარტის ღამეს ბანაკის თავზე კიდევ ერთი განშიპი ფრენდა, მაგრამ დიდი საცეცხლე წინააღმდეგობა მოიერიშე პარტიზანებს ვერ გაუწია და იმავე დღის მეორე ნახევარში გამაგრებული პუნქტი აშო ვიეტკონგის ხელთ აღმოჩნდა. ამერიკის სამხედრო მეთაურობამ ამ მარცხიანი ოპერაციის მიზეზად სუსტი საჰაერო მხარდაჭერა დაასახელა. რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში განშიპების ნაკლებეფექტიანობაც გამოაშკარავდა.

მიუხედავად მარცხისა, 1967 წელს სახმელეთო ჯარის ოფიცრების უმეტესობას, რომლებიც ვიეტნამში იბრძოდნენ, სამხედრო მოქმედებების წარმოება „საჰაერო ლინკორების“ გარეშე ვერ წარმოედგინათ. ახალი განშიპების მიწოდებაზე მოთხოვნის დროულად შესასრულებლად სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაძველებული სატრანსპორტო თვითმფრინავი C-119-ის გამოყენება გადაწყვიტეს. ახალი განშიპი თანამედროვე სანავიგაციო, ლოკაციური და ღამის ხედვის სისტემით აღჭურვეს და ახალ თვითმფრინავად აქციეს. გააძლიერეს შეიარაღებაც: გარდა ოთხი 7,62 მმ-იანი ექვსლულიანი „მინიგანისა“, თვითმფრინავი კიდევ ორი 20 მმ-იანი ექვსლულიანი ქვემეხით „ვულკანით“ აღჭურვეს. ეს ყველაფერი განშიპს საშუალებას აძლევდა დღე-ღამის ნებისმიერ პერიოდში ემოქმედა, ხოლო სწრაფსატყორცნი ქვემეხები მსუბუქად დაჯავშნული სამიზნეების განადგურების შესაძლებლობასაც იძლეოდა, ისე, რომ თვითმფრინავს მტრის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოქმედების ზონაში შესვლა არ უწევდა.

ყველაზე შედეგიანი მაინც მძლავრი და საიმედო სატრანსპორტო თვითმფრინავის, C-130 „ჰერკულესის“ ბაზაზე შექმნილი განშიპი აღმოჩნდა. სამხედრო-საჰაერო ძალებს სურდათ მიეღოთ მანქანა, რომლის ფრენის ხანგრძლივობა, სიჩქარე და შეიარაღება წინამორბედ განშიპებთან შედარებით უკეთესი იქნებოდა. ახალ თვითმფრინავზე ღამის ხედვის სისტემა, გაძლიერებული ლოკატორი და მძლავრი პროჟექტორები დააყენეს. შეიარაღება შედგებოდა ოთხი ექვსლულიანი ტყვიამფრქვევ „მინიგანისა“ და ოთხი „ვულკანისაგან“. ამ თვითმფრინავებს ყველაზე ხშირად „სპექტრის“ სახელით მოიხსენიებდნენ, რომელიც C-130-ის ყველა მოდელს დაერქვა.

1965 წლის 9 მარტს პირველმა „სპექტრმა“ ხო ში მინის ბილიკის რაიონში პირველი გამოცდა ჩააბარა. ღამის ფრენა შედეგიანი აღმოჩნდა: პატრულირების კვადრატში შესვლისთანავე დაზვერვის ინფრაწითელი სადგურის ოპერატორმა ექვსი მოძრავი სატვირთო მანქანა აღმოაჩინა. სულ რაღაც თხუთმეტ წუთში განშიპის ტყვიამფრქვევებმა და ქვემეხებმა ექვსი კოცონი დაანთეს. ამის შემდეგ თითქმის ყოველღამე ხო ში მინის ბილიკის რაიონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა





ში დაახლოებით 12-18 AC-130-ი დაფრინავდა. პილოტების თქმით, 105მმ-იანი ჰაუბიცის დაყენებამ კიდევ უფრო გააუმჯობესა განშიპის შესაძლებლობები.

მალე განშიპების კონცეფციამ სერიოზული დარტყმა იგემა. 1972 წლის იანვრის დასაწყისში ამერიკის სადაზვერვო სამსახურმა ბილიკის რაიონში პირველი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-75 შენიშნა. შეიარაღებული სატრანსპორტო თვითმფრინავებისათვის ეს სიკვდილს მოასწავებდა, მაგრამ „სპექტრის“ გამოყენების ეფექტი ძალზე დიდი იყო და ამიტომაც საბრძოლო ფრენები გრძელდებოდა. იანვარ-მარტის თვეში „სპექტრის“ ეკიპაჟებმა გაანადგურეს 2782 სატვირთო მანქანა.

ვიეტნამელების შურისგებას არ დაუგვიანებია: 31 მარტს ერთ-ერთი AC-130



105-მმ-იანი ქვემეხი „ჰერკულესის“ ბორტზე

AC-130 „სპექტრი“



საზენიტო რაკეტის მსხვერპლი გახდა. ორი დღის შემდეგ კიდევ ერთი განშიპი ჩამოვარდა, მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში ყველაფერ უმსხვერპლოდ დასრულდა, ამ უკანასკნელის ჩამოვარდნისას ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა.

1972 წლის 2 აპრილის შემდეგ „სპექტრმა“ ხსენებულ რაიონში ფრენა შეწყვიტა, მაგრამ ეს დღე მისი კარიერის დასასრული სულაც არ ყოფილა. განშიპს ისევ იყენებდნენ ვიეტნამში ტანკსაწინააღმდეგო ოპერაციების დროს, მაგრამ როგორც კი ვიეტნამელებმა მას ზენიტური სარაკეტო კომპლექსი „სტრელა“ დაუპირისპირეს, მას კვლავ საფრთხე დაემუქრა. მცირე დროის განმავლობაში ამ კომპლექსის მეშვეობით პარტიზანებმა სამი „სპექტრი“ ჩამოაგდეს. მიუხედავად ამისა, თითქმის ომის დასასრულამდე „სპექტრი“ მაინც აგრძელებდა ფრენას. უკანასკნელად განშიპი ამერიკელი ჯარისკაცების საიგონიდან და პნომპენიდან ევაკუირებისათვის გამოიყენეს.



# AC-130 Spectre


არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# C-123 PROVIDER

# ქართული წარმოშობის ამერიკული თვითმფრინავი

1997 წელს მსოფლიო კინოეკრანებზე ამერიკული ფილმი „საჰაერო ციხე" გამოვიდა. სიუჟეტის თანახმად, სპეციალურ სამსახურს განსაკუთრებით საშიში პატიმრები თვითმფრინავით ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავს. ამ ფილმმა ერთდროულად ორ ნომინაციაში მიიღო „ოსკარი". ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ თვითმფრინავის შექმნაში, რომელმაც ამ ფილმში მთავარი როლი „შეასრულა", წვლილი ქართველ ავიაკონსტრუქტორ მიხეილ გრიგორაშვილს მიუძღვის.



მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში მშვიდობამ დაისადგურა, მაგრამ საავიაციო სფეროებში მომუშავე სპეციალისტებმა იცოდნენ, რომ ახალი ომის დაწყების შემთხვევაში (თუნდაც ლოკალურის), საჭირო იქნებოდა ბრძოლის ველზე საბრძოლო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის ჰაერით სწრაფი გადასროლა. ამის უზრუნველყოფა კი მხოლოდ სატრანსპორტო თვითმფრინავებით იყო შესაძლებელი. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ის ძირითად სატრანსპორტო თვითმფრინავს C-47 Dakota (DC-3) წარმოადგენდა, რომელსაც 28 მედესანტის გადაყვანა ან 2722 კგ ტვირთის გადატანა შეეძლო. ფართომასშტაბიან სადესანტო ოპერაციებში კი მასში განთავსებული მედესანტეების სიმცირის გამო ბევრი თვითმფრინავის გამოყენება არც ისე მიზანშეწონილი იყო. გარდა ამისა, მეორე მსოფლიო ომის დროს დესანტის გადასხმისას აშშ-ის არმია პლანერებსაც ფართოდ იყენებდა, ამიტომ ახალი მოდელების შექმნაზე მუშაობდა. ეს ტენდენცია ომის შემდეგაც გაგრძელდა.

1946 წელს ამერიკულმა ავიამშენებელმა ფირმა Chase-მა, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას სამხედრო დანიშნულების პლანერები წარმოადგენდა, ახალ მთლიანმეტალურ მძიმე სადესანტო პლანერ XCG-20-ზე დაიწყო მუშაობა. განზრახული ჰქონდათ პლანერის უმოკლეს დროში სატრანსპორტო თვითმფრინავად გადაკეთება. თვითმფრინავის აღჭურვა იგეგმებოდა ფირმა Pratt & Whitney-ის ორი R-2800-CB-15 ტიპის დგუშიანი 1900ც.ხ.ძ.-იანი ძრავათი. მთავარი კონსტრუქტორის მოადგილის ჩანაფიქრის თანახმად, საწვავის ავზები ფრთაზე დაყენებული ძრავების მოტოგონდოლების უკანა ნაწილში უნდა განთავსებულიყო. ეს ფრთისა და ფიუზელა-



ნიკოლას კეიჯს წარმოდგენაც არ აქვს ვის შექმნილ თვითმფრინავს აფუჭებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟის კონსტრუქციას უცვლელს დატოვებდა. ხანძრის შემთხვევაში კი გათვალისწინებული იყო ძრავას ან ავზის ავარიული ჩამოგდება. ზემოხსენებული იდეების ავტორი და მთავარი კონსრუქტორის მოადგილე კი წარმოშობით ქართველი მიხეილ გრიგორაშვილი (მაიკლ გრეგორი) გახლდათ.





მიხეილ გრიგორაშვილი (მარცხნიდან პირველი) საკუთარი კონსტრუქციის მიხედვით შექმნილ გამანადგურებელ-ბიპლანთან FDB-1

მიხეილ გრიგორაშვილი 1888 წლის 6 თებერვალს დაღესტანში, ქალაქ დერბენტში დაიბადა. პეტერბურგში გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1906 წელს, მოსკოვის მიმოსვლის გზების საინჟინრო ინსტიტუტში აბარებს. მალევე იტაცებს ავიაცია და 1908 წელს მონაწილეობს პირველი რუსული საიმპერატორო აეროკლუბის ჩამოყალიბებაში, 1910 წელს კი პირველი რუსული სერიული მონოპლანის, თვითმფრინავ „Россия Б"-ს შექმნაში. გრიგორაშვილი იოლად ეუფლება საფრენი აპარატების პილოტირებას და მეტი გამოცდილებისთვის აეროკლუბი მას საფრანგეთში, პიშოფის საფრენოსნო სკოლაში აგზავნის, სადაც 1911 წელს პილოტის მოწმობას იღებს.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ინჟინერ შეტინის საავიაციო ქარხანაში ინჟინრად მუშაობს, 1915 წელს კი პეტროგრადში ცნობილი საავიაციო ფირმა „მელცერის" მთავარი კონსტრუქტორი ხდება. აქ გრიგორაშვილი „Г" სისტემის საჰაერო ხრახნებს ქმნის, რომლებიც მახასიათებლებით უცხოურებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ თბილისში, მიმოსვლის გზების სამინისტროში გადმოდის სამუშაოდ. ბოლშევიკების საქართველოში მოსვლისთანავე კი აშშ-ში ემიგრაციაში მიდის და 1921 წელს მუშაობას იწყებს მთავარი კონსტრუქტორად როდ-აილენდის შტატში, საავიაციო ქარხანა Galandet Aircraft-ში. გვარ-სახელს ამერიკელთათვის ყურისთვის უფრო იოლად გასაგებ მაიკლ გრეგორიზე ცვლის. 1923 წელს ამერიკაში უმსხვილესი საავიაციო ფირმა Curtiss Wright-ში კონსტრუქტორად მუშაობს და მონაწილეობს საბრძოლო თვითმფრინავების შექმნაში. 1926 წელს გრიგორაშვილი ამერიკის მოქალაქეობას იღებს, კიდევ ორი წლის შემდეგ კი ფირმა Bird Aircraft-ში მთავარ კონსტრუქტორად იწყებს მუშაობას, სადაც კომერციული დანიშნულების თვითმფრინავებს ქმნის. მალე ფირმა დიდი კრიზისის მსხვერპლი ხდება და 1932 წელს გრიგორაშვილი ძველი პეტროგრადელი ნაცნობის რჩევით ფირმა Seversky Aircraft-ში მთავარი კონსტრუქტორის მოადგილედ გადადის, სადაც მონაწილეობს თვითმფრინავების SEV-I, SEV-2 და SEV-3-ის შექმნაში. სამწუხაროდ, ფირმის ხელმძღვანელობამ და გრიგორაშვილმა ვერ შეძლეს საერთო ენის გამონახვა და 1935 წელს ლონგ-აილენდში თავის ფირმას Gregor Aircraft-ს აარსებს. აქ ქმნის საკმაოდ ორიგინალური კონსტრუქციის მსუბუქ თვითმფრინავს GR-1, მაგრამ შეკვეთების სიმცირის გამო, ორი წლის შემდეგ, მეუღლე ლი კლარკთან ერთად კანადაში ფირმა Car and Foundry-ში გადადის და 1938 წელს გამანადგურებელ-ბომბდამშენ FDB-1-ს ქმნის. საფრენოსნო მახასიათებლებით ის მსოფლიოში საუკეთესო გამანადგურებელ-ბიპლანია, მაგრამ ასეთი სქემის თვითმფრინავების ხანა წარსულს ჩაბარდა და თვითმფრინავი სერიულ წარმოებაში არ ჩაუშვეს.

1944 წელს ამერიკაში მცხოვრები რუსი კონსტრუქტორი მიხაილ სტრუკოვი თავის ახალდაარსებულ ფირმა Chase Aircraft-ში მთავარი კონსტრუქტორის მოადგილის თანამდებობას სთავაზობს. ფირმის პროფილს სამხედრო სატრანსპორტო-სადესანტო პლანერები წარმოადგენდა. სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო XCG-20, რომელზეც გრიგორაშვილის წინადადებით ძრავების დაყენების თემატიკა მუშავდებოდა. ეს იდეა საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა და ფირმაში მუშაობა აპარატის ორივე ვარიანტზე — უძრავო და ძრავიანი — პარალელურად მიმდინარეობდა.

მსუბუქი და საკმაოდ მტკიცე კონსტრუქციის წყალობით პლანერს ნებისმიერ ადგილას შეეძლო დაჯდომა. მისმა მაქსიმალურმა ასაფრენმა მასამ 31750კგ შეადგინა. სერიული თვითმფრინავი კი, რომელიც შეძლებდა ამხელა მასის მქონე პლანერის ბუქსირებას, იმ დროისთვის არ არსებობდა. ამიტომ 1949 წლის 14 ოქტომბერს ჰაერში მისი ძრავიანი ანალოგი XC-123 (MS-8) აფრინდა, პლანერი კი მხოლოდ 1956 წლის 26 აპრილს. XC-123-მა იმდენად მოხიბლა ამერიკელი სამხედროები, რომ ჯერ კიდევ მისი გამოცდისას ფირმა Chase-ს ხუთი ეგზემპლარი შეუკვეთეს.

მალე თვითმფრინავზე დააყენეს ფირმა Pratt & Whitney-ის ორი R-2800-



პლანერ XCG-20-ის მეორე საცდელ ნიმუშზე 4 ტურბორეაქტიული ძრავა დააყენეს, რითიც ის პირველ ამერიკულ რეაქტიულ თვითმფრინავად იქცა. მაგრამ მძიმე საექსპლუატაციო პირობების გამო ამ იდეამ განვითარება ვერ პოვა




სწორედ Provider-ის ეგზემპლარმა მიიღო მონაწილეობა „საჰაერო ციხის“ გადაღებებში

9W ტიპის დგუშიანი ძრავა, რომელთა სიმძლავრეც 2500ც.ხ.ძ.-მდე იყო გაზრდილი. თვითმფრინავმა მიიღო სერიული ნიშნული C-123B და სახელწოდება AviaTruck-ი. მისი საერთო შეთანწყობის სქემა, უკანა სატვირთო ლიუკითა და აპარელით, მსოფლიო სატრანსპორტო ავიაციისთვის კლასიკურ სქემად იქცა.

ამ დროისათვის სამხედრო-სადესანტო პლანერები აღარ იყო აქტუალური და პლანერ XCG-20-ის მეორე საცდელი ნიმუში გადაკეთდა. მასზე ფრთაქვეშა პილონებზე შეწყვილებულ მოტოგონდოლებში ფირმა General Electric-ის მიერ წარმოებული ოთხი J47-GE-11-ის ტიპის ტურბორეაქტიული ძრავა დაყენდა (ანალოგიური ძრავები სტრატეგიულ ბომბდამშენ B-47 Stratojet-ზე გამოიყენებოდა). თვითმფრინავი ნიშნულით XC-123A, პირველად 1950 წლის 21 აპრილს აფრინდა და ის პირველ ამერიკულ რეაქტიულ სატრანსპორტო თვითმფრინავად იქცა. გამოცდებზე მან საკმაოდ მაღალი სიჩქარე (700კმ/სთ) და სწრაფაღმავლობა გამოავლინა. თუმც ნაკლიც ჰქონდა – გრუნტის აეროდრომებიდან აფრენისას დაბალ სიმაღლეზე განლაგებულ ძრავებში უცხო სხეულები ხვდებოდა, რაც ზღუდავდა თვითმფრინავის გამოყენებას.

### ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები

მოდიფიკაცია — C-123K
ფრთის: გაქანი — 33.53მ
ფართობი — 113,62მ$^2$
თვითმფრინავის:
სიგრძე — 23,92მ
სიმაღლე — 10,39მ
წონა: ცარიელის — 13562კგ
ნორმალური ასაფრენი — 18288კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 27216კგ
ძრავას ტიპი: ძირითადი — ორი დგუშიანი Pratt & Whitney R-2800-99W
დამხმარე — ორი ტურბორეაქტიული General Electric J85-GE-17
წევა: ძირითადი — 2x2500ც.ხ.ძ.
დამხმარე — 2x1297კგძალა
სიჩქარე: მაქსიმალური — 394კმ/სთ
კრეისერული — 278კმ/სთ
ფრენის მანძილი — 2356კმ
პრაქტიკული ჭერი — 8845მ
ეკიპაჟი — 2 ადამიანი
სასარგებლო დატვირთვა — 62 ჯარისკაცი ან 50 დაჭრილი 12 გამცილებლით ან 6800კგ ტვირთი.

აშშ-მ სხვადასხვა მიზეზით ვიეტნამში 50 ერთ. Provider-ი დაკარგა





C-123K-ის ეკიპაჟის კაბინა

ამის გამო მისი წარმოება არ დაწყებულა.

შემკვეთებს ძალიან მოსწონდათ C-123B-ი, რადგან სატრანსპორტო შვეულმფრენებთან ერთად ცოცხალი ძალის გადაყვანაც შეეძლოთ ბრძოლის ველზე. სწორედ C-123B-ის გამოჩენის შემდეგ სატრანსპორტო ავიაციაში გაჩნდა ახალი ცნება – დაჯდომითი დესანტირება, რომლის დროსაც თვითმფრინავი ტვირთს უშაულოდ ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე ან კონკრეტულ ადგილას აგდებს. ამ შემთხვევაში თვითმფრინავი ეშვება ძალიან დაბალ სიმაღლეზე (1,5-3მ) და ხსნის სატვირთი ლიუკს. ამ დროს გადმოაგდებენ გამომჭიმავ პარაშუტს. მისი გახსნისთანავე ის ძირითად პარაშუტს მიიყოლებს და ტვირთი თვითმფრინავის მიწაზე დაჯდომის გარეშე ვარდება.

მალე C-123B-ის თავზე შავი ღრუბლები გამოჩნდა. იმ დროსთვის საავიაციო ბაზარზე დამკვიდრება უკვე საკმაოდ ძნელი იყო და Chase-ის კონკურენტებმა მიხაილ სტრუკოვი ვაშინგტონში დაიბარეს. მას ორი ვარიანტი შესთავაზეს – ან აიწყობოდა თვითმფრინავის მხოლოდ რვა ნიმუში, ან რამდენიმე ასეული. ოღონდ ამ შემთხვევაში Chase-ს თავისი აქციების ნაწილი ავიამრეწველობის მაგნატ ჰენრი კაიზერისთვის უნდა მიეყიდა. სტრუკოვი იძულებული შეიქნა აქციების 51% კაიზერისთვის მიეყიდა.

1951 წელს ხელი მოეწერა კონტრაქტს 300 C-123B-ის წარმოებაზე, მაგრამ კაიზერი არ ჩქარობდა, რის გამოც პირველი სერიული C-123B მხოლოდ 1953 წლის დასაწყისში აფრინდა ჰაერში. გამოცდილი ნიმუშისგან ის მხოლოდ გაზრდილი სიმძლავრის მქონე ძრავებითა და ფორკილით გამოირჩეოდა.

Chase-მა მხოლოდ ხუთი სერიული C-123B-ს გამოშვება მოასწრო, როდესაც კონგრესის სპეცკომისიამ აღმოაჩინა, რომ კაიზერს ხელოვნურად ჰქონდა გაზრდილი ერთი სატრანსპორტო თვითმფრინავის – C-119-ის ღირებულება. ამის გამო სამხედრო-საჰაერო ძალებმა გრიგორაშვილისა და სტრუკოვის ერთობლივად შექმნილი თვითმფრინავის წარმოება ფირმა Fairchild Engin And Airplane Corporation-ს გადასცეს. 1953 წელს სტრუკოვმა დააარსა ახალი კომპანია Strukov Aircraft Corporation-ი, რომლის მთავარი კონსტრუქტორი და პრეზიდენტიც თვითონ გახდა. მიხეილ გრიგორაშვილი კი ფირმების გაყოფის შემდეგ ისევ Chase-ში დარჩა. 1953 წელს პენსიაზე გავიდა და მალევე გარდაიცვალა.



C-123-ის ნაკვეთურში 62 ჯარისკაცი და 6800კგ ტვირთი თავსდებოდა



ვიეტნამში გამოყენება პოვა თვითმფრინავის ღამის ხედვის სენსორებით აღჭურვილმა და 7,62მმ-ის ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულმა Provider-ის მოდიფიკაციამ NC-123K.

ეროვნული ბიბლიოთეკა




კომბინირებული ძალური დანადგარის მქონე არაორდინარულ მანქანას აშშ-ის გარდა ათი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალები იყენებდა

Fairchild-ისეულმა C-123-მა შტატ მერილენდში მდებარე ქარხნის საამწყობო საამქრო 1954 წლის 20 ივნისს დატოვა. წინამორბედებისგან ის გაძლიერებული კონსტრუქციის ფორკილით გამოირჩეოდა. ახალმა პატრონმა თვითმფრინავს სახელი შეუცვალა – Provider-ი (მომწოდებელი) დაარქვა. ამ სახელწოდებით, რომელიც სავსებით შეეფერებოდა მის დანიშნულებას, C-123B სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს.

განსაკუთრებული პოპულარობა ამ თვითმფრინავს ვიეტნამის ომმა მოუტანა. Provider-ები პირველივე შერეულ ამერიკულ სატრანსპორტო ავიაჯგუფში შევიდნენ და ტვირთისა და ცოცხალი ძალის გადამტან ძირითად საშუალებას წარმოადგენდნენ. მაღალი გამძლეობისა და საექსპლუატაციო მახასიათებლების წყალობით ვიეტნამში Provider-ების რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. კარგი ასაფრენ-დასაფრენი მახასიათებლების წყალობით კი მისი გამოყენება ნებისმიერი სახის აეროდრომიდან შეიძლებოდა. ვიეტნამში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის გადაწყვეტილებით სწორედ ამ თვითმფრინავის ბაზაზე შეიქმნა საჰაერო მეთვალყურეობის საკომანდო პუნქტი VC-123B.

ვიეტნამში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მოპოვებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თვითმფრინავის მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით, Fairchild-ს გამუდმებით შეჰქონდა ცვლილებები მის კონსტრუქციაში. 1962 წელს C-123B-ს ასაფრენ-დასაფრენი მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით, ის დამატებით ორი J85-GE-17-ის ტიპის ტურბორეაქტიული ძრავებით აღჭურვეს. ისინი ძირითადი ძრავების გარეთ, მოკლე პილონებზე დაჰკიდეს (მოდიფიკაციები YC-123, C-123K, UC-123K, VC-123K, NC-123K, AC-123K). ამის შედეგად Provider-ი არაორდინარულ ოთხძრავიან მანქანად გადაიქცა, კომბინირებული ძალური დანადგარით (ასეთი სახის მოდერნიზაცია 183-მა თვითმფრინავმა გაიარა). ვიეტნამის ომში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა მიზეზთა გამო 53 Provider-ი დაკარგა.

Provider-ის სერიული წარმოება 1958 წლამდე გაგრძელდა. სულ აიგო 302 თვითმფრინავი, სტატიკური გამოცდებისთვის განკუთვნილი ერთი მანქანის ჩათვლით.

უფრო ძლიერი და სრულყოფილი C-130 Hercules-ების მომრავლებასთან ერთად, რომელთა საერთო კონსტრუქციული სქემა C-123-ის ბაზაზე იყო შექმნილი, დაიწყო ამ თვითმფრინავების ეტაპობრივად ჩამოწერა. აშშ-ის სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სპეცსამსახურები Provider-ს თითქმის 80-იანი წლების ბოლომდე იყენებდნენ. თითქმის იმავე პერიოდში დაიწყო მათი ჩამოწერა აშშ-ის სანაპირო დაცვამაც, რომლის განკარგულებაშიც HC-123B მოდიფიკაციის 11 თვითმფრინავი იყო.

სულ შეიქმნა Provider-ის 15 სერიული და საცდელი მოდიფიკაცია, რომელთა უმეტეს ნაწილზე ასაფრენ-დასაფრენი მახასიათებლების გაუმჯობესების მეთოდიკა მუშავდებოდა. მაგალითად, სამხედრო-საჰაერო ძალების შეკვეთით ერთ-ერთი სერიული Provider-ი აღიჭურვა მოსაზღვრე შრის მართვის სისტემით. Provider-ის ბაზაზე შეიქმნა მრავალდანიშნულებიანი თვითმფრინავი ამფიბია, რომლის ფიუზელაჟსაც ნავის ფსკერის ფორმა ჰქონდა, მაგრამ ის მხოლოდ საცდელ ეგზემპლარად დარჩა. ვიეტნამში ასევე გამოყენება ჰპოვა თვითმფრინავის ღამის ხედვის სენსორებით აღჭურვილმა და 7,62მმ-ის ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულმა Provider-ის მოდიფიკაცია AC/NC-123K-მა, რომელიც პროგრამა Black Spot-ის ფარგლებში შეიქმნა. კიდევ ერთი მოდიფიკაცია VC-123K განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირების გადასაყვანად შეიქმნა.

Provider-ს პოპულარობა არა მხოლოდ ვიეტნამის ომში მონაწილეობამ მოუტანა. 1990 წელს კინოეკრანებზე ამერიკული ფილმი Air America გამოვიდა. ფილმში ასახული მოვლენები ვიეტნამის ომის დროს ხდება. ამ ფილმშიც C-123 Provider-ი „მთავარ როლს ასრულებს“. მას მერე მონაწილეობდა ფილმებში „ოპერაცია დამბო“, „მეორეხარისხოვანი როლი“ აქვს ნათამაშები XXX-სა და ბონდიანას ერთ-ერთ ფილმში „ხვალინდელი დღე არასდროს მოკვდება“ და, რა თქმა უნდა, ფილმში „საჰაერო ციხე“, რომლითაც სტატია დავიწყეთ.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გარდა Provider-ს კამბოჯის, ტაივანის, სალვადორის, ლაოსის, ფილიპინების, საუდის არაბეთის, სამხრეთ კორეის, სამხრეთ ვიეტნამის, ტაილანდისა და ვენესუელის სამხედრო-საჰაერო ძალები იყენებდნენ.

დღეს მსოფლიოში Provider-ის რამდენიმე ეგზემპლარიღაა. სხვები ან დაჭრილია, ან მათი ექსპლუატანტი ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების მუზეუმებშია.

*თემურ პულუზაშვილი*




1980-იანი წლების დასასრულამდე HC-123B-ს მოდიფიკაციის Provaider-ებს აქტიურად აშშ-ის სანაპირო დაცვაც იყენებდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პრაქტიკული სროლა

## ისცყცზის საიდუმლოებანი

პრაქტიკული სროლა სასროლო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე სახალისო სახეობაა. მისი შეჯიბრებები მეტად სანახაობრივი, დინამიკურია და დღესასწაულს ჰგავს. შეჯიბრებაზე პისტოლეტებსა და რევოლვერებს, გლუვლულიან იარაღსა და გადაჭრილ კარაბინებს ისვრიან. პისტოლეტის სროლის ტექნიკა ყველაზე მეტად საინტერესო და რთულია. ალბათ, ძნელად მოიძებნება სპორტის სახეობა, რომელიც ამგვარ წვრთნების დაძაბვას, ინტელექტის კონცენტრაციასა და სპორტსმენის ენერგიის ხარჯვას მოითხოვს.

დასაწყისი იხ. „არსენალი“ №14



### გასროლა

ზედმიწევნით ყურადღებით იყავით, უამისოდ ზუსტად ვერ გაისვრით და, შესაბამისად, შედეგიც არ გექნებათ. ზუსტი გასროლისათვის აუცილებელია შემდეგი ოპერაციების ჩატარება:

1. დასამიზნებელი მოწყობილობა მიზნისკენ მივმართოთ;
2. სასხლეტს თითი გამოვდოთ და დასამიზნებელი მიზნის ცენტრზე მოვარგოთ;
3. ეცადეთ, მიზანი ზუსტად დასამიზნებელში მოაქციოთ და თითი მსუბუქად გამოსდოთ სასხლეტს. მნიშვნელობა არ აქვს, გასროლისთვის რამდენი დრო გაქვთ – 5 თუ 0,5 წამი, ეს პროცედურა აუცილებლად უნდა შეასრულოთ. მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მიზანს მოახვედრებთ.

როცა გამოცდილი მსროლელი მიზანში ახვედრებს, მის გასროლებს შორის დრო 0,12-0,19 წამს უტოლდება. თვით ასეთი სისწრაფით სროლისასაც მსროლელი მსუბუქად და დაბეჯითებით „ამუშავებს“ სასხლეტს.

გახსოვდეთ: მსროლელის სისწრაფე სულაც არ ნიშნავს, რომ სწრაფად გამოჰკრას თითი სასხლეტს. სისწრაფეს მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მსროლელი მინიმალურ დროში მაქსიმალური რაოდენობის მიზანს ანადგურებს. თვით ყველაზე სწრაფი გასროლაც კი არაფრად ჩაითვლება, თუ ტყვია მიზანს ასცდა. სასხლეტზე თითის გამოდებისას თითის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ვერტიკალური სიბრტყის გასწვრივ, რომელიც პისტოლეტის ლულის ღერძის არხზე გადის.

სასხლეტის დამუშავებისას საჩვენებელი თითის ძალისხმევის არასწორი მიმართულება ლულის კუთხურ გადახრასა და არაზუსტ გასროლას გამოიწვევს.

სასხლეტზე თითის დაჭერის ძალისხმევის მიმართულება რომ გააკონტროლოთ, აიღეთ ფანქარი ან ზუმბა, ნახევრად მოხრილ ხელის მტევანს ზემოდან დაადეთ და მისი ერთი ბოლო საჩვენებელი თითის ბოლო ფალანგას მიაბჯინეთ – იმ ადგილას, რითიც სასხლეტს ეხებით. თუ ზემოდან დახედავთ, ზუმბა წარმოსახვითი პისტოლეტის ლულის არხის ღერძს უნდა ემთხვეოდეს. საჩვენებელი თითი მოხარეთ, თითქოს სასხლეტს აწვებით. ზუმბა ამ დროს თავისი ღერძის გარშემო უნდა მოძრაობდეს, ისე, რომ მიმართულება არ შეიცვალოს. საჩვენებელი თითით ზუმბა ამოძრავეთ. გაიმეორეთ ეს რამდენჯერმე და დაიმახსოვრეთ თითის ძალისხმევის მიმართულება. ამის მერე ვაზნებით ან უვაზნოდ ვარჯიშს შეუდექით.

კარგად გასროლა არ ნიშნავს ნელა გასროლას. თუკი სიზუსტისა და სისწრაფის ბალანსს დააკვირდებით, მაშინ სიზუსტეზე ყურადღების დაახლოებით 80% მოდის, სისწრაფეზე კი – 20. სისწრაფე სიზუსტისგან გამომდინარეობს.

### დამიზნება

ჩქაროსნულ სროლაში უნდა გაითვალისწინოთ დამიზნების სამი ვარიანტი:

პირველი ვარიანტი. – მიზანი 10 მეტრისა და მეტი დაშორებითაცაა „ძნელი“. ძნელი მიზანი ფოლადის თეფშია ან დაშორებული მოძრავი მიზანი. შეიძლება იყოს მუყაოს მიზნის სექტორი, საჯარიმო მიზნით ან დეკორაციებით დაფარული (დეკორაციებით დაფარვის იმიტირება შეიძლება მიზნის ნაწილის გადალებვით ან უბრალოდ, მისი ჩამოჭრით). ამ შემთხვევაში მზერა მიზანზეა ფოკუსირებული. დასამიზნებელი მიზანს მოარგეთ და თან, აკონტროლეთ. სასხლეტს მსუბუქად, მაგრამ თავდაჯერებით გამოსდეთ თითი.

დამიზნების ასეთი ხერხის გამოყენების დროს აუცილებელია მუდმივად ადევნოთ თვალი დასამიზნებელ მოწყობილობას. განსაზღვრული რაოდენობის გასროლის

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამიზნების პირველი ვარიანტი. მზერა ნიშანზეა ფოკუსირებული.



დამიზნების მეორე ვარიანტი. მზერა მიზანზეა ფოკუსირებული.



დამიზნების მესამე ვარიანტი. მსროლელს მზერა მიზანზე აქვს ფოკუსირებული და პერიფერიული მხედველობით მეზობელ მიზნებსაც აკონტროლებს.

შემდეგ მსროლელი სროლის მომენტშივე კარგად აფიქსირებს მიზნისა და დასამიზნებლის მდგომარეობას და ისიც იცის, სად მოხვდა ტყვია. გამოცდილი მსროლელი ნიშნის შეტოკებასაც კი ამჩნევს. თუ იარაღი სწორად გიჭირავთ და ასევე სწორად უმიზნებთ, ნიშანი ზემოთ აიწევს, ან ზემოთ და მარჯვნივ გადაიხრება, შემდეგ კი მიზანზე თავის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება. ნუ იფიქრებთ იმაზე, უკუცემისას როგორ ტოკავს პისტოლეტი და რამდენად მაღლა იწევს ლულა. მთავარია, დასამიზნებელი მოწყობილობა გასროლის შემდეგ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდეს. ეს სასხლეტზე თითის სწორად გამოდებისა და დაძაბულობის გარეშე სროლით მიიღწევა.

შედეგიანი სროლისათვის პირველი ვარიანტის გამოყენებისას აუცილებელია ვიზუალურად გააკონტროლოთ დასამიზნებელი მოწყობილობა და მთელი ყურადღება თითისა და სასხლეტის კონტაქტის შეგრძნებაზე გადაიტანოთ. ეს დაძაბულობის მოხსნასა და დამშვიდებაში დაგეხმარებათ, რაც ასე მნიშვნელოვანია შეჯიბრებაში შედეგიანი გამოსვლისათვის.

**მეორე ვარიანტი.** მიზანი ღიაა და მსროლელისგან 7-10 მეტრის დაშორებითაა. ამ შემთხვევაში მსროლელი მიზანს დასამიზნებელი მოწყობილობით უყურებს და მიზნის მზერით ფოკუსირებას ახდენს. ნიშანი და დასამიზნებელი ერთმანეთზეა მორგებული, ნიშანი ბუნდოვნად ჩანს და მიზნის ცენტრშია მოქცეული. სასხლეტს მსუბუქად და თავდაჯერებით გამოსდეთ თითი. მიზანზე მზერის ფოკუსირებით მიზნის მთლიან არეს გააკონტროლებთ, ამით მიზნების მთელი ჯგუფის განადგურების სიჩქარეც გაიზრდება.

იმავდროულად, ვიზუალურად გააკონტროლებთ მიზანზე ნატყვიარებს. პირველ ხანებში დამწყებ მსროლელს ეს გაუძნელდება. წვრთნების შემდეგ, რამდენიმე ხანში კი სროლისას მიზანში მორტყმასაც დააფიქსირებს. მაგრამ ამაზე ნუ გადაიტანთ ყურადღებას, თორემ სროლის პროცესს ხელს შეუშლით. მიზნების სწრაფი განადგურებისას არ შეიძლება ფიქრი და გაანალიზება. მხოლოდ თვალი უნდა ადევნოთ.

**მესამე ვარიანტი.** მიზნები მსროლელისგან 5-7 მეტრის დაშორებით ან ახლოსაა. ამ შემთხვევაში მსროლელს მზერა მიზანზე აქვს ფოკუსირებული, ამასთან, პერიფერიული მხედველობით აკონტროლებს ნიშანსა და მეზობელ მიზნებს.

ნიშანს, რომელიც ბუნდოვნად ჩანს, მსროლელი მიზნის ცენტრში მოაქცევს და გაისვრის.

დამიზნების ეს ვარიანტი ზეჩქაროსნულ სროლას გულისხმობს, იარაღის მომენტალური, აგრესიული გადატანით. დამიზნების ამ ვარიანტში ნიშანი დასამიზნებლის ღიობში უნდა იყოს მოქცეული, თუმც მიზნის დასამიზნებელში მკაცრად მოქცევა არ არის აუცილებელი.

ასეთ დისტანციაზე მსროლელი, ჩვეულებრივ, ძალზე იძაბება. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია დაძაბულობის გარეშე სროლის სწავლა.

წვრთნებისას შეიძლება გამოიყენოთ დამიზნების ამ სამი ვარიანტის სხვადასხვა კომბინაცია.

## ვაზნის სავაზნეში შეტანა

გასროლისთვის იარაღის დატენვაა საჭირო, — მჭიდის ჩასმა და ვაზნის სავაზნეში შეტანა. ვაზნის სავაზნეში შეტანის სულ ცოტა ოთხი უსაფრთხო ხერხი არსებობს.

**პირველი.** მსროლელი ცერსა და მოხრილ საჩვენებელ თითს საკეტის ჩარჩოს წაავლებს. ჩარჩოს თავისკენ ბოლომდე მოქაჩავს და მერე ხელს გაუშვებს. საკეტის ჩარჩო უკუმომქცევი ზამბარის ზემოქმედებით საწყის მდგომარეობას უბრუნდება და ვაზნა სავაზნეში შეაქვს. ეს უნივერსალური ხერხია და პისტოლეტის მოდელების უმრავლესობისთვის გამოდგება.

**მეორე ხერხი.** საკეტის ჩარჩოს უკანა ნაწილი სუსტი ხელის ხელისგულსა და ოთხ თითს შორის მოაქციეთ. საკეტი უკიდურესად უკანა მდგომარეობაში გადაიყვანეთ და მერე ხელი გაუშვით. ვაზნის სავაზნეში შეტანის შემდეგ სუსტი ხელის თითები გამართეთ, ისე, რომ ლულის ჭრილი არ გადაკვეთოთ. ვაზნის ამომყრელი არ უნდა დაფაროთ ხელისგულით.

**მესამე ხერხი.** საკეტის ჩარჩოს წინა ნაწილი სუსტი ხელის ხელისგულითა და ოთხი თითით მოეჭიდეთ. ამომყრელს ხელისგული არ დააფაროთ. ვაზნის სავაზნეში შეტანის შემდეგ, ისევე როგორც მეორე ხერხში, სუსტი ხელის თითები იმართება და ამომაყრელის წინა ნაწილსაა ჩაჭიდებული, ისე, რომ ლულის ჭრილი არ გადაკვეთოს.

მეორე და მესამე ხერხები გამოიყენება მაშინ, როცა პისტოლეტს ძლიერი უკუმომქცევი ზამბარა აქვს. ამ ხერხებს იყენებენ იუნიორები, ქალები და არცთუ ძლიერი ხელის მქონე მსროლელები. ვაზნის სავაზნეში შესატანი ამ ხერხების გამოყენებისას დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ ამომყრელი არ დაფაროთ ხელით. ასეთ შემთხვევაში ხელისგულს მიბჯენილი ვაზნა საკეტის ბასრ პირს კაფსულით წამოედება და შესაძლოა, გასკდეს და ხელისგული დაგიზიანოთ. ასეთი შემთხვევებიც ხდება.

**მეოთხე ხერხი.** სპორტული. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეტის ჩარჩოს წინა ნაწილი სუსტი ხელის ცერისა და საჩვენებელი თითის განშტოებაში მოაქციეთ. საკეტს სუსტი ხელის ხელისგულის ზედა ნაწილსა და გაშლილ საჩვენებელ თითს შემოაჭდობთ. სავაზნეში ვაზნის შეტანის შემდეგ სუსტი ხელის მტევანი ქვემოთ ჩამოცურდება და ძლიერ ხელს მოჭიდებაში დაეხმარება.

ალბათ, მეოთხე ხერხი ყველაზე სწრაფი, მაგრამ ნაკლებსაიმედოა, რადგან განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. ეს ხერხი სუსტი უკუმოქმედების ზამბარის მქონე პისტოლეტით სროლისას გამოგადგებათ.



ვაზნის სავაზნეში შეტანა პირველი ხერხით.



ვაზნის სავაზნეში შეტანა მეორე ხერხით.



ვაზნის სავაზნეში შეტანა მესამე ხერხით.



ვაზნის სავაზნეში შეტანა მეოთხე ხერხით.

## სავარჯიშო №1 იარაღის მიზნისკენ მიმართვა და გასროლა

სავარჯიშოს ასრულებენ ვაზნებით. ტაიმერის გარეშე. სავარჯიშო მიზნად შეიძლება გამოიყენოთ 30 სმ დიამეტრის ფოლადის თეფში, რომელიც 15 მეტრის მოშორებითაა. ტყვიის მოხვედრისას თეფში დამახასიათებელ ზარისებურ ხმას გამოსცემს. ამიტომაც ზოგჯერ მას „გონგს“ უწოდებენ. მიზანი ღია ფერის საღებავით უნდა იყოს შეღებილი, რომ მიზნის დაზიანება უფრო კარგად გამოჩნდეს. გასროლის სერიის შემდეგ მიზანს ხელახლა შეღებავენ. ასეთი მიზანი ძალზე მოსახერხებელია სავარჯიშოდ, — თითოეული გასროლის შედეგის ვიზუალურად და ხმის მიხედვით გაკონტროლება შეიძლება. ნატყვიარების აღნიშვნა და ამოვსება არ არის საჭირო.

საწყისი პოზიცია. მსროლელი მიზნისკენ პირით დგას, დატენილი ლულიანი პისტოლეტი ორმაგი ჭერით, ორივე ხელით უჭირავს და მიზნისკენ აქვს მიმართული. გასროლის წინ აუცილებლად გააკონტროლეთ მხრები, იდაყვები, თავისა და სხეულის მდგომარეობა.

შესრულების პროცედურა. სამიზნებელი მოწყობილობა მიზნის ცენტრს მოარგეთ და გაისროლეთ. ამის შემდეგ პისტოლეტი გულმკერდისკენ მისწიეთ და საჩვენებელი თითი სასხლეტს მოაშორეთ. თითი გამართული უნდა იყოს, მაგრამ არა დაძაბული. რეკომენდებული არ არის ძლიერი ხელის საჩვენებელი თითი სასხლეტს ეყრდნობოდეს. ამით თითი დაიძაბება და ნაკლებმოძრავი გახდება. ხანმოკლე პაუზის შემდეგ გასროლა გაიმეორეთ. ამრიგად, მიზანი დააზიანეთ მანამდე, სანამ ვაზნები არ გაგითავდებათ მჭიდში.

დამიზნება პირველი ვარიანტით. როცა პისტოლეტი გულმკერდთან გაქვთ, მზერა ფოკუსირებულია მიზნის ცენტრზე. მაშინ კი, როცა პისტოლეტი „თვალი-მიზნის“ ხაზზეა, მზერა ნიშანზეა ფოკუსირებული. სავარჯიშოს შესრულებისას აუცილებლად ადევნეთ თვალი იდაყვებსა და ძლიერი ხელის საჩვენებელ თითს. პისტოლეტის ლულა სავარჯიშოს შესრულებისას მიწის პარალელური და მიზნისკენ მიმართული უნდა იყოს.

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ ამოიღეთ მჭიდი, საკეტი უკიდურესად უკანა მდგომარეობაში ჩაagdeთ და შეამოწმეთ, ხომ არ დარჩა ვაზნა სავაზნეში. საკეტი ზედიზედ ორჯერ მოსწიეთ, ჩახმახი დასხლიტეთ და პისტოლეტი ბუდეში მოათავსეთ.

## სავარჯიშო №2 „ნაბიჯი-გასროლა“ ვაზნებით

სავარჯიშოს ასრულებენ ვაზნებით. ტაიმერის გარეშე. ეს სავარჯიშო სწორად დგომისა და გადაადგილებისას პისტოლეტის სწორად დაჭერის უნარს გამოგიმუშავებთ. გაგივარჯიშდებათ მიზნის გამოჩენისთანავე პისტოლეტის დამიზნება. ასევე, სასხლეტისგან საჩვენებელი თითის მოშორება, როცა მიზანს იარაღს ჩამოაშორებთ.

იყენებენ ორ მუყაოს მიზანს ან ორ გონგს, 15 მეტრის მოშორებით. მიზნებს შორის მანძილი 2 მეტრია.

საწყისი პოზიცია. მსროლელს პისტოლეტი ორმაგი ჭერით, ორივე ხელით უჭირავს მზის წნულის დონეზე. პისტოლეტის ლულა მიწის ზედაპირის პარალელურია. ძლიერი ხელის საჩვენებელი თითი გამართულია (სასხლეტზე არ არის მოდებული). ფეხები მუხლებში ოდნავ მოხრილია სიმძიმის ცენტრის შესამცირებლად.

შესრულების პროცედურა. ვაზნებით სავარჯიშოს შესრულების პროცედურა ისეთივეა, როგორიც უვაზნო ვარჯიშისას. ყოველი გასროლის შემდეგ ნახევარნაბიჯი გააკეთეთ განზე, იარაღი თქვენკენ მოზიდეთ და საჩვენებელი თითი სასხლეტს მოაშორეთ. როცა სრულ ნაბიჯს გააკეთებთ, პისტოლეტი მიზანს დაუმიზნეთ და გაისროლეთ. სავარჯიშო მჭიდში ვაზნების გათავებამდე გრძელდება. დასრულების შემდეგ აუცილებლად ამოიღეთ მჭიდი, საკეტი უკიდურესად უკანა მდგომარეობაში გადაიყვანეთ და შეამოწმეთ, ხომ არ დარჩა ვაზნები სავაზნეში. პისტოლეტი მიზნის მიმართულებით, ლულით დაიჭირეთ, საკეტი კიდევ ორჯერ გამოსწიეთ, ჩახმახი დასხლიტეთ და პისტოლეტი ბუდეში მოათავსეთ.

## სავარჯიშო №3. სიფრთხილე

ასრულებენ ვაზნებით. ტაიმერის გარეშე.

სავარჯიშოს დანიშნულებაა სროლის სიზუსტის გამომუშავება და თითოეულ გასროლაზე სხეულის ნაადრევი რეაქციის ალკვეთა.

სავარჯიშო გამოადგებათ როგორც დამწყებებს, ასევე გამოცდილ მსროლელებსაც. მუყაოს მიზანი 25 მეტრის დაშორებითაა. ზონა ა-ს (ჩასათვლელი ზონა ა ყველა მიზანზეა. ამ ზონის დაზიანების შემთხვევაში მსროლელს ქულების მაქსიმალური რაოდენობა ეწერება) ცენტრში შეიძლება მოთავსდეს მუქი ან პირიქით, თეთრი ნიშანი 5X5სმ. საჭიროა ნატურალური ზომის ვაზნების მაკეტებიც. პირობითად მათ ფუჭი ვაზნები ვუწოდოთ. დაგჭირდებათ ჭოგრიც.

საწყისი პოზიცია. მსროლელი მიზნისკენ პირით დგას. დატენილი პისტოლეტი ორივე ხელით უჭირავს მზის წნულის დონეზე, ლულით მიზნისკენ, იდაყვებით სხეულის გვერდებს ეხება. საჩვენებელი თითი სასხლეტის გარეთაა, ლულის პარალელურად. მჭიდში მორიგეობით ჩაწყობილია ჩვეულებრივი და ფუჭი ვაზნები.

შესრულების პროცედურა. ხმოვანი სიგნალის შემდეგ მსროლელი პისტოლეტს მიზანს უმიზნებს და 5-ჯერ ესვრის. შემდეგ ნატყვიარებს ჭოგრით ამოწმებს.

გასროლებისას მსროლელმა ყურადღება უნდა მიაქციოს დასამიზნებელ მოწყობილობას, ასევე, საჩვენებელი თითისა და სასხლეტის კონტაქტის შეგრძნებას. გამუდმებით უნდა გააკონტროლოს ხელების, კისრისა და ტორსის კუნთების მდგომარეობაც. ფუჭი ვაზნის მოხვედრისას შეგიძლიათ შეამოწმოთ სროლის სიზუსტე.

თუ მსროლელს მოსალოდნელ გასროლაზე ნაადრევი რეაქცია აქვს, ფუჭი ვაზნის მოხვედრისას დაინახავს, როგორ დაქანდება ლულა დაბლა ჩახმახის დასხლეტისას. მოსალოდნელ გასროლაზე ნაადრევი რეაქცია თუ გაქვთ, რეკომენდებულია რამდენიმე ფუჭი გასროლა და ამ გზით ნიშნის უძრაობის მიღწევა.

## სავარჯიშო №4 „კუნთოვანი მეხსიერება“

ასრულებენ უვაზნოდ. ტაიმერის გარეშე. ეს სავარჯიშო მოძრაობის კოორდინაციასა და ცნობიერების განვითარებას ემსახურება. სავარჯიშო კარგია როგორც დამწყებთათავის, ასევე გამოცდილი მსროლელებისთვისაც.

საწყისი პოზიცია. მსროლელი პირით ღია ფერის კედლისკენ ან სასროლეთზე ტყვიადამცავი ზვინულისკენ დგას. მიზანი საჭირო არ არის. დაუტენავი პისტოლეტი ორივე ხელით უჭირავს მზის წნულის დონეზე, ლულით კედლისკენ (ან ტყვიადამცავი ზვინულისკენ), იდაყვებით სხეულის გვერდებს ეხება.

შესრულების პროცედურა. პისტოლეტი იმ დონემდე ასწიეთ, რომელიც სასროლი პოზისათვის ოპტიმალურად მოგეჩვენებათ და გაასწორეთ დასამიზნებელი მოწყობილობა, ოღონდ არაფერს დაუმიზნოთ. ასწიეთ პისტოლეტი მზის წნულის არემდე, დახუჭეთ თვალები, შემდეგ კი პისტოლეტი ისევ საწყის დონეზე დააბრუნეთ. გაახილეთ თვალი და შეამოწმეთ დამიზნების ხაზი. სავარჯიშო მანამდე გაიმეორეთ, სანამ დასამიზნებელი მოწყობილობა დახუჭული თვალებით პისტოლეტის დამიზნების შემდეგ დამიზნების ხაზს არ დაემთხვევა. ეცადეთ, კარგად დაიმახსოვროთ დასამიზნებელი მოწყობილობა, ყურადღება მიაქციეთ შეგრძნებებს. დაძაბულობის გარეშე წარმოიდგინეთ პისტოლეტიც. ნუ დაღონდებით, თუ მაშინვე არ გამოგივიდათ. ნუ იჩქარებთ ერთბაშად რთული სავარჯიშოების გაკეთებას, წარმოსახვის განსავითარებელ სავარჯიშოზე მაშინ გადადით, როცა წინას სწორად შესრულებას ისწავლით. საბოლოო შედეგი გამაოგნებელი იქნება. შეჯიბრებებზე, როცა ცნობიერება გახსნილი გექნებათ, სრულად შეიგრძნობთ თქვენს პოტენციალს, ძალასა და თვითდაჯერებაც შეგემატებათ.

## სავარჯიშო №6 ექვსი გასროლა

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიმერით. ჩქაროსნული ვარჯიშია. მისი დანიშნულება იარაღის უკუცემის გაკონტროლების დამუშავება და სწრაფი განმეორებითი გასროლის გაკეთება.

ერთი მუყაოს მიზანი მსროლელისგან 15 მეტრით არის დაშორებული. ტაიმერზე დაყენებულია დამწყებთათვის 15-წამიანი, ხოლო გამოცდილი მსროლელებისათვის 10-წამიანი ინტერვალით ორი ხმოვანი სიგნალი. ამ რეჟიმს ტაიმერზე „რაგა“ ეწოდება.

სტარტი. ხმოვანი სიგნალი.

სავარჯიშოს დასრულება. ხმოვანი სიგნალი 15 წამის გასვლისთანავე გაისმის.

საწყისი პოზიცია. მსროლელი პირით მიზნისკენ დგას. დატენილი პისტოლეტი ორივე ხელით უჭირავს მზის წნულის დონეზე, მიზნისკენ ლულით, იდაყვებით სხეულის გვერდებს ეხება. საჩვენებელი თითი სასხლეტზე არ არის მოდებული და ლულის პარალელურადაა. გამოცდილი მსროლელებისთვის: პისტოლეტი ბუდეშია, ხელები — ჩამოშვებული.

შესრულების წესი. ხმოვანი სიგნალისთანავე მსროლელი იარაღს მიზანს მიმართავს და ტაიმერის მეორე სიგნალამდე 6-ჯერ გაისვრის. შემდეგ იარაღს ვაზნებს ამოაცლის და ბუდეში მოათავსებს, ან მაგიდაზე დადებს. ყველა ნატყვიარი ზონა ა-ში უნდა იყოს — ეს შედეგიან ცდად ითვლება. ნატყვიარები ქაღალდის ლენტით დავაწებოთ. ორი შედეგიანი ცდის შემთხვევაში, გასროლებს შორის დროის შუალედი 1 წამამდე შეამცირეთ. შემდეგი ორი შედეგიანი ცდის შემდეგ დროის შუალედი კიდევ 1 წამით შეამცირეთ. და ა.შ. სროლის მაღალ სისწრაფეს რომ მიაღწევთ, დრო 0,2 წამამდე დაიყვანეთ.

ასე ცვალეთ მიზნამდე მანძილი და დრო.

## დამახასიათებელი შეცდომები

ქვემოთ მოყვანილია პრაქტიკულ სროლაში დაშვებული შეცდომები და მათი ალმოფხვრის ხერხები. შეცდომების გამოსწორებაზე მუშაობა იარაღის სწორი გამიზვნის შემდეგ იწყება. გახსოვდეთ, რომ ხშირად პრობლემა არა ერთი, არამედ რამდენიმე შეცდომის შედეგია.

**პრობლემა** 1. პისტოლეტის ტრემორი. ზოგჯერ პისტოლეტი დამწყების ხელში კანკალს იწყებს. მსროლელი დაძაბულობისაგან ოფლში იწურება და ცდილობს, გაიხსენოს, რას აკეთებდა გუშინ. თავში სულ მწარე ფიქრები მოსდის: „ამას მთელ სიცოცხლეს ვერ მოვიშლი...“, „მიზანს ვერასოდეს მოვახვედრებ ამისთანა ხელის კანკალით“ და ა.შ....

**მიზეზი**. ტრემორის მიზეზი შეიძლება იყოს: ხელების კუნთების გადაძაბვა, წინა საღამოს გემრიელი სმა-ჭამა, მიწისძვრა.

**პრობლემის ალმოფხვრა**. თუ დარწმუნდით, რომ დედამიწა არ იძვრის, მაშინ ტრემორის ორი მიზეზი დაგრჩათ, რომელთა ალმოფხვრა შეიძლება. ტრემორი უფრო ხშირად დამწყებ მსროლელებს აქვთ ხელების კუნთების გადაძაბვის გამო. თავიდან მოიშორეთ ფიზიკურ ნაკლზე უნუგეშო ფიქრი. რეგულარული წვრთნით ტრემორი გაქრება. დასაწყისისათვის ეცადეთ, ოდნავ მოადუნოთ ან დაძაბოთ ხელების კუნთები და პისტოლეტიც კანკალს შეწყვეტს. კარგად დაიმახსოვრეთ ეს მდგომარეობა და ეცადეთ, ყოველთვის დაიცვათ. როგორც კი დაღლილობას იგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძნობთ კუნთების წვრთნისას, პაუზა გააკეთეთ — დაისვენეთ.

**პრობლემა 2.** ნატყვიარები არათანაბრადაა მიზნის ქვედა ნაწილში, მიზნის ქვემოთ მოხვედრის ჩათვლით.

**შეცდომა.** მსროლელს მოსალოდნელ გასროლაზე ნაადრევი რეაქცია აქვს. ეს პრაქტიკულ სროლაში ყველაზე გავრცელებული შეცდომა. ხშირად თან ერთვის თვალების ხამხამი გასროლისას. ეს იმიტომ ხდება, რომ მსროლელი სასხლეტზე ხელის დაჭერისას, ძალზე იძაბება, გასროლის ხმასა და უკუცემის დარტყმას ელის. ამის გამო ნაადრევ რეაქციას ახდენს, — პისტოლეტი ქვემოთ იხრება და ტყვია მიზნის ქვედა ნაწილში ან მიწას ხვდება.

პისტოლეტის ქვემოთ დახრის საჩვენებლად მჭიდში რამდენიმე ფუჭი ვაზნა ჩააწყვეთ ჩვეულებრივებთან მორიგეობით. ფუჭ ვაზნაზე ჩახმახის დასხლეტის შემდეგ, მსროლელი გასროლის მოლოდინში პისტოლეტს დააწვება და ქვემოთ დახრის.

**შეცდომის აღმოფხვრა.** ეს ყველაზე ძნელად მოსაშორებელი ჩვევაა. ამიტომ უნდა ისწავლოთ მოდუნება, კუნთების დაძაბულობის მოხსნა.

სროლისას აუცილებლად გამოიყენეთ კარგი საყურისები, პირველ ხანებში კი მათთან ერთად ბერუშებიც (ყურსაცობი). ამით გამორიცხავთ ორგანიზმზე გასროლის ხმის ზემოქმედებას. ჩვეულებრივ, ამის შემდეგ მსროლელს აღარ ეშინია გასროლისა და აღარც თვალებს ახამხამებს.

მსროლელმა თავი უნდა დაირწმუნოს, რომ გასროლისას პისტოლეტის შესაკავებლად დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო. პისტოლეტი უბრალოდ უნდა დაიჭიროთ. არ უნდა წაეხმაროთ — უფრო მაგრად დაჭერა ან ხელის კუნთების დაძაბვით უკუცემისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ არის საჭირო. პისტოლეტი თვითონ გააკეთებს თავის საქმეს და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება. პისტოლეტს თავისუფლება უნდა მისცეთ. ამ შეცდომის გამოსწორებაზე მუშაობისას ვაზნებით სროლას უვაზნებოდ სროლა შეუნაცვლეთ (იხ. სავარჯიშო №4). უვაზნებოდ სროლისას ჩახმახის დასხლეტისას ნიშანი სწორად უნდა იდგეს. უვაზნებოდ სროლისას კუნთების მდგომარეობა დაიმახსოვრეთ და ვაზნებით სროლისას გამოიყენეთ. გაიმეორეთ მანამ, სანამ სწორად გასროლას არ ისწავლით.

**პრობლემა 3.** სროლის მიჯრილობის უქონლობა

ნატყვიარები მთელ მიზანზეა, დიდი ნაწილი — მარცხნივ და ქვემოთ (როცა „მემარჯვენე“ ისვრის).

**შეცდომა.** „ათიანის“ დევნა. დამწყებ მსროლელებში ეს გავრცელებული შეცდომაა ვაზნებით სროლისას. დამიზნების დროს ნიშანი „ხტის“ და ამიტომ „ათიანზე“ ვერ ჩერდება. მსროლელი მხტომარე ნიშნით „ათიანის“ „დევნას“ იწყებს და ნიშნის მიზნის ცენტრში გავლისას სწრაფად გამოჰკრავს სასხლეტს — შედეგი აცდენა ან აცილებაა.

**შეცდომის აღმოფხვრა.** გახსოვდეთ, ნიშანი ზუსტად მიზნის ცენტრშიც რომ არ იყოს, სასხლეტზე თითის მსუბუქად მოდებისას გასროლის შედეგი მაინც კარგი იქნება. სასხლეტი რომ არ ათამაშოთ, სროლისას ყურადღება მიაქციეთ, თითის ბოლო ფალანგისა და სასხლეტის კონტაქტის შეგრძნებას. ნიშნის რხევისას უმაღლესი ჩასათვლელი ზონის რაიონში გააგრძელეთ სასხლეტის მსუბუქად „დამუშავება“, არ დაუცადოთ დასამიზნებელი მოწყობილობის აბსოლუტურად ზუსტ ცენტრირებას. და კიდევ, შეჯიბრების წინ თავი აარიდეთ ქეიფებს.

**პრობლემა 4.** მიზანში მოხვედრის საშუალო წერტილს „მემარჯვენე“ ხშირად მარცხნივ გადაანაცვლებს, ცაცია კი — მარჯვნივ. თუმც მიბრჯნით გამიზნება მოხვედრის საშუალო წერტილს ცენტრში მოაქცევს ხოლმე.

**შეცდომა.** გასროლისას ძლიერი ხელის საჩვენებელი თითი სასხლეტს ძალზე მჭიდროდ ეყრდნობა, ისე, რომ მტევანი და პისტოლეტის ლულა სუსტისკენ იხრება.

**შეცდომის გამოსწორება.** მსროლელმა თვალი უნდა ადევნოს საჩვენებელი თითის ძალისხმევის მიმართულებას და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს. სასხლეტზე თითის დაჭერის დროს ძალისხმევა ლულის არხის ღერძის პარალელურად უნდა მიმართოთ. ამ ცუდი ჩვევის აღმოსაფხვრელად სცადეთ სასხლეტი ოდნავ მარჯვნივ გასწიოთ („მემარჯვენემ“). კი არ დააჭიროთ თითი, არამედ სწორედ მარჯვნივ გასწიოთ. თითის ძალისხმევის მიმართულების გაკონტროლება შეგიძლიათ ზუმბის ან ფანქრის მეშვეობით, ისე როგორც ზემოთ აღვწერეთ.

**შეცდომა.** პისტოლეტის ორმაგი, ორივე ხელით ჭერისას, სუსტი ხელი „პასიურობს“.

**შეცდომის აღმოფხვრა.** იარაღის ორმაგი ჭერისას (ორივე ხელით) სუსტ ხელზე დაახლოებით ძალისხმევის 60% უნდა მოდიოდეს, ძლიერზე კი — დაახლოებით 40. აუცილებლად გააკონტროლეთ ორივე ხელით პისტოლეტის ჭერის ძალისხმევა. საჭიროების შემთხვევაში სუსტი ხელი „გაამაგრეთ“ მოხვედრის საშუალო წერტილის სუსტ მხარეს გადანაცვლებით. შეცდომის აღმოსაფხვრელად სროლისას საჭიროა სუსტი ხელის მტევნის მდგომარეობის შემოწმება. თუკი იგრძნობთ, რომ ხელი შესუსტდა, მაშინვე გაამაგრეთ.

მოხვედრის საშუალო წერტილის გადანაცვლების პრობლემა შეიძლება ღია სასროლეთზე სროლისასაც წარმოიშვას, როცა მზე მარჯვნივ, მარცხნივ ან წინაა.

ეს ნაკლი აქვს ვივერის პოზასაც, როცა სუსტი ხელი გამართულ ძლიერ ხელს „ჭიმავს“.

**გაიღიმეთ...**

გავრცელებული მოსაზრებაა, რომ თუ ქალები სროლას სერიოზულად მოეკიდებიან, მამაკაცებზე უკეთესი მსროლელები ხდებიან. ეს ფაქტი, რბილად რომ ვთქვათ, სადავოა. თუმცა აქვე უნდა ვაღიაროთ: ამ ფოტოზე გამოსახული მუხანათი მტრისთვის ტყვიის სროლა ყველა მამაკაცს გაუჭირდება, ქალი კი პირიქით, სიამოვნებით ესვრის...



ეროვნული ბიბლიოთეკა



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება.

# კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

გაგრძელება



ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განბივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

## ლენიანის ბრძოლა 1176 წელი

ალპების მთათა სისტემა დღესაც დაბრკოლებას წარმოადგენს სამხედრო ფორმირებებისათვის, შუა საუკუნეებში კი მისი გადალახვა კიდევ უფრო ძნელი იყო. თოვლი, ვიწრო უღელტეხილები და ცუდი გზები მოლაშქრეებს უქმნიდა პრობლემას. სწორედ ამ მთათა სისტემის გამოისობით იყო დაცული სამხრეთით მდებარე იტალია ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხისაგან. ალპები ნებისმიერ არმიასთან, შეიარაღებასა და სტრატეგიასთან შედარებით ყველაზე უკეთ უზრუნველყოფდა აპენინის ნახევარკუნძულის უსაფრთხოებას, თუმც ზოგიერთი თავზე ხელაღებული მხედართმთავრისათვის არც ის წარმოადგენდა ბარიერს.

მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში იტალია პოლიტიკურად რომის საღვთო იმპერიის (გერმანელი ერის) შემადგენლობაში იყო, იტალიელი ხალხი მუდამ ისწრაფოდა თავისუფლებისაკენ. ამას მოსახლეობის ზრდა და სამხრეთ იტალიის ქალაქების სიმდიდრეც განაპირობებდა.

რომის იმპერატორი, უპირველეს ყოვლისა კი გერმანიის მეფე, იტალიელი ვასალების საქმეებს მხოლოდ მაშინ აქცევდა ყურადღებას, როდესაც სამხრეთით პოზიციის გამყარების აუცილებლობის საკითხი წამოიჭრებოდა ხოლმე. ასეთი შემთხვევები კი არცთუ ისე იშვიათი იყო, რადგან გერმანიას თითქმის არასოდეს ჰქონდა პოლიტიკური საიმედოობა. იტალიელები თავიანთ თვითმმართველობებს გერმანელების აგრესიისაგან, როგორც წესი, იარაღით იცავდნენ, ამიტომაც იმპერატორებს მუდამ ბრძოლა უწევდათ, რომ სამხრეთის ქალაქები მორჩილებაში ჰყოლოდათ. იტალიელები ხშირად მარცხდებოდნენ გამოცდილ და კარგად აღჭურვილ მეომრებთან ბრძოლაში, მაგრამ ხანდახან ბედი მათაც გაუღიმებდა. სწორედ ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს 1176 წლის 29 მაისს ლენიანთან მომხდარი შეტაკება, რომლის დროსაც ერთმანეთს ფრიდრიხ I ბარბაროსა და მილანის მოკავშირე ქალაქები დაუპირისპირდნენ.

ფრიდრიხმა ბიძის – კონრად III-ის საიმპერატორო ტიტული 1152 წელს

მიიღო მემკვიდრეობად. იმ დროისათვის ის უკვე ცნობილი იყო როგორც გამოცდილი და გონიერი მხედართმთავარი. მან ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავისი ნიჭი 1146 წელს ჰერცოგ კონრად ფონ ცერინგენის აჯანყების ჩახშობისას, რომლის დროსაც კონრად III-ის სახელით მოქმედებდა. სწორედ ამის შემდეგ აღიარეს ფრიდრიხი რომის იმპერიის მომავალ იმპერატორად.

## ფრიდრიხის კამპანიები

ფრიდრიხს საკმაოდ მყარი რეპუტაცია ჰქონდა გერმანიაში, რამაც საშუალება მისცა სამხედრო კამპანიები იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიაზე ეწარმოებინა და კიდევ უფრო განემტკიცებინა ძალაუფლება. პირველი სამხედრო ექსპედიცია იტალიაში წამოიწყო. ფრიდრიხის წინამორბედ იმპერატორებს — ლოთარ II-ს და კონრად I-ს იტალიურ ქალაქებთან მხოლოდ დიპლომატიური კავშირი ჰქონდათ. ეს კი ვასალებს, განსაკუთრებით ცენტრალური და სამხრეთ იტალიის ქალაქებს, პრაქტიკულად, დამოუკიდებლად არსებობის საშუალებას აძლევდა. ფრიდრიხმა მათი თვითნებობის აღკვეთა მოისურვა და 1154 წელს დაიძრა სამხრეთისაკენ. გერმანიის მეფეს სხვა მიზანიც ამოძრავებდა. გარდა იმისა, რომ იმპერიის ხაზინაში ვასალებს გადასახადები აღარ შეჰქონდათ, ძალზე მძიმე ვითარება იყო ალპების გზებზეც, რომლებიც ყაჩაღებითა და ქურდებით იყო სავსე. ვაჭრები, მომლოცველები თუ მგზავრები შორეულ და ხანგრძლივ მოგზაურობას შეიარაღებული ფორმირებების დახმარების გარეშე ვეღარ ბედავდნენ, რომელთაც, რა თქმა უნდა, დახმარებისათვის უხდიდნენ. ასე რომ, ფრიდრიხის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იდგა. ძნელია იმის თქმა, მართლა ფიქრობდა თუ არა იმპერატორი ამდენი პრობლემის ერთი ხელის მოსმით მოგვარებას. თუ ასეა, მაშინ იტალიაში მისი პირველი ექსპედიცია წარუმატებლად უნდა ჩაითვალოს. მართალია, მიაღწია რომს, მაგრამ ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებს, კერძოდ კი მილანსა და მის მოკავშირეებს ქედი ვერ მოახრევინა. რომში ჩასულმა ვერც ადგილობრივი მოქიშპე პარტიების მორიგება შეძლო. წარმატებით მხოლოდ მისი იმპერატორად კურთხევის ცერემონია წარიმართა, რომელიც 18 ივნისს ჩატარდა.

იტალიის მოჯანყე ქალაქებს შორის მილანი ლიდერობდა. სწორედ ეს ქალაქი აკონტროლებდა ალპების უღელტეხილებს, ვინაიდან ჩრდილოეთისაკენ გზა სწორედ მასზე გადიოდა. მისი გეოგრაფიული მდებარეობა ვაჭრებისა და მგზავრების მოდინებას უწყობდა ხელს, ეს უკანასკნელნი კი მილანის ეკონომიკურ მდგომარეობას დღითი დღე აუმჯობესებდნენ. სიმდიდრე მილანს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას კიდევ უფრო უათმაგებდა. ეს სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ მილანელები იმპერატორებისაგან მოსალოდნელ საფრთხესაც არ უშინდებოდნენ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1155 წელს ფრიდრიხი გერმანიაში მხოლოდ იმპერატორის ტიტულით დაბრუნდა. ის მისია, რომელიც მიზნად ჰქონდა დასახული, შეუსრულებელი დარჩა. გერმანელმა ბარონებმა ეს მის სისუსტედ შერაცხეს და ამბოხება წამოიწყეს. ფრიდრიხი შინააშლილობას დიპლომატიური და ძალისმიერი გზებით ებრძოდა და სიტუაცია მალევე გაანეიტრალა. ამ წარმატებამ მას კიდევ ერთხელ გაუმყარა პოზიცია გერმანიაში და შესაძლებლობა მისცა, კვლავ გაელაშქრა იტალიაზე. მეორე ექსპედიცია გაცილებით შედეგიანი გამოდგა, ვიდრე პირველი. ფრიდრიხმა 1158 წლის 7 სექტემბერს მილანი აიღო და სხვა აჯანყებული ქალაქებიც დაიმორჩილა. თუმცა სიმშვიდემ იტალიაში დიდხანს არ გასტანა. პაპი ადრიანე IV-ს სიკვდილის შემდეგ, რომელიც ბოლო წლებში ფრიდრიხს მხარს აღარ უჭერდა, იმპერატორი პაპის არჩევის გამო გამოწვეულ დავაში ჩაება. კონფლიქტი ისე გამწვავდა, რომ ფრიდრიხს ლომბარდიასა და იტალიის თითქმის ყველა ქალაქთან საბრძოლო მოქმედებების წამოწყება მოუხდა. რა თქმა უნდა, მათ შორის მილანიც იყო, რომელიც 1162 წელს კიდევ ერთხელ დაეცა, ოღონდ ამჯერად ზიანი გაცილებით უფრო დიდი იყო.



ფრიდრიხ ბარბაროსა

მიუხედავად იმისა, რომ ფრიდრიხმა გამარჯვება მოიპოვა, იტალიელების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა მაინც ვერ გაანელა. აპენინის ნახევარკუნძულზე დამყარებული სიმშვიდე კვლავ ხანმოკლე აღმოჩნდა. 1163 წელს ფრიდრიხი მესამედ დაიძრა სამხრეთისაკენ. ამჯერად მის წინაშე ახალი მტერი იდგა, უფრო ზუსტად კი — ძველი მტრების ახალი კოალიცია, რომელსაც ისტორიაში ლომბარდიის ლიგით მოიხსენიებენ. თავდაპირველად, ლიგაში შედიოდნენ ვერონა, ვიჩენცა და პადუა. მოგვიანებით მათ ვენეცია, მანტუა, ბრეში, ლოდი და სხვა მრავალი ქალაქი შეუერთდა (სულ 20 ქალაქი). მილანი ამჯერად განზე იდგა. წინააღმდეგობის გასაწევად მას ძალა არ ჰყოფნიდა (1162 წელს ქალაქი გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს). თუ კოალიციის სამხედრო ძალას გავითვალისწინებთ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ფრიდრიხმა რიგით მესამე ექსპედიცია (1163 წ.), ისევე როგორც მეოთხე (1166 წ.), წარუმატებლად დაასრულა. მეოთხე ლაშქრობის დროს მის ლაშქარს ეპიდემიამ გაავლო მუსრი, რამაც განაპირობა კიდეც მისი მარცხი. ფრიდრიხი ხვდებოდა, რომ იტალიელები





ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაემორჩილებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბოხება იმპერიის სხვა რეგიონებსაც მოედებოდა. ალბათ, დამარცხებულს გერმანიაში დაბრუნებაც არ სურდა და ამიტომაც 1174 წლამდე ალპების ჩრდილოეთით იყო გამაგრებული. ამ წელს ის კიდევ ერთხელ ესტუმრა იტალიას, როგორც ჩანს, ამჯერად მისი მიზანი ლომბარდიელებისა და პაპ ალექსანდრე III-ის მტკიცე კავშირის დაშლა იყო. 1176 წელს ფრიდრიხმა ლენიანის ბრძოლა წააგო.

## ბრძოლა

ამ ბრძოლის შესახებ ისტორიული წყაროები ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდიან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრძოლა ძალზე მნიშვნელოვანი იყო ორივე მხარისათვის, არც გერმანელ და არც იტალიელ ბიოგრაფებს თუ ქრონისტებს, დეტალური ინფორმაცია მასზე არ შემოუნახავთ. მეხუთე ლაშქრობის დროს ფრიდრიხი თავისი ჯარით მთელ იტალიაში დაძრწოდა და ლიგის დაშლას ცდილობდა, მაგრამ მისი ყველა მცდელობა მარცხით სრულდებოდა. 1176 წლის დასაწყისში იმპერატორმა დამხმარე ძალა მოითხოვა. მალე ალპების უღელტეხილებს მისი მშობლიური შვაბრიიდან და რაინის რაიონიდან წამოსული ლაშქარი დაადგა. მაშველი ჯარი 2000 მხედარს ითვლიდა, რომელთაც ფილიპე, არქიეპისკოპოსი კელნია, კონრადი, ბერტოლდი, ჰერცოგი ცერინგენი და იმპერატრიცას ძმისწული მოუძღოდნენ. ლაშქარმა, რომელიც, ძირითადად, რაინდებისა და სერჟანებისაგან შედგებოდა (სიტყვა სერჯანტ სხვადასხვა ენაში ფრანგულიდან გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ სერჯანტ-სა და სერჯანს-ს შორის არსებითი სხვაობა არ არის, ეს ტერმინები ერთმანეთისაგან მაინც უნდა გაიმიჯნოს. სერჟანებს მხედარ და ქვეით ჯარისკაცებს უწოდებდნენ. ჩვენ ვამჯობინებთ ამ შემთხვევაში სწორედ ეს ტერმინი ვიხმაროთ), მთათა სისტემა აპრილში გადალახა. ფრიდრიხმა მხოლოდ კავალერია რატომ გამოიწვია გერმანიიდან? შესაძლოა, იმპერატორს სურდა დამხმარე ძალა სწრაფად ჩამოსულიყო, ქვეითი ჯარი კი ლაშქარს დააყოვნებდა და მისთვის საჭირო დროს ვერ მოუსწრებდა. შესაძლოა, გერმანელები ადგილობრივი ქვეითი ჯარის (მათი მომხრე იტალიელების ან დაქირავებული ჯარის) იმედად იყვნენ. სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი ფრიდიხის ჯარის ორგანიზებისა და 1176 წლის კამპანიის შესახებ, რაც მათ რიგებში ფეხოსნების არყოფნის მიზეზის ახსნის საშუალებას მოგვცემდა.

მაისის დასაწყისში იმპერატორის 500-კაციან მხედრობას ახალმოსული დამხმარე ძალა კომოს ახლოს შეხვდა. რა თქმა უნდა, ამ კონტინგენტით ფრიდრიხის არმია არ ამოიწურებოდა. ეს ფაქტი ისტორიკოსებს აფიქრებინებს, რომ 500-კაციანი მხედრობა იმპერატორის პირადი დაცვა იყო. მისი ჯარის ძირითადი ნაწილი პავიის მახლობლად იყო დაბანაკებული. მათი განლაგება იმას მიანიშნებს, რომ ფრიდრიხი კვლავაც მილანზე აპირებდა იერიშის მიტანას. მილანელებმა იცოდნენ გერმანელების დისლოკაციის ადგილი და ისიც, რომ ფრიდრიხის ჯარი დანაწევრებული იყო. გადაწყვიტეს მტრის ქალაქთან მოახლოებას არ დალოდებოდნენ და შეტევის ინიციატივა თავად ეგდოთ ხელთ. ეს ყველაფერი კი მანამდე გაეკეთებინათ, სანამ გერმანელთა არმია ერთ მუჭად შეიკვრებოდა. მართალია, გერმანელი ქრონისტები წერენ, რომ მილანელთა ლაშქარი 12 ათასი მხედრისაგან შედგებოდა, მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. იმხანად მილანს 2000-კაციან მხედრობასა და 500-კაციან ქვეით ჯარზე მეტი არ უნდა ჰყოლოდა. მილანელებმა მოწინააღმდეგეს გზა გადაუჭრეს და 29 მაისს ლენიანთან დაუხვდნენ. ბრძოლა მილანელების 700-კაციანი კავალერიის შეტევით დაიწყო. გერმანელებმა მათ მხედრობა დაუპირისპირეს, რომელიც მოწინააღმდეგეზე რიცხობრივად მეტად ნაკლები იყო. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, მილანელების შეტევას ფრიდრიხი საგონებელში ჩაუგდია, მან არაფერი იცოდა იტალიელების განზრახვის შესახებ. მოულოდნელობის ეფექტმა ნაყოფი გამოიღო, – მილანელებმა მტრის კავალერია გადათელეს. კავალერისტების შეტაკება საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა, რის დროსაც ფრიდრიხმა ლაშქრის საბრძოლო მწყობრში განლაგება მოასწრო. ისტორიული წყაროები გვაუწყებენ, რომ მილანელები ოთხ დივიზიონად იყვნენ განლაგებული. პირველ ხაზზე ქვეითები იდგნენ. გერმანელების დისპოზიციაზე არაფერი ვიცით. ფრიდრიხი, ალბათ, ხვდებოდა, რომ შეტევის ინციატივით თავად უნდა ესარგებლა, რადგან მტრის ტერიტორიაზე მყოფ არმიას დამხმარე ძალის იმედი ვერ ექნებოდა. ამჯერად უკვე გერმანელების კავალერიამ შეუტია მილანელების ფეხოსანთა რიგებს, მაგრამ მათი „ფარების კედლის" გარღვევა არც-თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. იტალიელთა უკუქცეული კავალერია ბრძოლის ველს დაუბრუნდა და სანამ ქვეითები შეტევას იგერიებდნენ, გერმანელთა მხედრობას ფლანგიდან შეუტია. გერმანელებმა აქცენტი მათზე გადაიტანეს და უწინდელი პოზიციის დაკავება სცადეს. რადგან გერმანელებს არ ჰყავდათ ქვეითები, რომლებიც მტერს შეაკავებდნენ და თანამებრძოლებს გადაჯგუფების საშუალებას მისცემდნენ, ეს მანევრი სრული კრახით დასრულდა. ამ ქაოსში იმპერატორსაც შეექმნა საფრთხე. რამდენიმე დღე ის მკვდარი ეგონათ, მაგრამ ფრიდრიხმა არა მხოლოდ სიკვდილს, ტყვეობასაც დააღწია თავი. სხვა გავლენიანი პირები კი დაატუსაღეს.

ლენიანთან მომხდარი ბრძოლა ყველაზე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს შუა საუკუნეების არმიისათვის მხედრობისა და ქვეითების ერთობლივი, შეთანხმებული ურთიერთობის აუცილებლობას. სწორედ იმან გადაწყვიტა ბრძოლის შედეგი, რომ მილანელების არმია ორივე სახის ფორმირებისაგან შედგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასონები

## ტამპლიერთა მემკვიდრენი?!

**მასონური ლეგენდის თანახმად, „პირველმა თავისუფალმა ქვისმთლელებმა“ (მასონებმა) სწორედ გადარჩენილი ტამპლიერებისგან მიიღეს მემკვიდრეობით ეზოტერიკული ცოდნა.**



1776 წელს იმპერატორმა ეკატერინე მეორემ ახალგაზრდა თავადი ალექსანდრ კურაგინი დიპლომატიური მისიით სტოკჰოლმს გაგზავნა. პეტერბურგში დაბრუნებულმა თავადმა დიპლომატიური მისიის გარდა სხვა სფეროშიც ჩააბარა ანგარიში. ეს მისია მას რუსმა მასონებმა დააკისრეს. კურაგინის ბარგში, რომელიც მას სასახლეში მიართვეს, სახელმწიფო საბუთების, სხვადასხვა ნივთისა და წიგნების გარდა, იდო პეტერბურგში „კაპიტულ ფენიქსის“ მთავარდამფუძნებელი სიგელი (კონსტიტუცია).

ცალკე სკივრში იდო ორდენის დროშა, ორდენის დიდი მახვილი, სიბრძნის გვირგვინი, სკიპტრა, რაინდის ჯავშანი და უზენაესი კურთხევის სიმბოლოები. სტოკჰოლმში მიღებული უფლებამოსილების თანახმად, კურაგინს პეტერბურგში, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „შვედური მსახურების, ანუ წეს-ჩვეულების ლოჟა“ უნდა დაეფუძნებინა.

1778 წლის თებერვალში „კაპიტულ ფენიქსი“ საზეიმოდ და ამავე დროს, სრულიად საიდუმლოდ დაფუძნდა. თავად გაგარინის სასახლის ერთი ნაწილი, რომელიც ქუჩიდან არ მოჩანდა, გაჩირაღდნებული იყო, — წესდების თანახმად, მრგვალ დარბაზში 81 სანთელი იწვოდა, ისმოდა ტამპლიერების ფიცი: „...თავს ვალდებულად ვთვლი, განუხრელად მივდიო მათ ნაკვალევს, ვინც ეს გზა მიმასწავლა და თუ შევძლებ, სამაგალითო ვიყო მათთვის, ვინც საკუთარ სულსა და გულს მომანდობს...“

მაღლა, დარბაზის გუმბათზე მიშენებულ აივანზე ჩამალულმა გუნდმა რიტუალური ჰიმნი წამოიწყო: „თოვლივით სპეტაკით მოსილი ვარსკვლავქვეშეთში მივფრენ...“

ორდენში ახალმიღებულებს ტამპლიერების თეთრი, წითელჯვრიანი მოსასხამით მოსავდნენ. თითქოს არავის აეკრძალოს ორდენი, თითქოს არ ყოფილა საშინელი წამება, რომლებსაც გიზგიზა კოცონები მოსდევდა ხოლმე, თითქოს არც ის ხუთასი წელი არსებობდა, რომელიც პარიზის გარეუბანში, კოცონზე დამწვარ





გუსტავ III

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ ტამპლიერსა და ამ მათთვის გაუგებარი თამაშის წამომწყებ რუს არისტოკრატებს აშორებდა ორდენთან. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარ-ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ვითომდა უკანასკნელმა დიდმა მაგისტრმა მოასწრო მემკვიდრის დანიშვნა და სახეშეცვლილმა ორდენმა არსებობა გააგრძელა. ასე იყო თუ ისე, ნათელია, რომ რუსეთის იმპერიაში „შვედური მსახურების ლოჟის" გახსნა მასონობის ნიღბით ტამპლიერთა ორდენის აღორძინებას გულისხმობდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა იმ „დიდი ნახაზის" არსი, რომელიც კურაგინს სტოკჰოლმში გადასცეს.

სახელწოდება „კაპიტულ ფენიქსიც" სიმბოლურია. ფენიქსი ფერფლისგან აღმდგარი ლეგენდარული ფრინველია. ნუთუ ასევე ფერფლისგან უნდა აღმდგარიყვნენ ოდესღაც კოცონებზე დამწვარი ტამპლიერები?

სწორედ ტამპლიერების ორდენის აღდგენაზე ესაუბრებოდა ეკატერინე მეორეს პეტერბურგში ჩასული შვედეთის მეფე გუსტავ მესამე. იმპერატორმა არც თანხმობა მოახსენა და არც უარი უთქვამს, რაც უფრო უარს ნიშნავდა. მაგრამ იცოდა კი ეკატერინე მეორემ, რომ გუსტავ მესამე მას ამაზე არა მხოლოდ როგორც მეფე, არამედ როგორც მასონიც ესაუბრებოდა? და არა როგორც რიგითი, არამედ როგორც სრულიად შვედეთის მასონთა წინამძღოლი?

თავისი ზეობის პირველ პერიოდში ეკატერინე, ასე თუ ისე, ლმობიერად უყურებდა მასონებს, ხოლო „კაპიტულ ფენიქსის" შექმნის შემდეგ მოთმინებამ უღალატა და ამის მიზეზიც არსებობდა.

ის საიდუმლო საფარველი, რომელშიც გახვეული იყვნენ „კაპიტულ ფენიქსის" წევრები, არც ერთ მონარქს არ მოეწონებოდა. საიდუმლო თავყრილობები, შიფრები მიწერ-მოწერისთვის, კაპიტულის წევრების პირობითი სახელები — მეტად წააგავდა შეთქმულთა ორგანიზაციას. ხელისუფლებას კი სხვა თავსატეხიც მრავლად ჰქონდა.

1792 წელს ეკატერინე მეორის ბრძანების თანახმად მასონური ლოჟები რუსეთში აიკრძალა.

ოდესღაც ასასინები ოქროს უხვად აძლევდნენ ტამპლიერებს, უფრო სწორად, თავის ხალხს. ამას ორდენში სიმბოლური ხასიათიც შეიძლებოდა ჰქონოდა, — ის, ვინც ოქროს იღებდა, ოქროს მიმცემზე იყო დამოკიდებული. შესაძლებელია ამავეს გულისხმობდა რუსი თანამოძმეებისათვის გაგზავნილი შვედი მასონების ძღვენიც. რუს არისტოკრატებს ხომ იმ დროს ნაკლებად სჭირდებოდათ ფული, მაგრამ ისევე როგორც ტამპლიერ-ასასინთა შემთხვევაში, აქაც ფულის გადაცემა სიმბოლური ხასიათისა იყო.

იმპერატორმა ეს იცოდა: „ჩვენ შვედეთიდან მასონობის შემოსაღებად გამოგვიგზავნეს 500 ოქრო, რაც თქვენი უდიდებულესობის ყურადღებას არ გამოჰპარვია და განრისხებულმა თქვენმა ბრწყინვალებამ ინება ამ ფულის აღება", — წერს ერთ დოკუმენტში (1790 წ.) თავადი პროზოროვსკი.

„კაპიტულ ფენიქსის" კარი, ისევე როგორც ტამპლიერთა ორდენისა, დახშული იყო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის. მასში გასაწევრებლად მსურველს თექვსმეტი თაობის აზნაურული სისხლი უნდა ჰქონოდა (გამონაკლისი ოთხი თაობა იყო) წინაპართა შორის არ უნდა ჰყოლოდა მავრები (ზანგები) თურქები და ებრაელები.

მალე „კაპიტულ ფენიქსში" რუსული არისტოკრატიის ნაღები, — გოლიცინები, გაგარინები, ვოლკონსკები, დოლგორუკები, ლოპუხინები; აპრაქსინები, ჩერნიშევები, შუვალოვები, სტროგანოვები და ტოლსტოები აღმოჩნდნენ, რომლებსაც იმ წლებში საიმპერატორო კარზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ და თვითმპყრობელური ხელისუფლების მთავარ საყრდენად ითვლებოდნენ.

ბუნებრივია, იმპერატორს არ მოსწონდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების საიდუმლო ორგანიზაციაში ჩათრევა. ორგანიზაციისა, რომლის კვალიც სახელმწიფოდან შორს, შვედეთში მიდიოდა. მით უმეტეს, რომ 500 ოქროს გამოგზავნას კონკრეტული მიზანი ჰქონდა: „კაპიტულ ფენიქსი" შვედ მასონებს ემორჩილებოდა. თუმცა საქმე უფრო რთულად იყო. შვედი მასონები არ ყოფილან მთელი მსოფლიოს მომცველი ორგანიზაციის ჯაჭვის პირველი ან უკანასკნელი რგოლი. ყველა ნაციონალური ლოჟის თავზე უხილავი „დიადი კაპიტული" იყო, რომლის წევრებს არავინ იცნობდა. მისთვის არ არსებობდა საზღვრები, ჯარები, სახელმწიფოები. მაგალითად, რუსეთი და შვეცია მხოლოდ მეცხრე და მეშვიდე პროვინციებად ირიცხებოდნენ ამ გიგანტურ იმპერიაში.

შვედეთის ხელმწიფე ერთადერთი არ გახლდათ საიდუმლო ორგანიზაციის წევრ მონარქთა შორის, — მასონები იყვნენ ფრიდრიხ დიდი და ინგლისის რამდენიმე მეფე. პეტრე პირველი მასონად ლონდონში ყოფნისას ეკურთხა, რის შემდეგაც რუსეთში შექმნილი ლოჟის „სკამის ოსტატი" პეტრეს თანამოაზრე ლეფორტი იყო, ხოლო თვით იმპერატორი „მეორე მეთვალყურედ" ითვლებოდა.

ისტორიულ ლიტერატურაში ნახსენებია ეკატერინე მეორის შვილის ტახტის მემკვიდრის, პავლეს „მონათვლაც". იგი 1776 წლის 6 აგვისტოს ევროპაში მოგზაურობისას გახდა „მცირე სამყაროს" წევრი. ამ მოგზაურობის დროს მას თან ახლდნენ გამოცდილი მასონები ა. კურაგინი და ე. პლეშჩეევი.

ცნობილია იმპერატორის პავლეს მასონური სიმბოლოებით მორთული რამდენიმე პორტრეტი. ერთ-ერთ მათგანზე, რომელსაც ცისფერი ბაფთა ამშვენებს, ოქროსფერი მასონური სამკუთხედია გამოსახული. მეორე პორტრეტზე იმპერატორი გამოსახულია „შვედური მსახურების" მესამე ხარისხის კურთხევის ფეშტამალით. შემთხვევითი არ არის, რომ იმპერატორ პავლე პირველის პორტრეტი სტოკჰოლმში მასონთა გალერეაშია გამოფენილი.

გვირგვინის კურთხევის შემდეგ იმპერატორმა პავლემ ორდენის ყველა თვალსაჩინო წევრი მიიწვია, გამომშვიდობებისას ყოველ მათგანს ხელი ჩამოართვა და უთხრა: „საჭიროების შემთხვევაში მომწერეთ უბრალოდ, ძმურად,

მასონური ალეგორია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი კომპლიმენტის გარეშე“.

როგორც ჩანს, არც ალექსანდრე პირველი ყოფილა გულგრილი ამ ორდენის მიმართ, — როცა მას რუსი მასონების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ორდენის დოქტრინის არსი განუმარტა, იმპერატორმა უპასუხა: — ის, რასაც თქვენ ამ ორგანიზაციაზე მეუბნებით, არა მარტო მათ მფარველობისკენ მიბიძგებს, არამედ მასონთა ორდენის წევრობის სურვილსაც აღმიძრავს.

ზოგი მკვლევარის აზრით, ამ საუბრის შემდეგ იმპერატორი საიდუმლო ორგანიზაციის წევრი გახდა და 1814 წელს პარიზში რუსული საველე ორდენის „ერთგულებისკენ“ თავყრილობასაც თავმჯდომარეობდა. ის მრავალი წლის მანძილზე მფარველობდა მასონებს და სულაც არ მიაჩნდა ისინი რელიგიურ ერეტიკოსებსად და პოლიტიკურ შეთქმულებად. მისი ზეობის პირველ წლებში საიდუმლო ლოჟების რიცხვი საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა.

ორდენის წევრები იყვნენ გენერალფელდმარშალი რეპნინი, გენერალისიმუსი სუვოროვი და ფელდმარშალი კუტუზოვი.

„თქვენს ფუნჯს, — უთქვამს სუვოროვს მხატვარ მილერისათვის, რომელიც მის პორტრეტს ხატავდა, — მხოლოდ ჩემი სახის ნაკვთების გამოსახვა შეუძლია, ხოლო სინამდვილეში ვინც ვარ, საიდუმლოთია გარემოცული“.

ეს „საიდუმლოთი გარემოცული“ კაცი „შოტლანდიური ოსტატების“ მასონთა ლოჟის წევრი 1761 წლის 27 იანვარს კენისბერგში გახდა, როცა შვიდწლიანი ომის დროს მამის სანახავად ჩავიდა გერმანიაში. 1762 წლის დასაწყისისთვის იგი ორგანიზაციის წევრთა შორის მეექვსე ნომრით იყო აღნიშნული: „Oberlieutenant Alexander von Suworow“

1813 წლის ივლისის პეტერბურგის მუსიკალური საზოგადოების დარბაზში, სადაც ასობით მასონი იყო შეკრებილი, ჩატარდა „დიდი ძმის“ სამგლოვიარო საღამო, რომელიც ახალგარდაცვლილი ფელდმარშლის, მიხაილ ილარიონოვიჩ ოგოლენიშევ-კუტუზოვ-სმოლენსკის ხსოვნას მიეძღვნა. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, კუტუზოვს ძალზე მაღალი მასონური ხარისხი ჰქონდა.

პუშკინის კიშინიოვურ დღიურში (1812 წ) ვკითხულობთ: „4 მაისს მიიღეს მასონთა ორგანიზაციაში. გრიბოედოვი, ჩაადაევსა და პესტელთან ერთად „გაერთიანებული მეგობრების“ ლოჟის წევრად 1816 წელს აკურთხეს“.



ასე გამოიყურება მასონთა ლოჟა

ძნელი წარმოსადგენია პუშკინი, გრიბოედოვი, კარამზინი, სპერანსკი და სხვები მასონური ზიზილ-პიპილებით მორთული ფეშტამლებით როგორ მონაწილეობენ ბავშვური თამაშის მსგავს ცერემონიალში. არადა, ეს ყველაფერი მართლაც იყო სინამდვილეში. და ისინი თავისი დროის გამორჩეული მოაზროვნეები იყვნენ. ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, — არც ერთი მათგანი არ მიიღებდა მონაწილეობას ამ ბუტაფორიულ სპექტაკლებში, მის მიღმა რაღაც დიდი აზრი რომ არ დაენახათ.

და მეორე დამადასტურებელი ფაქტი, მართალია, ირიბი, მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავი. როცა ორდენი აიკრძალა და მის წევრებს დევნა დაუწყეს, ეს უკანასკნელნი საქმოს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე იმპერატორს, სახელმწიფოს, მოგვიანებით კი პოლიტიკურ პარტიებს. ჩანს, მათ საამისოდ გამორჩეული, სარწმუნო საბაბი და არგუმენტები ჰქონდათ, რომლებიც იმპერატორის ერთგულებაზე, სახელმწიფო იდეასა და პოლიტიკურ რწმენაზე მნიშვნელოვანი იყო.

რუსეთის იმპერიაში მასონური ლოჟები მეორედ 1822 წლის 1-ელ აგვისტოს აიკრძალა. უზენაესი რესკრიპტი ასე განმარტავდა ამ წინმსწრებ ღონისძიებას: „მსგავსმა საიდუმლო ორგანიზაციებმა საზღვარგარეთ არეულობა და ცდუნებები გამოიწვია“. 1737 წელს რომის პაპმა კლიმენტი მეთორმეტემ აკრძალა მასონური ლოჟები და საიდუმლო ორგანიზაციების წევრებს სიკვდილით დასჯითა და ქონების კონფისკაციით დაემუქრა. ფილიპე მეხუთე ესპანელ მასონებს სამუდამო გადასახლებას უსჯიდა, სიკვდილით სჯიდა ან გალერებზე აგზავნიდა. 1828 წელს ავსტრიაში ყველა მასონის დაპატიმრება ბრძანეს. იმავე წელს გრანადაში მასონური ლოჟის დაფუძნებისათვის თავები მოჰკვეთეს მარკიზ დე კვარლიანს და კაპიტან ალვარესს.

მოგვიანებით მასონთა საწინააღმდეგო საგანგებო კანონები მიიღეს ფაშისტურ გერმანიასა და ფრანკისტულ ესპანეთში. 1940 წლის 1-ელ მარტს მადრიდში გამოქვეყნებული კანონის თანახმად, მასონთა ლოჟის წევრებს 20-დან 30 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდათ.

ვერავითარმა აკრძალვამ, სასჯელმა და დევნამ ვერ შეაჩერა ამ საიდუმლო, ღრმად დაფარული ორგანიზაციების საქმიანობა. როცა 1905 წელს რუსეთის იმპერიაში, ოთხმოცი წლის შემდეგ, აკრძალვა მოიხსნა, ლოჟები მთელ ტერიტორიაზე ისეთი სისწრაფით გამოვიდნენ მზის სინათლეზე, რომ ცხადი იყო, — მათ არსებობა წუთითაც არ შეუწყვეტიათ და როცა კი საშუალება მიეცათ, ჩრდილიდან გამოვიდნენ.

მაგრამ აჩენდნენ კი ნამდვილ სახეს?

რა თქმა უნდა, არა. ორდენი კვლავ საიდუმლო იყო. საიდუმლოდ რჩებოდა ის ზეგავლენა, რომელსაც მასონები ახდენდნენ მაშინდელი რუსეთის იმპერიის პოლიტიკაზე. ეს საიდუმლო დღესაც ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი. მაშინდელი რუს მასონთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნ.ვ. ნეკრასოვი მოგვიანებით წერდა: „ორგანიზაცია მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, იგი ლოჟებისგან შედგებოდა (10-12 კაცი), რომლის სათავეშიც ფარული კენჭისყრით არჩეული უზენაესი საბჭო იდგა. საბჭოს წევრების შემადგენლობა ცნობილი მხოლოდ სამი ნდობით აღჭურვილი ხმის დამთვლელისთვის იყო ცნობილი. ლოჟის თავმჯდომარე უზენაესი საბჭოს მხოლოდ მდივანს იცნობდა“.

როგორც ამბობენ, მასონების ორგანიზაციის მთავარი ამოცანა წამყვანი პოლიტიკური ფიგურების გადაბირება, ლოჟებში გაწევრება და პირიქით, თავიანთი წევრების მთავარ სახელმწიფო თან-

ამდებობებზე დანიშვნა იყოო. შემთხვევითი არაა, რომ მასონთა შორის იყვნენ არა მხოლოდ მონარქები, არამედ შეერთებული შტატების პრეზიდენტებიც: დაწყებული ჯორჯ ვაშინგტონით, დამთავრებული ჰარი ტრუმენით. მასონის ცისფერი წინსაფარი უინსტონ ჩერჩილსაც ამშვენებდაო, ამტკიცებენ მისი ბიოგრაფები.

ეს გახლავთ მათი მცირე ჩამონათვალი, ვისი მასონური ორგანიზაციის წევრობაც შემთხვევით გასცდა საიდუმლო ზღვარს და გაიხსნა.

სწორედ ასევე, შემთხვევითობის წყალობით გაიხსნა იტალიური მასონური ლოჟის P 2-ის ზოგიერთი წევრის ვინაობა. მათ შორის იყო: ათი გენერალი, ხუთი ადმირალი, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი... ორდენის უხილავმა საცეცებმა სოციალური სტრუქტურის ყველაზე მაღალ დონეზე, ყველაზე მიუდგომელ კაბინეტებში შეაღწია. ლოჟის წევრებს შორის ათეულობით უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელე, პოლიტიკური მოღვაწე, კომპანიათა ხელმძღვანელი და ჟურნალისტი ირიცხებოდა. ქვეყნის უშიშროების სამსახურიც კი ორდენის კონტროლქვეშ აღმოჩნდა. როდესაც მასონების საქმის გამომძიებელს ლოჟის დიდი მაგისტრის ლიჩო ჯელის შესახებ ჰკითხეს, მან წამოიძახა:

„– ჯელი? სინამდვილეში, ის იტალიის საიდუმლო სამსახურების შეფი იყო.

– გაქვთ ამის დამადასტურებელი საბუთი?

– დიახ! თუ რომში ჯელისთან დარეკვას მოისურვებდით, უნდა აგეკრიფათ 275-93-47 – ეს კი იტალიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შეფის ტელეფონი იყო“.

დროთა განმავლობაში ყველა ორგანიზაცია იცვლება, თუმც ეს ყოველთვის როდი გულისხმობს პროგრესს. საინტერესოა, რა განსხვავებაა ძველსა და დღევანდელ მასონურ ლოჟებს და მათ წევრებს შორის. მართლა მნიშვნელოვნად შეიცვალა ორდენის მიზანი თუ მან უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო? ეს საკითხი, ჯერჯერობით, ბურუსითაა მოსილი.

დედაქალაქისაკენ ქვეყნის ჩრდილოეთიდან მიმავალი მატარებელი „იტალიკუსი“ განაწესის მკაცრი დაცვით მიდიოდა. ექსპრესი რომში დილაადრიან უნდა ჩასულიყო, ამიტომ მგზავრების უმრავლესობა, შებინდებისთანავე ძილს მისცა თავი. კუპეების ფანჯრებში სიბნელეს დაესადგურებინა.

არავის გაუგია, როგორ გამოვიდა მატარებელი მორიგი გვირაბიდან. გამოსვლით გამოვიდა, მაგრამ ამ დროს გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა.

მეორე დღეს მსოფლიოს სატელევიზიო არხები კატასტროფის საშინელ კადრებს აჩვენებდნენ: ვაგონების დამსხვრეული ბორბლები, დაჭყლეტილი ლითონის გროვები, ადამიანების სისხლითა და სხეულის ნაფლეთებით მოფენილი არაემარე. ეს მოხდა 1974 წლის 4 აგვისტოს.

გამოძიება დიდხანს გრძელდებოდა: იკარგებოდა დამადასტურებელი მტკიცებულებები, გამომძიებლები უხილავ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ, ცრუმოწმეებმა გამოძიება არაერთხელ შეიყვანეს ჩიხში. მიუხედავად ამისა, მაინც დადგა დღე და საპარლამენტო-საგამოძიებო კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „იტალიკუსზე“ ტერორისტული აქტის მოწყობაში ლოჟა P 2-ს დიდი წვლილი მიუძღოდა.

1980 წლის აგვისტოში კიდევ ერთმა აფეთქებამ გააყრუა ქვეყანა – ამჯერად ტერაქტი ბოლონიის რკინიგზის ხალხმრავალ სადგურში მოხდა. სასწრაფო დახმარების კარეტებმა 200 დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოებში, სხვებს კი სამედიცინო დახმარება უკვე აღარ სჭირდებოდა – 80 კაცი ადგილზევე დაიღუპა. კვლავ ამოყვინთა ლოჟა P 2-ის სახელმა. მტკიცდება, რომ ინიციატივა მათგან არ მოდიოდა, მათ არ დაუნაღმავთ შენობა, მაგრამ იცოდნენ, რომ ტერაქტი მოეწყობოდა.

რა იყო ამ აქციის მიზანი, რა წილი ედო მასში ორდენს? ამის შესახებ ახლა მხოლოდ მკითხაობა შეიძლება, თუმცა ჰიპოთეზები, სენსაციური და დამაჯერებელი მსჯელობები საკმაოზე მეტი მოიპოვება.

ცნობილია, რომ რაც უფრო ნაკლებსარწმუნო ინფორმაცია აქვს კაცს, მით ეადვილება სათქმელის ლოგიკურად ჩამოყალიბება, მაგრამ როცა საიდუმლო საზოგადოებებზე მიდგება საქმე, ჩვენ მხოლოდ ისეთ საგნებსა და მოვლენებს ვხედავთ, რომლებიც ზედაპირზეა, ხოლო დაფარული საიდუმლოებითაა მოცული. ცხადია, დასკვნის გამოტანაც შეუძლებელია.

ცნობილია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მკვლევარმა ან ჟურნალისტმა დაფარულის ამოსახსნელად საიდუმლო ორგანიზაციებში შესვლა სცადეს, მაგრამ როცა კი სურვილს აისრულებდნენ და ორდენში შეაღწევდნენ, მოვალე იყვნენ ცოდნის სხვადასხვა დონეს ზიარებოდნენ, შემდეგ კი უნებურად დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ექცეოდნენ. რა თქმა უნდა, ახსოვდათ, რა მიზნითაც შევიდნენ ორგანიზაციაში, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ახლა სხვა თვალით უყურებდნენ სამყაროს და საკუთარ ადგილს მასში. ის მიზნები კი, რომელსაც საიდუმლო ორგანიზაციაში შესვლამდე ისახავდნენ, იმდენად ქარაფშუტულად ეჩვენებოდათ, რომ ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა დაკარგული.

საიდუმლო ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში არსებობენ. ზოგი მათგანი ცნობილია, ზოგის შესახებ კი არა ვიცით რა. ასევე არ ვიცით, ვინ არის ის იდუმალი ნიღბოსანი, რომელიც მათ სათავეში დგას.

*თამაზ ჟორჟოლიანი*



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძველი ესპანეთის ფლოტი

საუკუნეთა მანძილზე პირენეს ნახევარკუნძული კართაგენელთა, რომაელთა და ვესტგუტთა არაერთი ლაშქრობისა თუ ომის მომსწრეა. 711-718 წლებში ნახევარკუნძული არაბებმა დაიპყრეს და საამირო შექმნეს. მათ წინააღმდეგ წამოწყებული განმათავისუფლებელი ომი — რეკონკისტა ხანგრძლივი გამოდგა და მხოლოდ 1492 წელს დასრულდა.

1247 წლის 20 აგვისტოს კასტილიის მეფე ფერნანდო III-ს ჯარებმა სევილია ალყაში მოაქციეს, მაგრამ აღებას ვერ ახერხებდნენ. ქალაქისათვის დახმარება მდინარე გვადალკვივირით გემებს შემოჰქონდათ.

მდინარის ჩასაკეტად კანტაბრიის სანაპირო ქალაქების გემებისა და კასტილიის მეფისათვის აგებული ხომალდებისაგან ესკადრა ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში პირველი ესპანელი ადმირალი რამონ ბონიფასი ჩაუდგა. კადისის ყურეში, გვადალკვივირის შესართავთან, კასტილიელთა ესკადრამ ბერბერების ფლოტის დამარცხებით ქალაქის აღება დააჩქარა.

გათავისუფლებულ სევილიაში ფერნანდო III-ის ინიციატივით საფუძველი ვერფს ჩაეყარა და ესპანეთის ქრისტიანულ ნაწილს სამხრეთის პორტების გამოყენებით ვაჭრობისა და დაწინაურებისათვის კარგი პირობები შეექმნა.

არაბების მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ ესპანელებს მრავალ სიახლესთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღისა და დენთის გაცნობის საშუალება მისცა.

დაახლოებით 1280 წელს, კორდოვას ალყის დროს, არაბებმა არტილერია გამოიყენეს, ხოლო 1308 წელს კასტილიის მეფე ფერნანდო IV ჯებელ-ალ-ტარიკს (გიბრალტარი) ზარბაზნებით უტევდა.

ხომალდებზე ზარბაზნები პირველად 1333 წელს სევილიელ მავრებსა და ტუნისს შორის გამართულ საზღვაო ბრძოლაში გამოჩნდა. მაშინ ზარბაზანი დამხმარე საშუალებად განიხილებოდა, მისი მთავარი დანიშნულება აბორდაჟული შეტაკებისათვის საბრძოლო ასპარეზის მომზადება იყო.

პირველი სახომალდო ზარბაზნები რკინისაგან გამოჭედილ მილს წარმოადგენდა და ქვის ბირთვებს ისროდა, რომელიც ხომალდებს უმნიშვნელო დაზიანებას თუ მიაყენებდა.

ესპანეთის წამყვან საზღვაო ქვეყნად გადაქცევაში უზარმაზარი როლი ქრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობებმა ითამაშა. ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზის ძებნამ კოლუმბი ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამდე მიიყვანა, თუმცა თვითონ სიკვდილის ბოლომდე სჯეროდა, რომ ინდოეთისაკენ მიმავალ გზას მიაგნო.

1492 წლის 3 აგვისტოს კოლუმბი ქალაქ პალოსიდან სამი ხომალდით გავიდა. საფლაგმანო „სანტა-მარია“ იალქნების აღჭურვილობით ნაოს ტიპის ხომალდს მიეკუთვნებოდა.

„სანტა-მარია“ გროტ და ფოკ-ანძებზე სწორკუთხა, მარსელზე ტრაპეციის ფორმისა და ბიზან-ანძაზე ცერა აფრებს ატარებდა. ცხვირსა და კიჩოზე პატარა ზედნაშენები ჰქონდა. 237 ტონა წყალწყვის მქონე ხომალდის სიგრძე — 23, სიგანე კი 6,7 მეტრი იყო, ტვირთამწეობა 100 ტონას შეადგენდა. შეიარაღებიდან ეკიპაჟის განკარგულებაში ოთხი 20-გირვანქიანი, ექვსი 12-გირვანქიანი და რვა 6-გირვანქიანი ზარბაზანი, რამდენიმე წვრილკალიბრიანი ზარბაზანი შპრინგალი და მორტირი, ასამდე მძიმე ერთგირვანქიანი მუშკეტი იყო.



ბრძოლა სევილიასთან

„ნინია“ პატარა კარაველა იყო და სამივე ანძა ცერა აფრებით იყო აღჭურვილი, მაგრამ ცურვის დროს გამოვლენილი სირთულეების გამო კანარის კუნძულებზე შეჩერებისას გროტ და ფოკ-ანძებზე ცერა აფრები სწორკუთხა აფრებმა შეცვალა.

კუნძულ ჰაიტისთან „სანტა-მარიას“ დაღუპვის შემდეგ საფლაგმანო ხომალდის ადგილი „ნინიამ“ დაიკავა. „ნინია“ სხვადასხვა ზომით არის ცნობილი. ერთ-ერთი ვარიანტით მისი სიგრძე 17,3 და სიგანე 5,5 მეტრი იყო. წყალწყვა 101,2 ტონას და ტვირთამწეობა 60 ტონას შეადგენდა. ეკიპაჟი 40 კაცს ითვლიდა და წვრილკალიბრიანი რამდენიმე ზარბაზნით იყო აღჭურვილი.

კიდევ უფრო პატარა კარაველა „პინტას“ სიგრძე 12-ს, სიგანე 7 მეტრს, წყალწყვა კი 60 ტონას აღწევდა. კანარის კუნძულებზე „პინტას“ აფრები „ნინიას“ მსგავსად გადაკეთდა.

კოლუმბს მოგზაურობაში 90 კაცი ახლდა თან, მათგან 60-65 გამოცდილი მეზღვაური იყო. დანარჩენები მეფის წარმომადგენლები, ჯარისკაცები, ხელოსნები და რამდენიმე შეწყალებული ტუსაღიც კი იყვნენ.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით ეს-

პანეთი ოკეანისგადაღმა უზარმაზარ ტერიტორიათა მფლობელ ქვეყნად გადაიქცა და მეტროპოლიისაკენ ნაძარცვი სიმდიდრით მძიმედ დატვირთული გემები წამოვიდნენ, თუმცა მიზეზთა გამო დანიშნულების პორტამდე ყველა როდი აღწევდა. კარიბის ზღვის მეკობრეები ესპანურ სავაჭრო-სატვირთო გემებზე დაუნდობლად ნადირობდნენ და სამეფო ხაზინას დიდად აზარალებდნენ.

მეკობრეებისაგან თავდასაცავად 1561 წლიდან ესპანელებმა დატვირთული გემების საზღვაო კონვოის თანხლებით გაცილება შემოიღეს. დაახლოებით წელიწად-ნახევარში ერთხელ ესპანეთიდან ამერიკისაკენ 100-მდე სავაჭრო გემი რამდენიმე ათეული საბრძოლო ხომალდის თანხლებით იგზავნებოდა. წრიული დაცვისათვის საჭირო საბრძოლო ხომალდები ყოველთვის არ ჰყავდათ, ამიტომ საბრძოლო ხომალდები ადგილს სატრანსპორტო გემების წინ ან ზოგჯერ კიჩოს სექტორში იკავებდნენ. ორდერის ცენტრში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ხომალდზე კონვოის მეთაური იმყოფებოდა.

ესპანეთისაკენ დატვირთული გემები და საბრძოლო ხომალდები იმავე წყობით მიემართებოდნენ. თავდასხმის დროს საბრძოლო ხომალდები სატვირთო გემებსა და მეკობრეთა შორის სივრცეს იკავებდნენ. მეკობრეები, როგორც წესი, დაცვის ხომალდებთან ბრძოლას ერიდებოდნენ და თავდასხმას დაბინდებისას ჩამორჩენილ გემებზე ამჯობინებდნენ.

კონვოი ზოგჯერ 100-150 სხვადასხვა სახის ხომალდსა და სატვირთო გემს აერთიანებდა. ყველაზე გავრცელებული გალიონის ტიპი სატვირთო-სავაჭრო გემი იყო.

პირველად გალიონი XIV საუკუნის წყაროებშია ნახსენები, როგორც მომცრო ნიჩბიან-იალქნიანი გემი, რომელიც მზვერავის მოვალეობას ასრულებდა და ნიჩბებიდან იალქნიან აღჭურვილობაზე გარდამავალ ტიპის გემად ითვლება.

XVI-XVI საუკუნეებში გალიონი ინგლისში, ესპანეთსა და საფრანგეთში გავრცელდა. ის 3-4 ანძას ატარებდა და სწორად ჩამოჭრილ კიჩოზე მაღალი 7 გემბანამდე ზედნაშენი ჰქონდა, სადაც საცხოვრებელი სათავსები იყო განლაგებული. ხომალდის თავდაცვას ორი საბატარეო გემბანის 50-დან 80-მდე ზარბაზანი უზრუნველყოფდა.

გალიონის კიჩოს მაღალი ზედნაშენისა და ბორტების გამო კარგი ცურვადობა არ ჰქონდა. მისი სიგრძე 40-50მ-ის, სიგანე 10-14 მეტრისა და წყალწყვა 500-1400 ტონის ფარგლებში მერყეობდა.

ზღვაზე პირველობისათვის ბრძოლაში ესპანეთს დაუძინებელი მტერი — ინგლისი ჰყავდა. ამას ემატებოდა ორ ქვეყანას შორის რელიგიურ ნიადაგზე უთანხმოება და ესპანეთის მეფე ფილიპე II-ის ინგლისის ტახტზე გამოთქმული პრეტენზიები.

ლეპანტოს ბრძოლაში გამარჯვებით გაბრწყინებული ფილიპე II-ის ბრძანებით ესპანეთმა 1586 წლიდან ინგლისის წინააღმდეგ საზღვაო ლაშქრობისათვის მზადება დაიწყო.

ესპანელთა უძლეველი არმადა 130 ხომალდსა და გემს ითვლიდა, საიდანაც 65 გალიონი და ზარბაზნებით შეიარაღებული სავაჭრო გემი, 25 გუკერი, 19 მცირე პატაში (სანაპირო დაცვის გემი), 13 საბრი, 4 გალერა და 4 გალეასი იყო. ხომალდები და გემები წვრილკალიბრიანი ოთხ, ექვს და ათგირვანქიანი 2480 ზარბაზნით იყო აღჭურვილი.

ესპანეთის სამეფოში შემავალი ქვეყანა თუ მხარე არმადაში თავისი ესკადრით იყო წარმოდგენილი. პორტუგალიამ 10 გალიონი და 2 საბრი, ბისკაიმ 10 ხომალდი და 4 პატაში, კასტილიამ 14 გალიონი და ნაო, ანდალუზიამ 10 საბრძოლო ხომალდი და 1 პატაში, გიპუსკოანიამ 10 ხომალდი და 2 პატაში, ლევანტიამ 10 ხომალდი გამოგზავნეს.

25 გუკერზე პროვიანტი, საბრძოლო მასალები, საველე არტილერია, სალაშქრო აღჭურვილობა, საალყო საშუალებები, ოთხთვალები, ჯორები და ცხენები დაიტვირთა.

თითოეულ ესკადრაზე რამდენიმე პატაში და საბრი (პატარა სწრაფი ფრეგატი აგებული ბისკაის უბის სანაპიროზე) ემსახურებოდა. მათ კავშირის უზრუნველყოფა, დაზვერვა, ტყვეთა გადაყვანა, სალოცმანო და საკურიერო მომსახურება ევალებოდათ.

ვენეციაში აგებული 20 წყვილნიჩბიანი 4 გალეასი ორმოცდაათ-ორმოცდაათი ზარბაზნით იყო აღჭურვილი და მომავალ ბრძოლაში მთავარი სიტყვა უნდა ეთქვა.

ესკადრა 30693 კაცს ითვლიდა. მათ შორის 8000 მატროსი და მეზარბაზნე, 2100 გალერების მენიჩბე და 19 ათასი ჯარისკაცი იყო. მენიჩბეებში კატორღელებთან, ტყვეებსა და მონებთან ერთად დაქირავებული მენიჩბეებიც იყვნენ. ჯარის შემადგენლობაში ქვეითების, კავალერისტების, მუშკეტერების, მეარკებუზეებისა და მეალებარდეების რაზმები შედიოდა.

ლაშქრობაში 1245 მოხალისე, 300 უმიწაწყლო იდალგო და კაბალერო თავიანთი მოსამსახურეებით მონაწილეობდნენ. ზოგიერთ ხომალდს გერმანელი, ირლანდიელი თუ შოტლანდიელი კაპიტანი და ლოცმანი ჰყავდა. მოლაშქრეებს თან ახლდნენ ჯარაქჩები, ექიმები, დალაქები, აგრეთვე 180 მღვდელი და ბერი, რომელთა ნაწილი ინგლისისაკენ ფეხშიშველი გაემართა.

მეფის საიდუმლო მითითებით ესკადრაზე ჯარების რაოდენობა ხელოვნურად გაიზარდა. საინვენტარიზაციო ფურცლები, სადაც ხომალდების, ზარბაზნების, ჯარებისა და აღჭურვილობის რაოდენობა იყო მოყვანილი, ყველა ევროპულ ენაზე გადაითარგმნა და ბევრ ქვეყანაში გავრცელდა. პროპაგანდის მიზანი ნეიტრალური ევროპული ქვეყნების ესპანეთისაგან გადმოხრა და ინგლისელების დაშინება იყო.

ესკადრას ტყვიების ჩამოსასხმელი ლითონი არ ჰყოფნიდა. 3 ათასი ცენტნერი დენთი და თითო ზარბაზანზე 30 ბირთვი არ კმაროდა. ასევე შეიმჩნეოდა სათადარიგო იალქნებისა და ბაგირების, სასმელი წყლის ნაკლებობა. სამაგიეროდ, ხომალდებზე 10-რეალიან ოქროს მონეტებად 200 ათასი დუკატი იყო.

არმადას თავიდან გამოცდილი ადმირალი ალვარო დე ბასანი ამზადებდა, მისი გარდაცვალების შემდეგ სარდლად მედინასიდონიას ჰერცოგი ალონსო პერეს დე გუსმანი დაინიშნა. მამაცი და გონიერი პიროვნება, მაგრამ საზღვაო საქმეში ნაკლებად ჩახედული. საფლაგმანო ხომალდი გალეასი „სან-მარტინი“ იყო.

სარდლის ბრძანებით ხომალდებზე მეფის გინება-ძაგება აიკრძალა, რომელიც სასტიკად და მათ შორის ღვინის ულუფის ჩამორთმევით ისჯებოდა. აიკრძალა აზარტული თამაშები, განსაკუთრებით ღამით, ასევე აყალმაყალი და მუშტი-კრივი. მახვილის

ლეპანტოს ბრძოლა. 1571წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლა გიბლარტართან. 1607წ.

ტარება მხოლოდ ბრძოლის დროის შეიძლებოდა.

ბრძანების ერთი პუნქტით ხომალდებზე ქალების ყოფნა აიკრძალა, მაგრამ ლამაზმანებმა გამოსავალი მაინც მოძებნეს, გემი თავად ფულით დაიქირავეს და ესკადრას გაჰყვნენ.

არმადა ლისაბონიდან 1588 წლის 30 მაისს გავიდა და უკვე პირენეს ნახევარკუნძულთან ცურვისას ხომალდების ნაწილს რემონტი დასჭირდა. რემონტი თითქმის ორ თვეს გაგრძელდა და ლა-კორუნიიდან გამოსვლა 22 ივლისს მოხერხდა.

31 ივლისს, პლიმუთთან ინგლისელებთან პირველი შეტაკებისას, ესპანელებმა სამი ხომალდი დაკარგეს. ინგლისელთა ფლოტი პატარ-პატარა შეტაკებებით ესპანელებს მოსვენებას არ აძლევდა.

ღამით 7-დან 8 აგვისტოს ინგლისელებმა კალეს მახლობლად რეიდზე მდგომი ესპანელთა ესკადრის წინააღმდეგ ბრანდერები გამოიყენეს. ცეცხლმოდებული რვა ბრანდერის გამოჩენამ არმადის ხომალდებში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ერთი ნაწილი ძალზე დაზიანდა, მეორე კი ძლიერმა ქარმა ღია ზღვაში გაიტაცა.

8 აგვისტოს გრაველინთან ინგლისელთა მსხვილკალიბრიანმა შორსმსროლელმა არტილერიამ ესპანელებს მიახლოებისა და აბორდაჟის გამოყენების საშუალება არ მისცა. ინგლისელები ისროდნენ, ვიდრე ჭურვები და დენთი არ გამოელიათ. ბრძოლის შედეგად მედინა-სიდონიას კიდევ 16 ხომალდი დააკლდა.

მარცხის მიუხედავად, არმადამ ცურვა ბრიტანეთის კუნძულების გარშემო გააგრძელა, სადაც ძლიერ შტორმში მოხვდა და ბევრი ხომალდი დაელუპა.

სექტემბრის მეორე ნახევარში უძლეველად მონათლული არმადის ნარჩენები ბისკაის ყურის სანაპიროზე მდებარე პორტებში შევიდნენ. ოთხთვიან ლაშქრობაში ესპანეთის სამეფო ესკადრამ 10 ათასამდე კაცი, 75 ხომალდი და გემი დაკარგა.

ამ დამარცხებით ესპანეთის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვნად შესუსტდა და ზღვაზე პირველობისათვის ბრძოლაში ინგლისს დაწინაურების საშუალება მისცა, რასაც უკეთესი ხარისხის ხომალდები და შეიარაღებაც განაპირობებდა.

ეს უპირატესობა კიდევ ერთხელ 1590 წლის აპრილში გამოჩნდა, როცა გიბრალტართან ესპანელთა 10 დიდი გალერა ინგლის-თურქეთის სავაჭრო კომპანიის 10 გემს თავს დაესხა. 6-საათიან ბრძოლაში ესპანელებმა მოწინააღმდეგის არტილერიას ვერაფერი მოუხერხეს და თავის გადასარჩენად უახლეს ყურეში შესვლა მოუხდათ.

ესპანეთის ფლოტმა კიდევ ერთი მარცხი ოთხმოცწლიანი ომის დროს განიცადა. გიბრალტართან 1607 წლის 25 აპრილს ჰოლანდიელთა ესკადრა იაკობ ვან ჰემსკერკის სარდლობით ესპანელთა ესკადრას ხუან ალვარეს დე ავილას სარდლობით ესკადრას მოულოდნელად თავს წაადგა. ოთხსაათიან ბრძოლაში ჰოლანდიელთა 26-მა საშუალო ზომის საბრძოლო ხომალდმა მოწინააღმდეგის ესკადრა გაანადგურა. ესპანელებმა 21 ხომალდი და 4 ათასი კაცი დაკარგეს.

ამ დამარცხებებით ესპანეთის საზღვაო ძლიერება დიდი ხნით ჩრდილში მოექცა და ზღვაზე პირველობისათვის ბრძოლაში სხვა ქვეყნები დაწინაურდნენ.

თემურ ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის არმია და საქართველოს შიდაკონფლიქტები



საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროების გახშირებული აგრესიული მოქმედებები იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელიც კონფლიქტების დაწყების პირველივე დღეებიდანვე სეპარატისტების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

ერთ შემთხვევაში ეს იყო უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისათვის ასევე უკანონოდ იარაღის გადაცემა, მეორე – საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის არმიის ქვედანაყოფთა მონაწილეობა, მესამე – კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთიდან ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა და ბოევიკთა შეუფერხებელი შემოსვლის ხელშეწყობა, მეოთხე – სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფა, მეხუთე – ცალკეულ ოპერაციათა დაგეგმვა, მეექვსე – უზრუნველყოფის საშუალებებით მომარაგება, მეშვიდე – საინფორმაციო ომის წარმოებაში დახმარება და ა.შ.

კონფლიქტებში სეპარატისტთა მხარეს რუსი სამხედროების მონაწილეობას რუსეთის ხელისუფლება უკვე საჯაროდ ადასტურებს და რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია, მიმდინარეობს ამის პროპაგანდირება.

რუსეთის მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს რეკომენდაციით, 2007 წელს კრავჩენკოსა და პევცოვას ავტორობით მე-9 კლასელებისათვის განკუთვნილი საზოგადოებათმცოდნეობის სახელმძღვანელო გამოვიდა.

წიგნის 28-ე გვერდზე ავტორები ერთ საგულისხმო დასკვნას აკეთებენ: „საქართველომ სეპარატიზმთან ბრძოლაში დამარცხება განიცადა. მან ვერ შეძლო აფხაზეთში თავისი სამხედრო ყოფნის შენარჩუნება. ქართული არმია, რომელიც 1992 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე ბრძოლით შევიდა, ერთი წლის შემდეგ სოხუმიდან დამარცხებული გამოვიდა. რუსი არტილერისტებით, მედესანტეებითა და მფრინავებით გაძლიერებული აფხაზები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ და ქართული ჯარები აფხაზეთის გარეთ გაყარეს. აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, მაგრამ აღიარება არ მიუღია“.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია, როცა რუსეთის არმიის ზოგიერთ სამხედრო ნაწილში ახალგაზრდა ჯარისკაცების „აღზრდაში“ თვალსაჩინოებისათვის იყენებენ უახლესი ისტორიის იმ მაგალითებს, სადაც ერთმანეთის პირისპირ ქართველი და რუსი სამხედროები აღმოჩნდნენ. როგორც წესი, რუსი სამხედროები გმირები, ქართველები კი ბოევიკები არიან, რომლებიც განადგურდნენ.

ერთ-ერთი ასეთი ნაწილია საჰაერო-სადესანტო ჯარების ელიტური 45-ე ცალკეული სადაზვერვო პოლკი, რომლის ერთ-ერთი ბატალიონი 1992 წლის ზაფხულში ცხინვალში მიავლინეს.

ბატალიონის 15-მა მებრძოლმა უფროსი ლეიტენანტის მეთაურობით ცხინვალიდან საბრძოლო მასალებით დატვირთული კოლონა გორის სატანკო პოლკამდე მოაცილა, რომელსაც იმ დროს გადასატვირთი პუნქტის დანიშნულება ჰქონდა.

ისტორია, რომელსაც პოლკის ახალგაზრდა ჯარისკაცებს აცნობენ ასეთია: „დაახლოებით 300-მდე წვეროსანი ბოევიკი „მხედრიონელი“, მხარზე ტყვიამფრქვევების ლენტებით, ყვირილითა და ჰაერში სროლით ნაწილის ტერიტორიაზე (იგულისხმება გორის 238-ე სასწავლო-სატანკო პოლკი) შევარდა, მაგრამ მათდა საუბედუროდ იქ სპეცრაზმელები დახვდნენ. მედესანტეები არასამტატო სიტუაციაში აღმოჩნდნენ, წრიული თავდაცვა დაიკავეს და „მყიდველებს“ ცეცხლი გაუხსნეს, რომლებსაც საქონლის (ამ შემთხვევაში – ტანკები) წაღება სურდათ. ბოევიკები მოგერიებას ცდილობდნენ, მაგრამ სპეცრაზმელთა მჭიდრო ცეცხლი თავის აწევის საშუალებას არ აძლევდა. „მხედრიონელები“ პანიკამ მოიცვა. თავდასხმა მედესანტეებმა უდანაკარგოდ მოიგერიეს და ბოევიკებმა ნაწილის ტერიტორიაზე 80-მდე მოკლული დატოვეს“.

იმ წლების სამწუხარო ინციდენტი, რომლის მიზეზი ისევ რუსი სამხედროების სიხარბე და მექრთამეობა გახდა, რუს ჯარისკაცებს მედესანტეთა განსაკუთრებულ გმირობად მიეწოდება. მსგავს მაგალითებზე აღზრდილ-მომზადებული ჯარისკაცები ქართველებში უკვე მტრის სახეს ხედავენ, ხოლო სამხედრო საქმის მთავარი დანიშ-



რუსების კოლონა აფხაზეთში შედის 2008 წლის მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულება მტრის განადგურებაა.

სინამდვილეში, გორის სატანკო პოლკიდან ტანკების გამოყვანა წინასწარ შეთანხმებული იყო, მაგრამ 1992 წლის 13 ივნისს შეთანხმება რუსმა სამხედროებმა რატომღაც დაარღვიეს და პოლკის ტერიტორიაზე შეჭრილ ქართული ფორმირებების დაახლოებით 200-მდე კაცს წინააღმდეგობა გაუწიეს. შემდგომში რუსი სამხედროები ჯავშანტექნიკით გორის ქუჩებში გამოცვივდნენ და ქართველებზე ნადირობა გააჩაღეს. ამ ინციდენტს ქართველებიდან 12 კაცი ემსხვერპლა, 46 დაიჭრა და 28 ტყვედ ჩავარდა. პოლკის მოსამსახურეებიდან 2 ოფიცერი, 1 ქალი და 1 ბავშვია დაღუპული.

ორი თვის შემდეგ, 1992 წლის 14 აგვისტოს, იარაღის დატაცების მიზნით ასეთივე შემთხვევა მოხდა აფხაზეთში, როცა აფხაზი ბოევიკები გუდაუთაში 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. მაშინ რუს სამხედროებს სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გადასარჩენად თავი მაინცდამაინც არ გამოუდვიათ. პოლკში დაახლოებით 300-მდე სამხედრო იყო და შეუიარაღებელი ბრბოს მოგერიება არ უნდა გასჭირვებოდათ.



ნოვოროსიისკელ მედესანტეთა საბრძოლო მანქანა მზად არის ცეცხლის გასახსნელად

თავდასხმის შედეგად სეპარატისტთა განკარგულებაში გადავიდა 984 ავტომატი, 267 პისტოლეტი, 18 ხელის ტყვიამფრქვევი, 500 ხელყუმბარა, 500 ათასი სხვადასხვა კალიბრის ვაზნა და კიდევ ბევრი სხვა რამ. ამ იარაღმა აფხაზებს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა აღჭურვის საშუალება მისცა და წინააღმდეგობამ ბევრად ორგანიზებული სახე მიიღო.

16 აგვისტოს სატრანსპორტო თვითმფრინავებმა განჯიდან გუდაუთის აეროდრომზე 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის 1500-მდე სამხედრო მოსამსახურე გადმოიყვანეს. ახლა რუსი სამხედროები ამტკიცებენ, რომ ეს ოპერაცია საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასთან შეთანხმებით ჩატარდა.

არჩევანი 345-ე პოლკზე შემთხვევით არ შეჩერებულა. ავღანეთში ნაბრძოლი და თბილისში 9 აპრილის მოვლენებში მონაწილე პოლკი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში საბრძოლო გამოცდილებით გამორჩეულ ნაწილად ითვლებოდა.

მედესანტეთა მოვალეობა იყო აფხაზეთის კურორტებიდან რუსეთის მოქალაქეთა უსაფრთხო ევაკუაცია, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ობიექტებისა და მათ შორის აეროდრომ „გუდაუთის“ დაცვა, უკვე განადგურებულ-გაძარცული 643-ე პოლკის დაცვა, რუსეთის სამხედრო ობიექტების ახლოს შეიარაღებული დაპირისპირების აღკვეთა. მთავარ ამოცანად მაინც რუსეთის შეიარაღებული ძალების ობიექტების დაცვა რჩებოდა.

მძიმე ტექნიკიდან პოლკის განკარგულებაში იყო 122 ერთეული სხვადასხვა მოდიფიკაციის სადესანტო-საბრძოლო მანქანა (БМД), 18 ერთეული სამეთაურო დაჯავშნული მანქანა, 6 ერთეული „ფაგოტებით“ აღჭურვილი საბრძოლო მანქანა „რობოტი“ (БТР-РД), 13 ერთეული საზენიტო საბრძოლო მანქანა „სკრეჟეტი“ (БТР-ЗД) და 18 ერთეული 120 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С9.

აფხაზეთში 345-ე პოლკის პირადი შემადგენლობა საბრძოლო მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობდა. ნამდვილ სამსახურში მყოფი თუ დემობილიზებული ბევრი მედესანტე ქართული ფორმირებების წინააღმდეგ იბრძოდა და ბევრმა ამისათვის რუსეთის სახელმწიფო ჯილდოები დაიმსახურა.

А.И. Кравченко, Е.А. Певцова

ОБЩЕСТВОЗНАНИЕ

Учебник для 9 класса общеобразовательных учреждений

издание

სასკოლო სახელმძღვანელო, რომლითაც რუს ბავშვებს უახლეს ისტორიას ასწავლიან

«Размножение» независимых государства привело к тому, что они стали всерьез воевать друг с другом. Произошла одна война между Кореями, одна — между Вьетнамами, многочисленные конфликты между Тайванем и Китаем, три войны между Индией и Пакистаном и пять арабо-израильских войн.

Если власти хотят, чтобы какой-то регион считался «зоной влияния» вверенного им государства, то первое, к чему они стремятся, — сохранить в этом регионе свое военное присутствие. Это общий закон, который работает не только во внутренних, но и в международных, геополитических конфликтах.

Войска выводят только тогда, когда им уже никак невозможно оставаться. Так, после многократных напоминаний мирового сообщества мы выводили войска из Западной Европы и из Прибалтики. С крайней неохотой мы покинули Азербайджан. С Грузией разработан план о постепенном выводе наших войск.

Грузия потерпела неудачу в борьбе с сепаратизмом. Ей не удалось сохранить свое военное присутствие в Абхазии. Грузинская армия, с боями вступившая в 1992 году на абхазскую территорию, спустя год уходила из Сухуми отнюдь не по своей воле. Абхазцы, усиленные российскими артиллеристами, десантниками и летчиками, перешли в решительное наступление и выгнали грузинские войска со своей территории за границу Абхазии. Абхазия объявила себя в одностороннем порядке независимой республикой. Признания она не получила. (*Прим. ред.*)

Та же самая история с Карабахом. При помощи армянской армии и при российской военной поддержке карабахцы дополнительно отвоевали себе Лачинский коридор, связывающий республику с Арменией.

**Источник**: МК. 1996. 7 июня.

**Понятия:** *национально-государственное устройство, сепаратизм, централизованное государство, империя.*

**Вопросы и задания**

1. В чем состоит различие между централизованным и национальным государством?
*2. К какому из этих типов относится современная Россия?
3. Что такое процесс собирания земель и как он проходил на территории нашей родины?
*4. Попробуйте сравнить процесс собирания земель в странах Западной Европы и в России. К каким выводам вы можете прийти?

28

5. Как в современном мировом сообществе проявляются тенденции объединения и разъединения наций? В чем сходство и различие этих тенденций?
6. Почему и как распадаются национальные государства?
7. Какую роль сепаратизм играл в новейшей истории? Слышали ли вы выражение «парад суверенитетов»? Как это явление связано с сепаратизмом?
*8. Предположите, какие проблемы исчезают и какие появляются у населения и властей при распаде многонационального государства на национальные.

**Проблема.** Как вы думаете, грозит ли Российской Федерации распад на множество национальных государств? Поговорите об этом со старшими.

**Практикум.** В мире насчитывается около 200 государств и до 5 тысяч этносов, из которых несколько сотен являются ... В составе нынешней России более 100 этносов, в том числе 30 ... эти цифры, можно ли сделать вывод о том, что не ... большинство, если не все, стремятся...

**§ 4 (§ 28). Формы правления**

***Формы правления — организация власти, ... мая ее формальным источником.*** В монархи... источником власти является одно лицо — кор... он и т.д. В республике по закону источником ... большинство.

До сих пор в науке не утихают споры о том ... вильно классифицировать формы правления. ... мые разные варианты, но все сходятся в том, ч... является типология Аристотеля. Он выделял ... *вида*: монархию, аристократию, демократию ... *вращенные формы*: тиранию, олигархию и охл...

С того времени ничего принципиально ... мысль не придумала, она лишь перекраивала ... дано прежде. Почему прогресс науки вдруг ос...

...зией разработан план о постепенном выводе наших войск.

Грузия потерпела неудачу в борьбе с сепаратизмом. Ей не удалось сохранить свое военное присутствие в Абхазии. Грузинская армия, с боями вступившая в 1992 году на абхазскую территорию, спустя год уходила из Сухуми отнюдь не по своей воле. Абхазцы, усиленные российскими артиллеристами, десантниками и летчиками, перешли в решительное наступление и выгнали грузинские войска со своей территории за границу Абхазии. Абхазия объявила себя в одностороннем порядке независимой республикой. Признания она не получила. (*Прим. ред.*)

Та же самая история с Карабахом. При помощи армянской армии и при российской военной поддержке карабахцы дополнительно ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაშუტისტთა ერთი ბატალიონი გუდაუთის აეროდრომს, ხოლო მეორე კი გაძარცულ 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკის ტერიტორიას იცავდა. მესამე ბატალიონის ორი ასეულის მოვალეობა იყო ქვედა ეშერასთან მდებარე რუსეთის არმიის 24-ე სამხედრო-სეისმური ლაბორატორიის დაცვა.

29 აგვისტოს ქართულმა ძალებმა, დაახლოებით 600-მდე კაცმა, 3 ტანკის, 6 БМП-სა და რამდენიმე МТЛБ თანხლებით მდინარე გუმისთის ფორსირება მოახდინეს და შეტევა ახალი ათონი-გუდაუთის მიმართულებით დაიწყეს. დაიკავეს სოფელი აჭანდარა, გაბატონებული სიმაღლეები და ახალ ათონამდე 27 კილომეტრი. გუდაუთამდე 45 კილომეტრი რჩებოდა, – ბინოკლში ათონის მონასტრის გუმბათები მოჩანდა.

პირველი საბრძოლო დაპირისპირება ქართველ სამხედროებსა და რუს მედესანტეთა შორის ამ ბრძოლების დროს მოხდა. ეშერასთან მყოფმა 140-მდე მედესანტემ ქართული ფორმირებების წინააღმდეგ მთელი საშტატო შეიარაღება გამოიყენა: დესანტის საბრძოლო მანქანები, 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატები ЗУ-23-2, დაზგის 30 მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნები АГС-17, ხელის ყუმბარსატყორცნები РПГ-7, სნაიპერული შაშხანები, „ფაგოტები“ და ა.შ.

რუს მედესანტეთა შეტევა საკმაოდ მძიმე გამოდგა. რუსული მონაცემებით, ქართულ მხარეს 40 მებრძოლი დაეღუპა და 150 დაეჭრა. განადგურდა 3 ტანკი და ამდენივე ჯავშანტრანსპორტირი.

როგორც რუსეთის ხელისუფლება ირწმუნებოდა, რუსი სამხედროები კონფლიქტში ნეიტრალიტეტს იცავდნენ და ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ. ამტკიცებდნენ, ეშერასთან 2 აფხაზური და 1 ჩეჩნური ბატალიონი იბრძოდაო.

მოსკოვის 3 სექტემბრის შეთანხმებამ მხარეებს შეტევითი ხასიათის მოქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდა. ამის გამო ახალ ათონზე მყოფ ქართულ ფორმირებებს უკან დახევა და საწყის პოზიციაზე დაბრუნება მოუხდათ. სამაგიეროდ, პაუზამ სეპარატისტებს ძალის თავმოყრისა და გაგრის აღების საშუალება მისცა.

რუსული მონაცემებით, 345-ე პოლკის დანაკარგმა აფხაზეთში 24 კაცი შეადგინა, მაშინ როცა 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის სექტემბრის ბოლომდე მხოლოდ 3 სამხედროა დაღუპული. ერთ-ერთმა, ვიტალი ვოლფმა 27 მარტს, როცა ლაბორატორია ცეცხლის ზონაში მოხვდა, გაწყვეტილი ტელეფონის ხაზი აღადგინა, რისთვისაც სიკვდილის შემდეგ რუსეთის გმირობა მიენიჭა. ტელეფონით გამოძახებულმა რუსულმა საბრძოლო შვეულმფრენებმა სოხუმი დაბომბეს და რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლეს.

რუსების საარტილერიო-საავიაციო დაბომბვებს სოხუმში სანატორიუმების დასაცავად შემოყვანილი რუსეთის არმიის 901-ე ცალკეული სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის ორი სამხედრო მოსამსახურეც შეეწირა. რა თქმა უნდა, ეს დანაკარგიც ქართველებს ბრალდება.

ორივე კონფლიქტში რუსული ავიაცია თავხედური მოქმედებებით გამოირჩეოდა. საჰაერო თავდაცვის ეფექტიან საშუალებებს მოკლებულ ქართულ ფორმირებებს სათანადო პასუხის გაცემა არ შეეძლო. ეს იცოდნენ რუსმა მფრინავებმა.

რუსი მფრინავები პირველად 1991-92 წლებში ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტში ჩაერთვნენ. ცხინვალის მახლობლად დისლოცირებულ 292-ე ცალკეულ შვეულმფრენთა პოლკი 24 საბრძოლო Ми-24-სა და 20 საბრძოლო-სატრანსპორტო Ми-8 ტიპის შვეულმფრენს ითვლიდა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ პოლკის მეთაურს შვეულმფრენებით ქართული ფორმირებების პოზიციათა ცეცხლით დამუშავების უფლება მისცა. პირად შემადგენლობას ავღანეთის ომის გამოცდილება ჰქონდა და იმის გათვალისწინებით, რომ ცხინვალთან გვარდიის, მილიციის, პოლიტიკური პარტიებისა და მოხალისეთა რაზმები იდგნენ, რომლებიც საჰაერო თავდაცვის საშუალებებით ნაკლებად იყვნენ უზრუნველყოფილი, ცხადია რუსული შვეულმფრენები, პრაქტიკულად, დაუცველ პოზიციებს უტევდნენ.

ერთ-ერთი თავდასხმისას, 18 ივნისს, სამმა რუსულმა შვეულმფრენმა უმართავი რაკეტული ჭურვებით ქართველ გვარდიელთა პოზიციები დაბომბა, რასაც 2 გვარდიელის დაჭრა და ერთის დაღუპვა მოჰყვა.

რუსული ავიაცია აფხაზეთში ბევრად უფრო მასშტაბურად მოქმედებდა. კონფლიქტის საწყის ეტაპზე 529-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკის თვითმფრინავები გუდაუთის რაიონის საჰაერო თავდაცვას უზრუნველყოფდნენ, ჰაერში ბარაჟირებდნენ, ქართულ საფრენ აპარატებს დავალების შესრულების საშუალებას არ აძლევდნენ, არაერთგზის ცეცხლის გახსნისა და ჩამოგდების მუქარაც გაისმა. ეს არასაკმარისად ჩაითვალა და ქართულ ფორმირებებზე საცეცხლე ზემოქმედებისათვის 1992 წლის 1-ელ სექტემბერს გუდაუთის აეროდრომზე 186-ე მოიერიშეთა საინსტრუქტორო საავიაციო პოლკის Су-25-ის ტიპის მოიერიშეები გამოჩნდნენ.

წითელვარსკვლავიანი მოიერიშეები ნახევარტონიანი ბომბებითა და უმართავი რაკეტული ჭურვებით ბომბავდნენ ქართული ფორმირებების პოზიციებს სოხუმსა და სოხუმის შემოგარენში, ასევე ფრონტის ხაზიდან საკმაოდ დაშორებულ ოჩამჩირესა და ოჩამჩირის რაიონის სოფლებს. მსხვერპლი მეტწილად მშვიდობიანი მოსახლეობა იყო, ხოლო რუსეთი, როგორც წესი, დაბომბვებს არ აღიარებდა და, პირიქით, საქართველოს თავისივე ტერიტორიის პროვოკაციული მიზნით დაბომბვაში ადანაშაულებდა.

გუდაუთა, საიდანაც სეპარატისტთა მთავარი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა მოქმედებდა, რუსმა სამხედროებმა საუკეთესოდ გაამაგრეს. გუდაუთის აეროდრომს „ბუკის“ ტიპის საჰაერო თავდაცვის კომპლექსები იცავდა, ხოლო ეშერასთან მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „ოსა“ განლაგდა.

რუსებმა ზღვის გაკონტროლებაზეც იზრუნეს და 1992 წლის 22 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით კონფლიქტის რაიონში შავი ზღვის ფლოტის ხომალდები – ფრეგატი „ბეზუკარიზნენი“ და რამდენიმე დამხმარე გემი იდგნენ. აუცილებლობის შემთხვევაში რაზმი უმოკლეს დროში ოჩამჩირის საზღვაო მესაზღვრეთა მე-6 ბრიგადის ხომალდებითა და კატარღებით გაძლიერდებოდა.

1992 წლის 2 ოქტომბერს ბიჭვინთის რაიონში შავი ზღვის ფლოტის ხომალდების რაზმმა საჩვენებელი სწავლება ჩაატარა, სადაც ორი ამოცანა დამუშავდა: პირველი – ბიჭვინთის რაიონში საქართველოს დესანტის გადმოსხმის აღკვეთა, აუცილებლობის შემთხვევაში იარაღის გამოყენება და მეორე – გუდაუთის აეროდრომის საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაწყებული ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება. რუსეთის ზურგს ამოფარებული სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, ოფიციალური თბილისის სამშვიდობო წინადადებებს უარყოფენ და პირიქით, ულტიმატუმებს გვიყენებენ.

არ იცვლება კონფლიქტებისადმი რუსეთის დამოკიდებულება.

8 ივლისის ინციდენტი იმის მანიშნებელია, რომ რუსულმა თვითმფრინავებმა კონფლიქტურ რეგიონებში შეიძლება რომელიმე დასახლება ან თავიანთივე სამშვიდობო ძალები დაბომბონ და ეს საქართველოს დაბრალდეს. ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს პროვოკაციის მოწყობის დიდი გამოცდილება ნამდვილად აქვს, ამაში მას ვერავინ შეედრება.

თემურ ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. მეფის რუსეთისა და ზოგი უცხო ქვეყნის არმიებში ქვეითი ჯარის ან არტილერიის უფროსი უნტერ-ოფიცრის წოდება; 5. ბერძნული ჯავშანტრანსპორტიორი; 6. რუსული თვითმფრინავი; 7. ინდური ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; 9. ძველებური კედლის სანგრევი საბრძოლო მანქანა; 10. აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ბაზა კუბაში; 13. სასტიკი მმართველი, რომელიც მოქმედებს თვითნებურად და ძალადობით; 15. მდინარე საქართველოში; 16. კეთილი საქმე; 18. ამერიკული რევოლვერის „კოლტის" მოდელი; 19. ქვეყანა აფრიკაში; 20. ფარიკაობის იარაღი; 23. უშიშარი გმირი, თავდადებული მებრძოლი; 24. იგივეა, რაც პოლკი; 27. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი; 28. საფრანგეთის ფეხბურთის გუნდი; 29. კუბის დედაქალაქი; 30. ბიბლიური პერსონაჟი; 31. სლოვაკური 152 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცი; 32. უეცარი შიშით გამოწვეული საერთო მღელვარება, არეულობა.

**შვეულად:** 1. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა ძვ. საბერძნეთში – ერთმანეთთან მიჯრილი მწკრივები; 2. იგივეა, რაც თოფის წამალი; 3. თურქეთის პრემიერ-მინისტრი; 4. ოფიცრის წოდება; 8. ნაპოლეონ ბონაპარტის პირადი მხატვარი; 10. ინგლისური საზენიტო-საარტილერიო კომპლექსი; 11. XIX საუკუნის რუსი ადმირალი; 12. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 13. ფრანგული ატომური სარაკეტო წყალქვეშა ნავი; 14. რაიმე სხეულის მიერ ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოსხივება;. 17. მცირე სიმძლავრის გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 21. ნორვეგიული გემსაწინააღმდეგო რაკეტა; 22. ძველებური შვეიცარიული ცივი იარაღი – გრძელტარიანი შუბი, რომელსაც წამოცმული აქვს ცულისმაგვარი პირი; 25. ამერიკული შაშხანა; 26. ქართული ხალხური სიმღერა; 29. ამერიკული რევოლვერი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის" პასუხი:* **თარაზულად:** 6. კალათბური; 7. რემინგტონი; 8. კორმორანი; 13. ტოიოტა; 14. სტარტი; 15. მესტია; 16. რესორი; 17. ჰამერი; 18. გარანდი; 20. ბი; 21.. კარაბინიერი; 24. სვე; 26. დანა; 27. ლიდერი; 28. კედი; 29. პეჯო; 30. იჩიტა; 31. ფარი. **შვეულად:** 1. მარტელი; 2. რანჟირი; 3. აბრაგი; 4. ტრეხო; 5. ვისკი; 8. კასტრო; 9. მარგოლინი; 10. რაიზინგი; 11. სიასამური; 12. ბატალიონი; 13. ტომაჰოკი; 18. გუსტლოფი; 19. აბერდინი; 22. ალამედა; 23. არამისი; 25. ფარაჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# USAS-12 – ავტომატური ჯერი თოფით...



**ამერიკულ-სამხრეთკორეული ავტომატური გლუვლულიანი საბრძოლო თოფი USAS-12 შეუცვლელია ზოგიერთი სპეცოპერაციის ჩატარების დროს**

**12-კალიბრიანი თოფები ქართველ მონადირეებში უკვე დიდი ხანია მოწონებას იმსახურებენ. ეს კალიბრი საკმაოდ პოპულარულია მონადირეებში, მაგრამ 12-კალიბრიანი თოფების პატრონთაგან ცოტას თუ წარმოედგინა, რომ თოფით ავტომატური ჯერით სროლაც შეიძლებოდა და ბრძოლაში წასვლაც...**

არადა, გლუვლულიანი თოფები ყველაზე უძველეს საბრძოლო ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენს. მე-20 საუკუნის ბოლოს გლუვლულიანი თოფები ისევ გამოჩნდა არმიისა და პოლიციის შეიარაღებაში. მათ შორის იყო დგუშიანი თოფები, რომელთა ვაზნით დატენვა ხელით ხდება. ასევე ნახევრად ავტომატური, ანუ თვითდამტენი თოფები, რომლებშიც გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ენერგიის ნაწილი გასროლილი ვაზნის მასრის გადმოსაგდებად და ახალი ვაზნის დასატენად გამოიყენება.

80-იანი წლების ბოლოს ამერიკელმა კონსტრუქტორმა ჯონ ტრევორმა შექმნა მთლიანად ავტომატური საბრძოლო თოფი USAS-12, რომელიც მოწეულ სასხლეტზე თითის აუღებლად ერთმანეთის მიყოლებით მთელი მჭიდის ავტომატური ჯერით გასროლის საშუალებას იძლეოდა.



USAS-12

ფაქტობრივად, ეს იყო ჩვეულებრივი ავტომატი თუ ავტომატური შაშხანა, ოღონდ ხრახნიანის ნაცვლად გლუვი ლულა ჰქონდა და ტყვიების ნაცვლად კარტეჩს ისროდა.

ამერიკელი კონსტრუქტორი ერთ პატარა ფირმაში მუშაობდა, რომელსაც არ შეეძლო ავტომატური საბრძოლო თოფის სერიული წარმოება, ამიტომაც დიდი ხნის ძებნის შემდეგ არჩევანი სამხრეთკორეულ კომპანიაზე შეჩერდა. მცირედი კონსტრუქციული დახვეწის შემდეგ კორეელებმა USAS-12-ის სერიული წარმოება დაიწყეს.

იარაღის კონსტრუქტორმა და მისმა ფირმამ კიდევ ერთხელ სცადეს ბედი და სამხრეთ კორეაში გამოშვებული მისივე ავტომატური საბრძოლო თოფების აშშ-ში იმპორტი განიზრახეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, თვითდამტენი ვარიანტისა, რომ იარაღის სამოქალაქო ბაზარზე გაეტანათ, მაგრამ შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურამ – BATF (აშშ-ის ბიურო, რომელიც აკონტროლებს ალკოჰოლის, თამბაქოსა და ცეცხლსასროლი იარაღის მიმოქცევას) აკრძალა USAS-12-ების იმპორტი ამერიკაში.

ნუგეშად ისღა დარჩათ, რომ სამხრეთ კორეაში გამოშვებული დეტალების საფუძველზე აშშ-ში იწყობოდა USAS-12-ების მცირე პარტიები, რომლებსაც შემდგომ აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურები და საპოლიციო დანაყოფები ყიდულობდნენ. სულ გამოშვებულია 30 ათასზე მეტი USAS-12.

ეს ავტომატური საბრძოლო თოფი საკმაოდ მძიმეა, თუკი ჩვეულებრივ სანადირო თოფებს შევადარებთ, მაგრამ შედარებით მსუბუქია იმ იარაღთან შედარებით, რომელთა შესაძლებლობები უტოლდება USAS-12-ისას.

ავტომატური ჯერით მსროლელი თოფი შეუცვლელია შენობების იერიშით აღებისას, როდესაც საჭიროა ჩაკეტილი კარის საკეტის შენგრევა თუ ოთახში რამდენიმე სწრაფი გასროლა, რათა მსხვილმა საფანტმა სხვადასხვა კუთხეში მიმალული მოწინააღმდეგე დააზიანოს.

ავტომატურ თოფში USAS-12-ში გამოყენებულია აირძრავა, რომელიც



**ჩვენი დოსიე: ავტომატური საბრძოლო თოფი USAS-12 მჭიდის გარეშე 5,5კგ-ს იწონის, მჭიდითა და 10 ვაზნით კი 6,2კგ-ს. იარაღის სიგრძე 96სმ-ია, ავტომატურ რეჟიმში სროლის ტემპი 360 გასროლაა წუთში. მჭიდში 10 ცალი 12 კალიბრის თოფის ვაზნა ჩადის, დოლურაში კი 20 ვაზნა ეტევა.**

უზრუნველყოფს ავტომატურად სროლას. აირის კამერა, რომელშიც შედის გასროლისას წარმოქმნილი აირები, ლულის თავზეა განთავსებული.

12-კალიბრიანი თოფის გასროლისას უკუდარტყმის ძალა საკმაოდ ძლიერია. როდესაც ავტომატური ჯერით ისვრიან, უკუდარტყმის ეფექტი კიდევ უფრო იმატებს და თითქმის შეუძლებელს ხდის დამიზნებით სროლას. ეს რომ არ მომხდარიყო, USAS-12-ის კონსტრუქციაში გამოიყენეს საკეტის ჯგუფის ძალზე დიდი უკუგაქანი. ეს აუცილებელია, რადგან დიდი უკუგაქანის დროს კომპენსირდება უკუდარტყმის ძალის დიდი ნაწილი, რაც შესაძლებელს ხდის USAS-12-ით დამიზნებითი ავტომატური ჯერებით სროლას.

ამ ეფექტიან სისტემას ერთი მნიშვნელოვანი ნაკლიც აქვს. საკეტის ჯგუფის უკან, დიდ მანძილზე გადაადგილება კონდახის შიგნითაც ხდება, ეს კი, თავის მხრივ, გამორიცხავს კონდახის დაკეცვას და ამიტომაც USAS-12 სიგრძეში უფრო კომპაქტური ვერ იქნება.

USAS-12 ძალზე მოსახერხებელია ცაციებისთვისაც, რადგან გასროლილი ჰილზების ექსტრაქცია მსროლელის სურვილისამებრ მარცხნივაც შეიძლება და მარჯვნივაც.

USAS-12-ს უყენდება 10 ვაზნაზე გათვლილი მჭიდი ან მის მაგივრად შეიძლება გაუკეთდეს დოლურა, რომელშიც 20 ცალი 12-კალიბრიანი თოფის ვაზნაა ჩაწყობილი.

საპოლიციო და საარმიო სპეციალურ დანაყოფებს არც საქართველოში აწყენდათ USAS-12 ტიპის ავტომატური საბრძოლო თოფების შეიარაღებაში მიღება, რადგან რაც უფრო ბევრი სახის შეიარაღება აქვთ მათ, მით მეტი წარმატებით შეიძლება შეასრულონ ესა თუ ის სპეციფიკური საბრძოლო დავალება.

*ირაკლი ალადაშვილი*



**USAS-12-ს უყენდება როგორც 10-ვაზნიანი მჭიდი, ისე 20-ვაზნიანი დოლურა**







b 145/26

ISSN 1987 - 5061

# AA-12 (Prototype of USAS-12)